

კიდევ ერთხელ ქუჩიდან ქუჩაში
A4



"ევროპის უკანასკნელი დიქტატორი"
A5



აეროპორტს თურქები აშენებენ
A6


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 23 აპრილი, 2005 წელი. №92 (952)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

რეაგირება გაზეთის გავრცელების შეზღუდვაზე

A2

## ამბები



დაძაბული ბრძოლა ქუთაისის მერიასა და სამხარეო ადმინისტრაციას შორის

იმერეთში ახალი პოლიტიკური დაპირისპირება დაიწყო. ამჯერად დაძაბული ორთაბრძოლა ქუთაისის ახალ მერიასა და ძველ სამხარეო ადმინისტრაციას შორის გაჩაღდა.

A2

## სამართალი

ნათლობის რიტუალი ორთაჭალის ციხეში



A7


იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7


## ამინდი

| | 23/4 | 24/4 | 25/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 23 | 22 | 15 |
| ქუთაისი | 23 | 14 | 19 |
| ბათუმი | 22 | 11 | 12 |
| სოხუმი | 22 | 12 | 17 |
| ფოთი | 23 | 11 | 16 |
| თელავი | 22 | 21 | 14 |
| ზუგდიდი | 25 | 13 | 19 |
| გორი | 21 | 13 | 16 |
| ახმეტა | 22 | 22 | 15 |
| ჭიათურა | 21 | 13 | 17 |
| გაგრა | 22 | 15 | 19 |
| სამტრედია | 23 | 12 | 18 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8275 |
| ევრო | 2.3878 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.4931 |
| რუბლი | 0.0659 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | კვირა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# სუუამის წევრებს მისი გაძლიერება სურთ

კიშინიოვის სამიტმა მოსკოვი და მინსკი გააღიზიანა

*კიშინიოვში გამართულ სამიტზე სუუამის წევრი ქვეყნების პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს კიშინიოვის დეკლარაციას "დემოკრატიისთვის, სტაბილურობისთვის და განვითარებისთვის". რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან და მოლდოვიდან გაყვანა, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის აუცილებლობა, რეგიონში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა -სუუამის წევრი ქვეყნების პრეზიდენტებმა გუშინ ამ და სხვა საკითხებზეც ისაუბრეს.*

სოფო ბუკია

ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესების - პირველ რიგში, ქართული და უკრაინული რევოლუციების, ასევე ამ რეგიონში აშშ-ს საგრძნობი გააქტიურების ერთ-ერთი საერთაშორისო შედეგი 1997 წელს შექმნილი ორგანიზაციის - სუუამის რეანიმირება გახდა.

თავდაპირველად ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნები აცხადებდნენ, რომ მათი გაერთიანების მიზანი ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებაა. დღეს კი, როდესაც საქართველო "რევოლუციის ექსპორტიორ" ქვეყნად იქცა, უკრაინას რეგიონის ახალი ლიდერის ამბიცია გაუჩნდა, ხოლო ერთ დროს პრორუსულმა მოლდოვამ კრემლის საწინააღმდეგო პოლიტიკა წამოიწყო, უკვე არავინ მალავს იმას, რომ სუუამმი ცდილობს, პოლიტიკური ამბიციის მქონე გაერთიანებად იქცეს, რომელსაც ერთგვარი "მესიანური" მიზნებიც კი გაუჩნდა და მოწოდებულია, **"მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის გავრცელებას შეუწყოს ხელი".**

კიშინიოვის სამიტი გუშინ ერთსაათიანი დაგვიანებით დაიწყო. წვიმიანი ამინდის გამო, პრეზიდენტებმა კიშინიოვში ჩაფრენა დაიგვიანეს. დროზე ჩამოსვლა მხოლოდ ალიევმა და იუშენკომ მოახერხეს. როგორც იმთავითვე ცნობილი იყო, უზბეკეთის პრეზიდენტმა სუუამის "სუფრას ხელი ჰკრა". სამაგიეროდ, კიშინიოვის სამიტს, საპატიო დამკვირვებლების სახით, რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბესეკუ და ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი ესწრებოდნენ. ამ ფაქტმა რუსული პრესა ხუმრობის ხასიათზე დააყენა. "Вместо ГУУАМ получалось ГЛАМУР" - წერს ინტერნეტ გაზეთი "გაზეტა.რუ".

პრეზიდენტების ერთსაათიანი დაგვიანების გამო შექმნილი ვაკუუმის შევსებას ყველა სხვადასხვაგვარად შეეცადა. მაგალითად, მასპინძელმა კომუნისტმა პრეზიდენტმა ბელადის დაბადების დღე - 22 აპრილი არ დაივიწყა და ვლადიმირ ილიჩის ძეგლთან ყვავილები მიიტანა. კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ლენინის ძეგლთან ლექსები წაიკითხეს და რამდენიმე ადამიანი საზეიმოდ მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში. იუშენკო ლენინის ძეგლთან არ მისულა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*სამიტის მთავარი განცხადებები საქართველოდან და მოლდოვადან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას შეეხებოდა.*

# სწორი ნაბიჯი

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის შეფასება

**"მე მივესალმები საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას, ძევერას საწვრთნელი ბანაკის დახურვასთან დაკავშირებით,"** - განაცხადა გუშინ ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმა. საქმე ეხება ცხინვალის სიახლოვეს განლაგებულ სამხედრო ნაწილს.

**"ეს ლოგიკური ნაბიჯია გასულ იანვარს, სტრასბურგში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ სამხრეთ ოსეთისათვის წარმოდგენილი სამშვიდობო ინიციატივისა,** - აღნიშნა ტერი დევისმა, - **ჩემი ხედვით, კონფლიქტის ძალისმიერი გზით მოგვარება გამორიცხულია. სწორედ ამ მიზნით, მე ვემხრობი სამომავლოდ ზონის დემილიტარიზაციას და კიდევ მეტი ნაბიჯების გადადგმას კონფლიქტის მონაწილე მხარეების ურთიერთნდობის აღდგენისაკენ. ურთიერთობები და ურთიერთნდობა ორივე მხარეს შესაძლებლობას მისცემს, სამშვიდობო წინადადება განიხილოს არა წარსულში მომხდარი მოვლენების პრიზმაში, არამედ მიიღოს ის, როგორც მომავალში უკეთესი ცხოვრების კონტრაქტი,"** - განაცხადა დევისმა.

**"როგორც ევროსაბჭოს გენერალური მდივანი, მე 46-ივე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრე ვარ,"** - დასძინა მან. იანვარში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე გამოსვლისას, მიხეილ სააკაშვილმა გენერალურ მდივანს სამრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაში შუამავლის როლის შესრულება სთხოვა.

როგორც ჩვენთან საუბრისას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა ლევან ნიკოლეიშვილმა განაცხადა, ძევერას რეზერვისტთა ბანაკი ხუთი თვის წინ გაიხსნა და ორი თვის წინ დაიხურა. **"მოტივი ასეთი იყო - ბანაკის გახსნამ გამოიწვია შიში, და გამოითქვა გარკვეული შეშფოთებები იმის გამო, თითქოს ჩვენ კონფლიქტის ზონაში შეჭრას ვაპირებდით. ბანაკი დაიხურა. ამით ყველა მხარეს დავუმტკიცეთ, რომ ვინმეზე თავდასასხმელად არ ვემზადებოდით და ჩვენს მიზანს მხოლოდ სარეზერვო მომზადება წარმოადგენდა."**

ძევერას ბანაკი ოსიაურის და საჩხერის ბანაკების შემდეგ რიგით მესამე იყო. ნიკოლეიშვილის ინფორმაციით, რეზერვისტთა ახალი ბანაკი, სავარაუდოდ, კახეთში ამოქმედდება.

*24 საათი*

# ერთი წელი საკანონმდებლო ოლიმპზე

"ერთი წელია, დეპუტატები ხართ და კიდევ ვერ ისწავლეთ, რომ ფარული რეჟიმი ღია კენჭისყრისგან განსხვავდება," - მკაცრად დატუქსა სპიკერმა "უცოდინარი" კანონმდებლები.

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ ერთი წელი შესრულდა ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტის მუშაობის დაწყებიდან. საზოგადოებრივი აზრის რა მოგახსენოთ, თავად კანონმდებლები კი საკუთარი საქმიანობით კმაყოფილები არიან. "ამ ერთ წელიწადში იდეალურად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, კარგად ვიმუშავეთ," - ასე აფასებს საკანონმდებლო ორგანოს 365-დღიან ეპოპეას პარლამენტის სპიკერი.*

"იუბილარებს" შეუძლიათ, იამაყონ, რომ ბოლო დროს, დისციპლინის თვალსაზრისით, ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა. რეგლამენტში შეტანილმა ცვლილებებმა, რომლებიც სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენისთვის ფინანსურ სანქციებს ითვალისწინებს, სხდომებზე დასწრების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზარდა, რამაც, თავის მხრივ, კვორუმის პრობლემა გადაჭრა.

გაგრძელება A3 გვერდზე



# რუსი გენერლები თავიანთი "ნამოღვაწარით" ტრაბახობენ

ქეთევან ჯაკობია

რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალს, გენერალ ალექსეი ევტეევს უფლებამოსილების ვადა დაუსრულდა. ამიერიდან, სამშვიდობო მისიას გენერალი სერგეი ჩაბანი უხელმძღვანელებს. 21 აპრილს რუსი გენერლები პრეზიდენტის რწმუნებულს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში კახა არდიას გაცნობითი ხასიათის ვიზიტით ესტუმრნენ.

**"სამი წელიწადი და ოთხი თვეა, აქ ვიმყოფები, ჯერ შტაბის უფროსის, ბოლო რვა თვე კი - სამშვიდობო ძალების სარდლის თანამდებობაზე. მოსკოვის შეთანხმების შესაბამისად, ჩვენ მანდატით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა შევასრულეთ. არ დავუშვით კონფლიქტის განახლების პრეცედენტი, სისხლისღვრა და უზრუნველვყავით მოლაპარაკებათა პროცესის შემდგომი წარმართვა. მე შევძელი და გიპატაკებთ, რომ ორი რაიონის სამართალდამცავ და ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან შესანიშნავი, ადამიანური ურთიერთობები დავამყარე. და ის, რომ დღეს ადგილობრივი მცხოვრებლები პატივისცემას გამოხატავენ, ჩვენი სარდლობისა და ხელმძღვანელობის მხრიდან ყოველდღიური, კეთილგანწყობილი დამოკიდებულების დასტურია,"** - განაცხადა გუბერნატორთან დახურულ კარს მიღმა შეხვედრის შემდეგ, "24 საათთან" საუბრისას გენერალმა ევტეევმა.

თავის მხრივ, ევტეევს ტრაბახში არც თავისი შემცვლელი, გენერალი ჩაბანი ჩამორჩა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აფხაზეთის ბიუჯეტის ამბიციური ვნებები

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

*მიმდინარე სამუშაო კვირა პარლამენტმა მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის აქტიური განხილვით დაიწყო. თუ აფხაზი პარლამენტარებისა და მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებს დავუჯერებთ, აფხაზეთის საბიუჯეტო პოლიტიკას რევოლუცია ელის.*

მომავალი წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტი სამჯერ გაიზრდება და 40 მილიონ დოლარს გადააჭარბებს. დღეისათვის კი აფხაზეთის წლიური ბიუჯეტი 15 მილიონ დოლარზე ნაკლებია. სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი ნაწილი რომ "ჩრდილშია", ამას დიდი ხანია, ამბობენ. თუმცა, ბიუჯეტის გასაზრდელად გადამჭრელი ზომების მიღება მხოლოდ ახლა გადაწყვიტეს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არც პარლამენტარებსა და არც მთავრობის წარმომადგენლებს ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ რევოლუციური ბიუჯეტი შესრულდება. ჯერ კიდევ 2003 წელს ეკონომისტებმა გამოთვალეს, რომ არსებულ ეკონომიკურ პირობებში სავსებით შესაძლებელია რესპუბლიკის ბიუჯეტი 50 მილიონი დოლარი იყოს. ამისათვის კი, ეკონომისტთა აზრით, საჭირო იყო საბაჟო და საგადასახადო უწყებების მუშაობის სრული გამჭვირვალობა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტი ყველაზე მეტად სწორედ ამ უწყებებიდან ივსება.

ეკონომისტებს, რომელთაც აღნიშნული ანალიზი გააკეთეს, არც კი დასცდენიათ, რომ ბიუჯეტის შევსება ეკონომიკური ზრდითაც შეიძლებოდა. ეკონომიკური ზრდა აფხაზეთში მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ სიტყვიერად იყო დეკლარირებული.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რეაგირება გაზეთის გავრცელების შეზღუდვაზე

"24 საათის" 22 აპრილის ნომერში ვიუწყებოდით, რომ კახეთში გაზეთის 21 აპრილის ნომრის გავრცელება შეიზღუდა, რასაც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თელავის ოფისში პრესკონფერენცია მიეძღვნა. გუშინ კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის პეტრე ცისკარიშვილისგან "24 საათის" რედაქციამ წერილი მიიღო, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

**"კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აღშფოთებას გამოთქვამს მიმდინარე წლის 21 აპრილს მომხდარი ფაქტის გამო. მხედველობაში გვაქვს ქ. თელავში არსებული საგაზეთო ჯიხურებიდან თქვენი გაზეთის ნომრების განზრახ ამოღების შემთხვევა. მათ შორის, არც რწმუნებულის ადმინისტრაციაში შემოსულა ჩვენ მიერ გამოწერილი "24 საათის" ნომერი. ჩვენ ვგმობთ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობას და გვერწმუნეთ, მომხდარი ფაქტი შესაბამისი რეაგირების გარეშე არ დარჩება."**

პატივისცემით,

*კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული პეტრე ცისკარიშვილი"*


APPARATUS OF THE STATE TRUSTEE OF THE PRESIDENT GEORGIA IN KAKHETI REGION

გაზეთ "24 საათის" რედაქტორს

პატივისცემით,

პ. ცისკარიშვილი

# დაძაბული ბრძოლა ქუთაისის მერიასა და სამხარეო ადმინისტრაციას შორის

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

იმერეთში ახალი პოლიტიკური დაპირისპირება დაიწყო. ამჯერად დაძაბული ორთაბრძოლა ქუთაისის ახალ მერიასა და ძველ სამხარეო ადმინისტრაციას შორის გაჩაღდა. ფარული დაპირისპირება ამ ორ უწყებას შორის მას შემდეგ დაიწო, რაც ბესიკ გულორდავას მიერ განხორციელებულ საკადრო წმენდაში ვიცე-გუბერნატორის რამდენიმე ახლობელი მოხვდა. რწუნებულის მოადგილეების - გიგა შუშანიასა და გიორგი თევდორაძის მეგობრისა და თანაგუნდელის კახა ქორიძის საორგანიზაციო განყოფილების უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლებას ვიცე-გუბერნატორების მხრიდან საპასუხო "დარტყმა" მოჰყვა. კერძოდ, დახურულ თათბირზე შუშანია და თევდორაძე ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსის სულხან ქობულაძის ოჯახის ბიზნეს-ინტერესებზე ალაპარაკდნენ.

**"კახა ქორიძე არის ჩემი უახლოესი მეგობარი, თანამებრძოლი, თანაგუნდელი და ჩემი თანამოაზრე. საუბარი იმაზე, რომ კახა ქორიძით იწყება ქუთაისის მერიაში საკადრო წმენდა, ჩემი აზრით, არის ნონსენსი და უსინდისობა. რაც შეეხება სულხან ქობულაძეს, ბუნებრივია, მისი პოლიტიკური ორიენტაცია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ჩართულნი იყვნენ "ვარდების რევოლუციაში", ვერ იქნებოდა მისაღები და მერიაში მის მოსვლას მაინცდამაინც გაგებით ვერ შეხვდებოდნენ,"** - აცხადებს გია თევდორაძე "24 საათთან" საუბარში.

**"მე ვარ ტრანსპორტის დარგის კურატორი და ელემენტარულად, ინფორმაცია უნდა მქონდეს, ვინ განიხილება ტრანსპორტის სამსახურის უფროსად ქალაქში,"** - მერის მიმართ პრეტენზიას გამოთქვამს გია გიორგაძე.

**"მე არ უნდა გამევლო კონსულტაციები გია თევდორაძესთან ამ საკითხზე, თუმცა შემეძლო, ინფორმაციის დონეზე ჩემეყენებინა საქმის კურსში,"** - აცხადებს ბესიკ გულორდავა.

დაპირისპირებისა და ფარული ინტრიგების მორიგი იერიში მერიის აპარატის უფროსს მანუჩარ ჩიტაიშვილს დაატყდა თავს. მისი ადრინდელი საქმიანობის დეტალების გამოსამზეურებლად მასალები ქუთაისის ფინანსურ პოლიციას რამდენიმე დღის წინ გადაეგზავნა. თავის მხრივ, საგამოძიებო დოკუმენტაციით ფინანსურ პოლიციას მერიაც ინტენსიურად ამარაგებს. შესაბამისად, ქუთაისის ფინანსური პოლიციის უფროსი სოსო გაბრიჩიძე "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნების დაჭერების მეორე სერია მალე სტარტს აიღებს.

მერიასა და სამხარეო ადმინისტრაციას შორის არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა, როცა "თავისუფლების ინსტიტუტის" კოორდინატორმა იმერეთში გოჩა ჩხეტიამ ბაღდათის არასამთავრობო ორგანიზაციები შეკრიბა, რომლებმაც ვიცე-გუბერნატორები შალვა დათუაძე და გიგა შუშანია კორუფციულ გარიგებებში დაადანაშაულეს. გოჩა ჩხეტია მერის არაოფიციალური


*ბესიკ გულორდავამ გზის მშენებლებს მაგალითი თავად მისცა.*

მრჩეველი გახლავთ და იმავდროულად რეფორმების კომისიის წევრია. მერიის ამ გამოწვევას სამხარეო ადმინისტრაციამ იმავე მეთოდით უპასუხა. 22 აპრილს ასპარეზზე არასამთავრობო ორგანიზაციების მეორე ჯგუფი გამოჩნდა, რომლებმაც ახალი მერის არალეგიტიმურობის საკითხი დასვა და ქუთაისის ახალი მთავრობის წევრების კორუმპირებულობის თემა წამოსწია.

**"ქუთაისს აღარ უნდა ელირსოს ლეგიტიმური ხელისუფლება? ორთვიანი მერებისა და ვიცე-მერების დრო უნდა დამთავრდეს!"** - აცხადებს "მოძრაობა ქუთაისისათვის" ლიდერი ომარ ნიშნიანიძე "24 საათთან" საუბარში.

"დემოკრატიის ხელშემწყობი ცენტრის" დირექტორი გიორგი მუქერია კი, რომელმაც ამ თანამდებობაზე ამჟამინდელი ვიცე-გუბერნატორი გიგა შუშანია შეცვალა, გულორდავას საკადრო პოლიტიკის გამო აკრიტიკებს: **"მე ვაპროტესტებ ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე ისეთი ოდიოზური ფიგურის დანიშვნას, როგორიც არის სულხან ქობულაძე. ეს პიროვნება დადიოდა ფალიანთანაც და გიორგაძესთანაც და სთხოვდა, სარფიან სამსახურში გამიშვითო. მაინცდამაინც გულორდავა ადგა და გადაუწყვიტა მას ეს საკითხი."**

**"ყველა ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ეკუთვნის ერთ ადამიანს, თემურ სულაძეს, რომელიც ქუთაისში მუშაობს მოსაკრებლების სამსახურის უფროსად. მას აქვს არასამთავრობო ორგანიზაციათა მთელი ქსელი, რომელსაც იყენებენ როგორც ფულის შოვნისთვის, ისე პოლიტიკური მიზნებისთვის. სწორედ ეს ორგანიზაციები იყვნენ, სულაძის ხელმძღვანელობით, რომლებმაც დააშანტაჟეს წინა მერი და აიძულეს ის, რომ დაენიშნათ სულაძე მოსაკრებლების სამსახურში. ამის მერე გია გიორგაძე გახდა არაჩვეულებრივი ადამიანი. სულაძემ ჩვენი მოსვლის დღიდან იცოდა, რომ ის დაემშვიდობებოდა თანამდებობას, იმიტომ, რომ მისი რეპუტაცია იყო ფრიად შელახული. ამიტომ ეს ბრალდებები არის იგივე შანტაჟი, რაც იყო გიორგაძის დროს, რომ ამ ადამიანებმა თანამდებობები შეინარჩუნონ,"** - აცხადებს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი "24 საათთან" საუბარში.

**"ეს ორგანიზაციები არიან დამოუკიდებელი სუბიექტები და მე არცა მაქვს უფლება, მათ საქმიანობაში ჩავერიო, ამიტომ ასეთი შეფასება არასწორია. თუ ბატონი ბესო თანამდებობიდან გასაშვებად ასეთ მოტივს ასახელებს, მიჩუქნია მათთვის ეს თანამდებობა. მე თანამდებობაზე გართულება არა მაქვს,"** - აცხადებს თემურ სულაძე "24 საათთან" საუბარში.

ბესიკ გულორდავა ამბობს, რომ თემურ სულაძე შანტაჟის გზით მასთანაც შეეცადა პოზიციების გამყარებას: **"გუშინ ის მივიდა ჩემს მოადგილესთან ბესიკ ბრეგაძესთან და პირდაპირ უთხრა: ბესიკ გულორდავა მე არ მაგდებს არაფრად, ამიტომ მე მივდივარ, ვწერ განცხადებას, მაგრამ მოგიწყობთ მიტინგებს, გექნებათ ძალიან მაგარი პრობლემები, 10 მაისს, ბუშის ვიზიტის დროს მოვა აქ ადამიანი და დაიწყებს შიმშილობასო. ასევე, დაგიდებთ ყველა ინფორმაციას ვიღაც-ვიღაცებზეო, რომელიც არის ბესო გულორდავას გარემოცვა და აშანტაჟებდა ჩემს ნათესავებს პოლიციით. ის არის პროფესიონალი შანტაჟისტი. ეს არის ოფიციალური მაფია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ აქ არის რამდენიმე კლანი, რომლებიც წლების მანძილზე ერთმანეთთან შეთანხმებულად ჯიჯგნიდნენ ქუთაისს."**

სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის შემოტევების პარალელურად, ბესიკ გულორდავას იმ ფირმებთანაც მოუხდა დაპირისპირება და ბრძოლა, რომლებიც ახალახან, ტენდერის გზით, თავად მის მიერ ხელდასმულმა კომისიამ შეარჩია და ქუთაისში გზების დაგების უფლება მიანიჭა. საქმე ის გახლავთ, რომ ტენდერში გამარჯვებული ფირმები - "ტრანსინვესტინჟინერინგი 12" და "გზამშენი 21" მერის მოვალეობის შემსრულებელმა ქუთაისში გზების დაგების სამუშაოების შეგნებულად გაჭიანურებაში შენიშნა.

**"წლების განმავლობაში ქუთაისში იყო გარიგებები ამ ფირმებთან. მათ მერიაში მოჰქონდათ წილები 15-დან 30 პროცენტამდე. წელს პირველად იყო, რომ მათგან არავის არაფერი მოუთხოვია, სამუშაოს პატიოსნად შესრულების გარდა. ეს გათავხედებული ხალხი ადგა და, ფაქტობრივად, საბოტაჟი მომიწყვეს. ერთმა მითხრა, რომ 18 დღე ვერ დაიწყებდა სამუშაოებს. მეორემ კი, "გზამშენმა", რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაა, ისე მოაწყო, რომ სამი დღის განმავლობაში ვერაფრით ვერ მოვაწერინე ხელი ხელშეკრულებაზე. ეს იყო დადგმული სცენარი იმისთვის, რომ მერიას ვერ დაეწყო გზების შეკეთება და ხალხისთვის ეჩვენებინათ, თითქოს ჩვენ ასეთი უუნაროები ვართ. მე ეს გეგმა სასწრაფოდ გამოვიცანი და დავიწყე მოქმედება,"** - აცხადებს ბესიკ გულორდავა.

მოქმედება კი იმაში გამოიხატა, რომ "გზამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს მერიამ ფირმის დირექტორის პაატა მერკვილაძის სამსახურიდან გათავისუფლება მოსთხოვა, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე ყოფილმა ვიცე-მერმა გივი ჯიბლაძემ დანიშნა. თუმცა პაატა მერკვილაძის დათხოვა მაინ ვერ მოხერხდა.

**"მე მათ მივეცი ორთვიანი ვადა. ამ პერიოდში ისინი ან გააკეთებენ გზებს, ან პირდაპირ წავლენ ციხეში,"** - აცხადებს ბესიკ გულორდავა.

ტენდერში გამარჯვებულმა ფირმებმა მუქარის შემდეგ სამუშაოების განხორციელება დაიწყეს, თუმცა ამისთვის მაგალითის მიცემა თავად მერის მოვალეობის შემსრულებელს მოუხდა.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის მოწინააღმდეგე ბანაკში ხმამაღლა საუბრობენ, რომ ორ თვეში ბესიკ გულორდავა ფალიანისა და გიორგაძის გზას დაადგება. თავად გულორდავა კი იმედოვნებს, ნამდვილ "ვარდების რევოლუციას" ქუთაისში სწორედ მისი გუნდი აჩვენებს ხალხს. სამხარეო ადმინისტრაციასა და მერიას შორის არსებულ დაძაბულ ბრძოლაში, ალბათ, გამარჯვებული მას შემდეგ გამოვლინდება, რაც იმერეთში ახალი გუბერნატორი დაინიშნება. მანამდე კი რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ქაჯაია, როგორც თავად ამბობს, "გამწონას-წორებლის" როლს შეასრულებს ქუთაისისა და მხარის ხელისუფლებას შორის.

## მოკლედ

### არაღიარებული რესპუბლიკების ლიდერების სამიტი სოხუმში

აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკების პრეზიდენტთა სამიტი სოხუმში, 28 აპრილს გაიმართება. სამიტში მონაწილეობის მისაღებად სოხუმს 27 აპრილს ეწვევიან სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთის და მთიანი ყარაბაღის თვითაღიარებული რესპუბლიკების პრეზიდენტები - ედუარდ კოკოითი, იგორ სმირნოვი და არკადი გუკასიანი.

სოხუმის სამიტს წინ უძღოდა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის მოსკოვში გამართული მოლაპარაკება. 3-5 აპრილს მხარეებმა პრეზიდენტთა სამიტის მოსამზადებელი კონსულტაციები ჩაატარეს.

როგორც შეხვედრის შემდეგ სოხუმის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი შამბამ აღნიშნა, "სოხუმის სამიტზე პრეზიდენტები ხელს მოაწერენ ერთობლივ დოკუმენტს, რომელშიც დაადასტურებენ მზადყოფნას სამხედრო აგრესიის შემთხვევაში ურთიერთდახმარების შესახებ.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების კოჯრის სპეციალური დანიშნულების ბრიგადის 39 სამხედრო მოსამსახურე დღეს თურქეთის რესპუბლიკაში გაემგზავრება.

ისინი ქალაქ იზმირში, თურქეთის შეიარაღებული ძალების საპარაშუტო ცენტრში სპეცდანიშნულების მომზადების კურსის დამასრულებელ ეტაპს - სამკვირიან საპარაშუტო მომზადებას გაივლიან.

სწავლების პერიოდში ჯგუფის წევრები სხვადასხვა ტიპის ათამდე საპარაშუტო ხტომას შეასრულებენ. ჯგუფს უფროსი ლეიტენანტი ზურაბ ხუროშვილი უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილთან საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებთან და პირობებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს. ამის შესახებ "რია ნოვოსტის" დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტში აცნობეს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაური რუსეთს 25 აპრილს სამუშაო ვიზიტით ეწვევა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, რუსული სამხედრო ბაზების საკითხების გარდა, მომავალი მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში ასევე ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის საკითხი იქნება. ინტერ-პრესი

# დათბა და ცეცხლის წამკიდებლებიც გააქტიურდნენ

გურიაში უკვე კარგად აპრობირებულ საქმედ იქცა ძეძვნარით დაფარული, გაველურებული თუ ჯერ კიდევ შემორჩენილი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციების გადაწვა. ასეთი ფაქტები მას შემდეგ გახშირდა, რაც ჩაის კულტურამ პერსპექტივა დაკარგა. გადამწვარ ფართობებს, ძირითადად, კარტოფილისა და სხვა ერთწლიანი კულტურების სათესად იყენებენ. ამ საქმეს მეორე მხარეც აქვს: ცეცხლის წამკიდებლები ჩაისა და ტყე-ბუჩქნართან ერთად, კრიპტომერიის ქარსაფარ ზოლსაც ანადგურებენ, რადგან ხანძრისაგან დაზიანებული ხეები მორების სახით სარფიანად იყიდება. გუშინ, ჯერეჯერობით, დაუდგენელმა პირებმა ცეცხლი წაუკიდეს დაბა ლაითურის ტერიტორიაზე არსებულ ჩაის პლანტაციას, რის შემდეგაც მავნებელთა მეორე ბოროტი ჩანაფიქრიც იქნა რეალიზებული - განადგურდა ქარსაფარი ზოლი. ხანძრის ადგილას იმყოფებოდნენ ოზურგეთის გამგებელი ვალერი ჩიტაიშვილი, პოლიციის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს მაღალჩინოსნები. შექმნილია რაიონული გამგეობის კომისია, რომელიც ზარალის მოცულობას სწავლობს და აზუსტებს.

*თამაზ ხარაიშვილი*
*ოზურგეთიდან*

# აჭარის ენერგოკომპანიის დირექტორი ფინანსური პოლიციის ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს

აჭარის ენერგოკომპანიის ამჟამინდელი დირექტორი რუსლან ხოროშვილი ფინანსურ პოლიციას უპირისპირდება და აცხადებს, რომ აჭარის ფინანსურმა პოლიციამ ენერგოკომპანიაში, სახელმწიფო ქონების გაფლანგვის მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აბსურდულ ბრალდებებზე დაყრდნობით აღძრა.

როგორც რუსლან ხოროშვილმა დღეს საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თანხა, რომელსაც ფინანსური პოლიცია კომპანიას ედავება, დანაკარგია და არა გაფლანგული. "ენერგოსექტორში დანარკარგის გარეშე მუშაობა შეუძლებელია", - დასძენს დირექტორი.

დღეს რუსლან ხოროშვილი აჭარის ენერგოკომპანიის ყოფილ დირექტორსა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ამჟამინდელ ხელმძღვანელს გია თავაძესაც გამოესარჩლა. მისი თქმით, თავაძის დროს კომპანიაში დანაკარგი ორჯერ და სამჯერ მცირე იყო, ვიდრე სხვა რეგიონულ ენერგოკომპანიებში.

აჭარის ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე 2004 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის დეკემბრამდე აჭარის ენერგოკომპანიაში სახელმწიფო ქონების გაფლანგვის მუხლით აღძრა. ფინანსური პოლიცია კომპანიას 7 მილიონ ლარს ედავება. ამის გამო, ფინანსური პოლიცია კომპანიაში გია თავაძის მუშაობის პერიოდითაც დაინტერესდა. ხოროშვილი იმედოვნებს, რომ კომპანიაში ექსპერტებს მიიწვევენ და აღნიშნული ბრალდება არ დამტკიცდება.

*ინტერ-პრესი*

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 1,800,000 (ერთი მილიონ რვაასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 26 აპრილს, გამოტანილ იქნება N13 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 წლის 27 აპრილს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 27 აპრილის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ " დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმის მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**




მთავარი რედაქტორი მამუკა ფარულავა. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ეთერ გაბიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია იასამანიშვილი, დინარა შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნიქარაშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ანწელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# დღეს კრწანისში ახალი სამხედრო პროგრამა გაიხსნება

ვერიკო თევზაძე

*"წრთვნისა და აღჭურვის" ქართულ-ამერიკული პროგრამა "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების" პროგრამამ შეცვალა, რომლის გახსნის საზეიმო ცერემონიალი დღეს კრწანისის სასწავლო ცენტრში გაიმართება. აშშ ამ პროგრამისათვის 50 მილიონ დოლარს გამოყოფს.*

"წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ("ჯითები"-ის) სამივე ფაზის დასრულების შემდეგ, დამფინანსებელმა მხარემ - შეერთებულმა შტატებმა, პროგრამის წარმატებულობის შესახებ საჯაროდ განაცხადა. გადაწყდა, რომ ორ ქვეყანას შორის აქტიური სამხედრო თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება.

"სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების" ახალი პროგრამის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია.

პროგრამის მიზანია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის დამყარება და განმტკიცება. ის საქართველოს სამხედრო ძალების გაძლიერებას ითვალისწინებს. პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით, 1800 სამხედრო მოსამსახურე გაიწვრთნება.

როგორც "24 საათს" საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ლევან ნიკოლეიშვილმა განუცხადა, აღნიშნული პროგრამის დაფინანსება შეერთებულ შტატებს 50 მილიონი დოლარი დაუჯდება.

ახალი პროგრამის მონაწილეებთან გაფორმებული კონტრაქტი არსებითად განსხვავდება იმ ხელშეკრულების პირობებისგან, რომელიც დავით თევზაძის მინისტრობის დროს შემუშავდა და "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მსვლელობისას მოქმედებდა. კერძოდ, ახალი კონტრაქტი პირობებს ამკაცრებს. სახელმწიფო ჯარისკაცთან ოთხწლიან ხელშეკრულებას აფორმებს. თუ ჯარისკაცი კონტრაქტს დაარღვევს, იგი გადაიხდის ჯარიმას, რომლის მაქსიმალური ღირებულება 14 ათასი ლარია. ამ გზით სახელმწიფო შეძლებს, აინაზღაუროს ის ხარჯები, რომელიც ჯარისკაცის მომზადებაში დახარჯა. როგორც ცნობილია, ძველმა კონტრაქტმა არ გაამართლა. ამის ნათელი მაგალითია საჩხერის ბატალიონი, რომლის წევრებმა გაწვრთნისა და ერაყის სამშვიდობო ოპერაციების დასრულების შემდეგ გარკვეული სოციალური პირობები გაიუმჯობესეს და ჯარი დატოვეს. ბატალიონი, ფაქტობრივად, დაიშალა.

ახალი პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე ქუთაისის მეორე ქვეითთა ბრიგადის 23-ე ბატალიონის პირადი შემადგენლობა გაიწვრთნება. ცხრაკვირიან წვრთნებს ამერიკელი საზღვაო ქვეითები გაუძღვებიან. 23-ე ბატალიონის ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად მომზადება აგვისტოში დასრულდება და მას ქუთაისის ბრიგადის 22-ე ბატალიონი შეცვლის.

გაისად, სტაბილურობის პროგრამის ფარგლებში, წვრთნებს ვაზიანის პირველი და ქუთაისის მეორე ბრიგადების საშტატო ასეულები გაივლიან.

"24 საათის" კითხვას - დაგეგმილია თუ არა ახალი ამერიკული პროგრამის მონაწილეების ჩართვა უცხოეთის სამშვიდობო ოპერაციებში? - გენშტაბის უფროსმა ლევან ნიკოლეიშვილმა უპასუხა: **"შესაძლებელია, თუ ამის სურვილი და შესაბამისი მომზადების დონე იარსებებს."**

# ტელეჟურნალისტს ტელევიზორი აწაპნეს

ოზურგეთში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, დაუდგენელმა პირებმა გაძარცვეს საზოგადოებრივი ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის გურიის წარმომადგენლობის უფროსის, იმავდროულად გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პრესსამსახურის უფროსის ლელა თავართქილაძის საცხოვრებელი სახლი, საიდანაც, სხვადასხვა საოჯახო ნივთებთან ერთად, მოიპარეს უცხოური წარმოების ტელევიზორი. ამდენად, საზოგადოებრივი ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელს ახალი, მათ შორის მის მიერ მომზადებული ინფორმაციების მოსმენა მეზობლის ტელევიზორით უხდება. როგორც რაიონულ პოლიციაში ამბობენ, მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები დანაშაულში ეჭვმიტანილის დასაკავებლად.

*24 საათი*

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა“ თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის“ მსმენელთან
ყოველ ხუთშაბათს გადაცემა „ამბადასორი“ 11-იდან 12 საათამდე



მისი აღმატებულება აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში ბატონი რამიზ ჰასანოვი

წამყვანები: გაგა გორგოშიძე
სტუმარი: ქალბატონი ევა ბურგერი, ავსტრიის საელჩო საქართველოში

რამიზ ჰასანოვი:

დავიბადე და 1978 წლამდე ვცხოვრობდი საქართველოში, ასე რომ, მე მაქვს ჩემი, პირადი "თბილისი" და ჩემი "საქართველო".

1978 წელს ჩავაბარე მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ 90-იან წლებში დავბრუნდი სამშობლოში და მონაწილეობა მივიღე აზერბაიჯანის საერთაშორისო საგარეო პოლიტიკური კურსის სამინისტროს შექმნაში.
საქართველო არის ჩემი პირველი ქვეყანა როგორც ელჩისთვის.
აზერბაიჯანის და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების დონე არის მისაბაძი ყველა ქვეყნისთვის, მაგრამ საგაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები არ არის იმ დონეზე, რისი პოტენციალიც ჩვენ ქვეყნებს გააჩნია.
ძალიან მიამოვნებს, რომ ჩემმა ქალიშვილმა თავისით მოინდომა ქართულის სწავლა და 8 თვეში ბრწყინვალედ საუბრობს ქართულად, ლოგიკურ ბაქოური აქცენტით. ასე რომ, ჩემი გოგონა უკვე ნამდვილი თბილისელია.

# ერთი წელი საკანონმდებლო ოლიმპზე

პირველი გვერდიდან

თუმცა, ორგანიზებულობის მხრივ, საკანონმდებლო ორგანო ჯერ კიდევ საკმაოდ მოისუსტებს.

ასე მაგალითად, გუშინ კენჭი ეყრებოდა უკრაინის მინისტრთა კაბინეტთან გაფორმებულ დოკუმენტს, რომელიც საიდუმლო დოკუმენტაციის დაცვის საკითხებს შეეხება. მის რატიფიცირებას მხოლოდ 113-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი (ძალაში შესასვლელად საჭირო იყო, მინიმუმ, 118 ხმა). ამის მიზეზი მხოლოდ პარლამენტართა უყურადღებობა იყო და, არამც და არამც - პოლიტიკური სარჩული. ამიტომ, მეგობარი ქვეყნის ხელმძღვანელობასთან უსიამოვნო ახსნა-განმარტებებს, ნინო ბურჯანაძემ ისევ რეგლამენტის დარღვევა ამჯობინა და დოკუმენტი კენჭისყრაზე მეორედ დააყენა. მეორე ცდა, პირველისგან განსხვავებით, წარმატებული აღმოჩნდა.

"იუბილარებს" გუშინ კიდევ ერთი "იაღლიში" მოუვიდათ. ერთ-ერთი კენჭისყრის წინ, რომელიც ფარულ რეჟიმში უნდა ჩატარებულიყო, სპიკერმა დეპუტატები გააფრთხილა, რომ მონიტორი ჩვეულებრივისგან განსხვავებულად იმუშავებდა. მიუხედავად ამისა, კენჭისყრის მიმდინარეობისას, თითქმის მთელმა დარბაზმა ერთმად იხუვლა, რომ პულტები არ მუშაობდა.

**"ერთი წელია, დეპუტატები ხართ და კიდევ ვერ ისწავლეთ, რომ ფარული რეჟიმი ღია კენჭისყრისგან განსხვავდება,"** - მკაცრად დატუქსა სპიკერმა "უცოდინარი" კანონმდებლები.



*პარლამენტარებმა ბევრი იბჭეს და 18 კანდიდატიდან მხოლოდ 6 დაამტკიცეს.*

რაც შეეხება თავად ფარულ კენჭისყრას, იგი საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრთა გამოსავლენად ჩატარდა. პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი 18 კანდიდატიდან პარლამენტს 9 უნდა შეერჩია. თუმცა, ბარიერის გადალახვა მხოლოდ ექვსმა მოახერხა. ესენი არიან: ნინო ანანიაშვილი (112 მომხრე, 17 წინააღმდეგი), ფრიდონ თოდუა (114 მომხრე, 20 წინააღმდეგი), თამარ კინწურაშვილი (113 მომხრე, 18 წინააღმდეგი), გია ნოდია (127 მომხრე, 14 წინააღმდეგი), ალექსანდრე რონდელი (139 მომხრე, 9 წინააღმდეგი) და გია ხუბუა (115 მომხრე, 15 წინააღმდეგი). დანარჩენი 12 კანდიდატიდან საჭირო 111 ხმა ვერავინ მოაგროვა.

ვინაიდან სამეურვეო საბჭო მხოლოდ ნაწილობრივ დაკომპლექტდა, სამი ვაკანსიის შესავსებად, პრეზიდენტ სააკაშვილს პარლამენტისთვის კანდიდატურების წარდგენა კიდევ ერთხელ მოუწევს.

გუშინ ხელმოცარულები დარჩნენ "კონსერვატორებიც": ჩავარდა მათი ინიციატივით შემუშავებული დადგენილების პროექტი "მოქალაქეთა კუთვნილი ანაბრების გაუფასურებისა და ბლოკირების მიზეზების, აგრეთვე, სახელმწიფო შემნახველი ბანკების პრივატიზების კანონიერების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ" (46 მომხრე, 21 წინააღმდეგი, კვორუმი 81). ასე რომ, მეანაბრეთა საკითხების შემსწავლელ კომისიას, პარლამენტის გადაწყვეტილებით, შექმნა არ უწერია.

გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში ენერგეტიკის სექტორში არსებულ დარღვევათა შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიისთვისაც "მოიძებნა ადგილი". მისი თავმჯდომარე გია ნაცვლიშვილი დეპუტატების წინაშე საკმაოდ ვრცელი მოხსენებით წარდგა, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი ის სქემა, რომლითაც ყოფილი "ენერგომამები", ქვეყნის ჩაბნელების ხარჯზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან და უცხოური კრედიტებიდან მილიონებს იჯიბავდნენ.

შეიჭამა 600 მილიონი დოლარი, კიდევ 120 მილიონი მეზობელმა ქვეყნებმა ვალად დაგვადეს, პლუს, დაინგრა ადგილობრივი ენერგოსისტემა და მთლიანად რუსეთს მივეჯაჭვეთ, - დაახლოებით ასეთია ნაცვლიშვილის კომისიის ექვსთვიანი მუშაობის ძირითადი დასკვნა.

**"ახლა მივხვდი, რომ დავით მირცხულავა დასაჭერი კი არა, დასახვრეტია,"** - აღშფოთება ვერ დამალა მოხსენების მოსმენის შემდეგ დეპუტატმა ბესო ჯუღელმა.

# სუუამის წევრებს მისი გაძლიერება სურთ

პირველი გვერდიდან

სამიტს მიხეილ სააკაშვილი თავმჯდომარეობდა. საქართველოს უკვე ორი წელია, ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტი უჭირავს, თუმცა დღეიდან ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას მოლდოვის პრეზიდენტი ვორონინი იკისრებს. სამიტის გახსნისას მოლდოვის პრეზიდენტმა ხალხური სიბრძნე გაიხსენა და აღნიშნა, რომ თუ წვიმა მოდის, ე.ი. იმ დღეს დაწყებული საქმე კარგად წავაო. ვორონინის აზრით, საქმე მხოლოდ იმ შემთხვევაში გაამართლებს, თუ სუუამის წევრი ორგანიზაციები აშშ-სთან და ევროკავშირთან მჭიდროდ ითანამშრომლებენ. **"იმედი გვაქვს, რომ ეს თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებში ტერიტორიული მთლიანობის, დემოკრატიისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას ხელს შეუწყობს,"** - განაცხადა ვორონინმა.

მოლდოვის პრეზიდენტმა ტრიბუნა რევოლუციონერ კოლეგებს დაუთმო.

კიშინიოვში გამგზავრებამდე სააკაშვილმა განაცხადა, რომ სუუამის სამიტზე მორიგი "ფერადი რევოლუციის" ქვეყანა დასახელდებოდა. გუშინ არც საქართველოს პრეზიდენტს და არც მის სხვა რომელიმე კოლეგას მომავალი რევოლუციის სამშობლო პირდაპირ არ დაუსახელებია. თუმცა, ირიბი მინიშნებებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ქვეყანა ბელორუსია.

სააკაშვილი მოლდოვას დნესტრისპირეთის საკითხის გადაწყვეტაში მხარდაჭერას დაჰპირდა. **"ევროპაში შავი ხვრელები არ უნდა არსებობდეს,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. მისი თქმით, სუუამის წევრი ქვეყნები მხარდაჭერას არც ბელორუსისთვის დაიშურებენ. **"ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბელორუს ხალხს სრული უფლება აქვს, თავისუფალი არჩევანი გააკეთოს. მათ აქვთ სიტყვის, აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება. სუუამის ქვეყნები მზად ვართ, ბელორუსში დემოკრატიული პროცესების განვითარებას ოფიციალური დოკუმენტით დავუჭიროთ მხარი,"** - აღნიშნა სააკაშვილმა.

იმ დროს, როდესაც კიშინიოვში სუუამის წევრი ქვეყნების ლიდერები ბელორუსული დემოკრატიის განვითარებაზე წუხდნენ, ამ ქვეყნის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო კრემლს სტუმრობდა და პუტინთან რუსეთ-ბელორუსის ინტეგრაციის საკითხებს აგვარებდა. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებამ ლუკაშენკოს ხელისუფლება საკმაოდ გაანაწყენა. **"სააკაშვილმა ჯერ საკუთარი ხალხის ყოფა ბელორუსი ხალხის ცხოვრებას შეადაროს და მერე ილაპარაკოს,"** - შემოუთვალა საქართველოს პრეზიდენტს ბელორუსის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვიქტორ გაისენოკმა, რომელსაც ჟურნალისტებმა სააკაშვილის კიშინიოვური გამოსვლის კომენტირება სთხოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ სუუამის სამიტზე რუსეთი დამკვირვებლის სახითაც კი არ მიიწვიეს, ამ ქვეყანაზე გუშინ კიშინიოვში ბევრს საუბრობდნენ. საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ყველა ძირითადი პრობლემა გადაწყდება, თუკი რუსეთი სუუამის წევრი ქვეყნების ტერიტორიებიდან საკუთარი სამხედრო ბაზების გაყვანას ინებებს. **"უცხო ქვეყნის ჯარები არ უნდა იყვნენ განლაგებული სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, მაშინ, როცა ამ ქვეყნის მოსახლეობა ამის კატეგორიული წინააღმდეგია. მე ღიად ვაცხადებ, რომ რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოში ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ არის განლაგებული. ეს საკმაოდ ცუდად აისახება ორი ქვეყნის ურთიერთობაზე,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

უკრაინის პრეზიდენტს კიშინიოვის სამიტზე დნესტრისპირეთის კრიზისის მოგვარების პროგრამა უნდა წარმოედგინა, თუმცა გუშინ დილიდანვე ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა. მიუხედავად ამისა, იუშენკომ მაინც ჩამოთვალა შვიდი თეზისი, რომელთა გათვალისწინებაც, მისი აზრით, დნესტრისპირეთის კრიზისის დარეგულირებას ხელს შეუწყობს. მთავარი თეზისები გახლდათ ახალი თავისუფალი არჩევნები დნესტრისპირეთის პარლამენტში და ამ რეგიონში საერთაშორისო დამკვირვებლების მუშაობის გააქტიურება.

უკრაინის პრეზიდენტმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ სუუამის წევრი ქვეყნები ევროატლანტიკური და ევროპული ოჯახებისკენ უნდა ისწრაფოდნენ. იუშენკოს ინიციატივით, სუუამის ბაზაზე სერიოზულ რეგიონული ორგანიზაცია უნდა ჩამოყალიბდეს, რომელსაც საკუთარი შტაბ-ბინა და წესდება ექნება. **"ეს ორგანიზაცია შავი ზღვისა და კასპიის რეგიონის სტაბილურობის გარანტად უნდა იქცეს,"** - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა. **"სუუამის ფარგლებში თანამშრომლობა ახალ სიმაღლეზე ადის. ამას მოწმობს დღევანდელ სამიტზე ლიტვისა და რუმინეთის პრეზიდენტების მობრძანებაც,"** - აღნიშნა იუშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტის ინიციატივა იყო, ასევე, სუუამის ფარგლებში სამხედრო კავშირის ჩამოყალიბება, თუმცა ამ ეტაპზე იუშენკოს ინიციატივას სერიოზული განხილვა არ მოჰყოლია.

სამიტის ყველა მონაწილე ერთხმად აცხადებს, რომ რუსეთის სამხედრო ბაზებმა საქართველოსა და მოლდოვას ტერიტორიები უნდა დატოვონ. სწორედ ამ თემას მიეძღვნა გუშინ ხელმოწერილი ერთადერთი დოკუმენტი - კიშინიოვის დეკლარაცია, სახელწოდებით "დემოკრატიისთვის, სტაბილურობისთვის და განვითარებისთვის". ამავე დოკუმენტში საუბარია სუუამის წევრ ქვეყნებში დემოკრატიზაციის განვითარებაზე, ასევე "გაყინული" კონფლიქტების დარეგულირებაზე და ევროპული ინტეგრაციისაკენ სწრაფვაზე.

დნესტრისპირეთის საკითხთან დაკავშირებით სამიტის მონაწილეთა მოსაზრებები გაიყო. იუშენკოს წინადადება, დნესტრისპირეთში არჩევნების ჩატარების შესახებ, რუმინეთის პრეზიდენტმა არ მოიწონა. **"დემოკრატიის სრული არარსებობის პირობებში რომელ არჩევნებზეა საუბარი?"** - გაიკვირვა ტრაიან ბესეკუმ.

სუუამის სამიტის გამართვის იდეა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა იმთავითვე დადებითად შეაფასა. აშშ-ს ამ ორგანიზაციით დაინტერესებას ისიც მოწმობს, რომ გუშინ კიშინიოვში გამართულ შეკრებას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი ევრაზიის საკითხებში სტივენ მანიც ესწრებოდა.

რუსულმა პრესამ კიშინიოვის სამიტს საინფორმაციო ომი გამოუცხადა. "Саммит неоправдавшихся надежд" - ასე უწოდებს გუშინდელ შეკრებას საინფორმაციო სააგენტო "რია-ნოვოსტი". მაინც რა შედეგს ელოდნენ რუსი ჟურნალისტები ამ შეხვედრისგან, უცნობია. ალბათ, ისეთს, როგორიც დსთ-ს სამიტებს მოჰყვება ხოლმე.

იქნებ ეგონათ, რომ კიშინიოვში მიიღებდნენ დადგენილებას რუსეთის ჯარების საქართველოდან დაუყოვნებლივ გაყვანის თაობაზე? თუ ასეა, მაშინ ჩვენს რუს კოლეგებს შევახსენებთ, რომ ამგვარ დოკუმენტს ბევრად უფრო ადრე - 1999 წელს უკვე მოეწერა ხელი, და სუუამზე ბევრად უფრო პოპულარული ორგანიზაციის - ეუთო-ს სამიტზე.

# რუსი გენერლები თავიანთი "ნამოღვაწარით" ტრაბახობენ

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ მოსკოვის შეთანხმებით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას გავაგრძელებთ. დამკვიდრდა კარგი ტრადიციები, ურთიერთობები თქვენი ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობასთან და ჩემი მიზანი ამ ტრადიციების გაგრძელებაა. არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ დაძაბულობის კერის გამოვლინებას და იმ ფაქტს, რომ დაძაბულობის მიზეზი რუსეთის სამშვიდობო ძალების ქვედანაყოფები გახდნენ,"** - თქვა მან.

**"ჩემი მკაცრი მოთხოვნაა, რომ რუსი სამშვიდობო იქნება თუ უცხოელი დამკვირვებელი, ყოფით დონეზე, ყველამ ქართული ცხოვრების წესით იცხოვროს,"** - ამბობს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში კახა არდია.

შეხვედრის წინა ღამით, გალის რაიონის სოფელ ღუმურის რუსეთის სამშვიდობო ძალების 108-ე საგუშაგოსთან 20 წლის ქართველი ახალგაზრდა ლაშა რიგვავა მოკლეს. ის გალის რაიონში დედის სანახავად იყო ჩასული, მამა სოფელ ღუმურის გამგებლად მუშაობდა. თვითმხილველთა თქმით, ლაშა რიგვავა სახლიდან რუსმა ჯარისკაცებმა გაიყვანეს, ცოტა ხანში კი სროლის ხმა გაისმა. მათივე განცხადებით, რიგვავა დახვრეტამდე ნაწამებია.

რუსეთის სამშვიდობო ძალების აწ უკვე ყოფილი სარდალი ალექსეი ევტეევი მომხდარის დეტალებს გამოძიების დასრულებამდე ვერ აკონკრეტებს, ქართველი ახალგაზრდის დაღუპვის გამო ბოდიშს იხდის და აცხადებს, რომ რუსი სარდლობა განსაკუთრებით მკაცრია თავისივე კანონდამრღვევი ჯარისკაცების მიმართ.

რუსი გენერლების ვიზიტის პარალელურად, ენგურის ხიდთან შეკრებილმა ახალგაზრდებმა საპროტესტო აქცია გამართეს. დაიწვა ჩექმა, რომელიც სიმბოლურად რუს ჯარისკაც "ვანიას" ეკუთვნოდა. 300 მეტრით საგუშაგოსთან მიახლოებული ახალგაზრდები რუს სამშვიდობოებს სახლებში დაბრუნებისკენ მოუწოდებდნენ.

# აფხაზეთის ბიუჯეტის ამბიციური ვნებები

პირველი გვერდიდან

და რაც მთავარია, დღესაც, მთავრობა ვერაფრით უკავშირებს ერთმანეთს საბიუჯეტო შემოსავლებსა და ეკონომიკურ ზრდას.

ინვესტიციების ტალღა, რომელმაც ლამის გადაფაროს მთელი აფხაზეთი, მოგებასა და დივიდენდებს ხვალ ვერ მოიტანს. ეს უფრო შორეული პერსპექტივაა.

შიდა ეკონომიკური რესურსების განვითარებაზე საუბარიც მხოლოდ ახლა იწყება. ამდენად, მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდის პირობა დადო და აქტიურად შეუდგა სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის ეფექტურად ამუშავებას. ამ სტრუქტურის წინაშე ძალიან "მარტივი" ამოცანა დგას - აკრეფილი საბაჟო გადასახადების რაოდენობა ორჯერ გაიზარდოს.

როგორც მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, საბაჟო კომიტეტი ყოველთვის ეფექტურად მუშაობდა, მაგრამ ფულადი შემოსავლების ნახევარი, უბრალოდ, ბიუჯეტში არ ირიცხებოდა. ამიერიდან კი, მთავრობის თქმით, ვითარება შეიცვლება.

პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი პირობას დებს, რომ კორუმპირებულ მებაჟეებს სამსახურიდან გაათავისუფლებს და ციხეში ჩასვამს. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ, საბაჟო კომიტეტს გადასახადების ხუთი პროცენტის განკარგვის უფლება ჩამოერთვა. ეს თანხები საბაჟოს კეთილმოწყობისთვის, სხვადასხვა დანადგარებისთვის, ტრანსპორტისთვის და ა.შ, გამოიყენებოდა. ამიერიდან ამ ყველაფერს საბაჟო ბიუჯეტიდან მიიღებს.

როგორც ვხედავთ, მთავრობას, რომელიც ბიუჯეტს სამჯერ ზრდის, ეკონომიკური ზრდის იმედი არა აქვს და არც ძირითადი საბიუჯეტო სტრუქტურების რეფორმირებას აპირებს. მთავრობას მხოლოდ ერთი რამის იმედი აქვს - გათვლა უშუალოდ საბაჟო კომიტეტსა და გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროში დაგეგმილ მკაცრ ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე კეთდება.

მთავრობას არც იმის იმედი აქვს, რომ მომავალ წელს სერიოზულ შემოსავალს ბუნებრივი რესურსებისგან მიიღებს. ამ სფეროდან მიღებული შემოსავლები ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მეოთხედზე მეტს შეადგენდა. ხელისუფლების მიერ თურქული თევზმჭერი კომპანიების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა ბიუჯეტს საკმაოდ აზარალებს. მთავრობის პროტესტი გამოიწვია იმან, რომ თურქული კომპანიები თევზს ფსკერული ბადის გამოყენებით იჭერდნენ. თურქები მზად არ აღმოჩნდნენ, თევზის რეწვა მის გარეშე ეწარმოებინათ, მათ ვერც მთავრობასთან მოლაპარაკება შეძლეს.

იგივე ვითარებაა ხე-ტყის გაყიდვასთან დაკავშირებითაც. სავარაუდოდ, მთავრობა 75 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის გადამუშავებას არ დაუშვებს. ექსპერტები აცხადებენ, რომ ეს რაოდენობა ეკოლოგიისთვის საშიში არ არის. მათი თქმით, საბჭოთა პერიოდში გაცილებით მეტი ხე-ტყე იჩეხებოდა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ეკოლოგიური პროკურატურა ამტკიცებს, რომ ხე-ტყის ის რაოდენობა, რომელიც დღეს აფხაზეთში იჩეხება, რესპუბლიკას მძიმე ეკოლოგიურ პრობლემებს უქადის. ყველა საფუძველი არსებობს, ვივარაუდოთ, რომ მთავრობა ეკოლოგების რჩევებს ყურს მიუგდებს და აფახაზეთში ხე-ტყის ჩეხვა საგრძნობლად შეამცირდება.

თუკი მომავალი წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მართლაც 40 მილიონ დოლარზე მეტი იქნება, მაშინ მთავრობას საშუალება ექნება, შეასრულოს მისი ყველაზე მთავარი საარჩევნო დანაპირები - საბიუჯეტო სფეროში მომუშავეთა საშუალო ხელფასი 180 დოლარამდე გაიზარდოს. თავის მხრივ, ეს ნაბიჯი ახალი ხელისუფლების სტაბილურობის გარანტი გახდება და საგრძნობლად შეასუსტებს მთავრობის დღევანდელ ოპონენტთა პოზიციებს, რომლებიც უკვე დღეს აცხადებენ, რომ მთავრობა საზოგადოებისთვის მიცემული დაპირებების შესრულებას ვერ შეძლებს.

# აჭარა რევოლუციის წლისთავის აღნიშვნისთვის ემზადება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა რევოლუციის წლისთავის აღნიშვნისთვის ემზადება. 6 მაისს საზეიმო ღონისძიებები ჩოლოქის ხიდიდან დაიწყება. თუმცა, როგორც ირკვევა, ამ დროისთვის ხიდზე სამშენებლო სამუშაოების დასრულება ვერ მოხერხდება.

საფრანგეთიდან დაბრუნებულმა აჭარის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ გუშინ ხიდზე მიმდინარე სამუშაოები შეამოწმა და მომუშავე პერსონალს სამუშაოთა ტემპის დაჩქარებისკენ მოუწოდა. ხიდის ასაშენებლად აჭარის ბიუჯეტიდან 1,5 მილიონი ლარი გამოიყო.

რევოლუციის წლისთავისთვის ბათუმში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ელოდებიან. საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, აჭარაში რამდენიმე ახალი ობიექტის გახსნაც იგეგმება.

ჟურნალისტებთან საუბრისას ლევან ვარშალომიძე აჭარის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის პოსტიდან მისი შესაძლო გათავისუფლების საკითხსაც შეეხო. ვარშალომიძის თქმით, იგი აჭარის პირველი პირი იქნება მანამდე, ვიდრე ამას საჭიროდ პრეზიდენტი ჩათვლის. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის ჯემალ ინაიშვილის დანიშვნას აპირებს.

*ინტერ-პრესი*

# გადაწყვეტილება მიღებულია

## ხელისუფლებამ არჩევნებზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო

*როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე საარჩევნო კოდექსის განხილვას ხმაური არ მოჰყოლია. მთავარმა მომხსენებელმა - იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა, კანონპროექტი მუხლობრივად ნახევრად ცარიელი დარბაზის წინაშე წარადგინა. ხოლო ამ პროექტის ავტორი გიგა ბოკერია დარბაზში არც კი იმყოფებოდა. უმრავლესობის სხვა ლიდერებსაც ოპოზიციის პოლიტიკურ განცხადებებზე რეაგირება არ მოუხდენიათ. ასე რომ, "კონსერვატორების" და "მემარჯვენეების" აქტიურობამ უშედეგოდ ჩაიარა - საპარლამენტო უმრავლესობამ ალტერნატიულ კანონპროექტს უცერემონიოდ წაუყრუა. მართალია, დღის ბოლოს, უფრო ზუსტად კი, კენჭისყრის წინ "მემარჯვენეებმა" კანონის მიღების გადადება მოითხოვეს, მაგრამ უშედეგოდ - ხანმოკლე კამათის შემდეგ უმრავლესობამ თავისი გაიტანა.*

თამარ მჭედლიშვილი

მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარება მოსალოდნელიც იყო, რადგან ხელისუფლებამ პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიიღო და მთლიანად აიღო პასუხისმგებლობა საარჩევნო ადმინისტრაციების საქმიანობასა და თავად არჩევნების ბედზე.

პარლამენტში ვრცელდება ხმები, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტის მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა კანდიდატების შერჩევის წინააღმდეგი ნინო ბურჯანაძის გუნდის წევრები არიან, მაგრამ ისინი საკუთარი პოზიციის გამოხატვას ხმამაღლა ერიდებიან.

როგორც "კონსერვატორები" ამბობენ, უკანასკნელ წუთამდე ცესკო-ს ასეთი წესით დაკომპლექტებას არ ეთანხმებოდა თავად იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი ("კონსერვატორმა" კახა კუკავამ ამის თაობაზე პარლამენტის ტრიბუნიდანაც განაცხადა, თუმცა ბეჟაშვილმა ამ შენიშვნას წაუყრუა).

რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციის გუშინდელ სამოქმედო ტაქტიკას, იგი, პირობითად, ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ - ალტერნატიული კანონპროექტის პრეზენტაცია და პოლიტიკური გამოსვლა. ორივე შემთხვევაში განსაკუთრებით იაქტიურეს "კონსერვატორებმა". ალტერნატიული კანონპროექტი კახა კუკავამ წარმოადგინა, ხოლო ზვიად ძიძიგურმა პარლამენტის სხდომათა ნახევრად ცარიელ დარბაზში პოლიტიკური განცხადებების კორიანტელი დააყენა.

**"პრეზიდენტი, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე სრული გავლენის მოპოვებით, ხელისუფლების უზურპაციას ცდილობს. მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების დროს სააკაშვილის მიერ დანიშნული ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები მისთვის საჭირო გადაწყვეტილებებს მიიღებენ... სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი... დღევანდელი უმრავლესობა იგივეს აკეთებს, რასაც, თავის დროს, ედუარდ შევარდნაძე და მისი მხარდამჭერები... ამ კანონპროექტის სულისჩამდგმელის გიგა ბოკერიას განცხადებები მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი იდეოლოგის ვიტალი ხაზარაძის დემაგოგიური განცხადებების იდენტურია... ამ კანონის მიღებით, საპარლამენტო უმრავლესობა ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებისკენ, ხოლო მოსახლეობას საპროტესტო გამოსვლებისკენ უბიძგებს. საქართველოში კი კიდევ მოიძებნებიან რევოლუციონერები,"** - ასეთი იყო ზვიად ძიძიგურის გამოსვლის პათოსი.

თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, საპარლამენტო უმრავლესობის იმ ნაწილმა, რომელიც განხილვის დროს დარბაზში იმყოფებოდა, ეს გამოსვლა პასუხის ღირსად არ ჩათვალა. დღის მეორე ნახევარში გამართულმა კენჭისყრამ კი საარჩევნო ადმინისტრაციებთან დაკავშირებულ საპარლამენტო დავას წერტილი დაუსვა.

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ა/წლის 26 აპრილიდან 5 ივლისამდე ატარებს უფასო კონსულტაციებს უნივერსიტეტში სწავლის მსურველ აბიტურიენტებთან, მათემატიკაში და ზოგად უნარ-ჩვევებში.

კონსულტაციები ჩატარდება კვირაში ორჯერ, 14 საათიდან, თსუ მაღლივი კორპუსის IX სართულზე.

მსურველებმა აბიტურიენტთა სარეგისტრაციო პუნქტში უნდა წარმოადგინონ რეგისტრაციის გავლის დამადასტურებელი ცნობა (რაც აქვთ ხელზე).

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით თსუ გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატს. 10-დან 15 საათამდე, ყოველდღე, გარდა კვირისა.

**თსუ მაღლივი კორპუსი, IX სართული**
**დეკანატი. ტელ. 30 40 19**

**International Humanitarian Organization "Medecins du Monde, (France) looking for the Administrator for Tbilisi office.**

**Please, send your CV and motivation leter, through the E-mail: mdm-zugdidi@dsl.ge and mdmzugdidi@yahoo.fr or send your CV as soon as possible at MDM, 24, Paliashvili street, Vake.**

**საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია "მსოფლიოს ექიმები" (საფრანგეთი) თბილისის ოფისი აცხადებს კონკურსს ადმინისტრატორის ტანამდებობაზე, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ მოტივაციის წერილი და CV შემდეგ მისამართზე: mdm-zugdidi@dsl.ge და mdmzugdidi@yahoo.fr ან თბილისი, ფალიაშვილის ქ.24**

## ვაკანსია

ამერიკული კომპანია Peocter&Gamble-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში, შპს "არტი" იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე.

**აუცილებელი მოთხოვნები**

ა) ასაკი - 24 წლამდე.
ბ) განათლება - უმაღლესი.
გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის უფლებისმქონე კანდიდატებს.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ ფაქსზე: 94 18 94.

**ელ-ფოსტაზე: hr@arti.ge**

# კიდევ ერთხელ ქუჩიდან ქუჩაში

თამარ დვალი

*ბოლო ერთი წლის განმავლობაში თბილისის ტერიტორიაზე ქუჩაში ყველანაირი საქონლით ვაჭრობა კანონით აკრძალული იყო, თუმცა ეს კანონი არავის დაუცავს. გუშინ ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიასა და მეტროსადგურ "გოცირიძესთან" საპატრულო პოლიციამ კიდევ ერთხელ დაშალა გარემოვაჭრეები. მოვაჭრეებმა პროტესტის ნიშნად ვაჟა-ფშაველას გამზირი გადაკეტეს, თუმცა ისინი პოლიციამ მალევე დაშალა. გუშინ, საკრებულოს გადაწყვეტილებით, გარკვეული ჩამონათვალის საქონელზე ვაჭრობა ნებადართულად გამოცხადდა.*



აყრილმა მოვაჭრეებმა მეტრო "გოცირიძესთან" დემონსტრაციულად დაიწყეს "მათხოვრობა".

**"თვრამეტი წელიწადი პედაგოგად ვმუშაობდი. ისე გამიშვეს სამსახურიდან, რომ საპენსიო ასაკი არ მქონია, ამიტომ დღეს პენსიასაც ვერ ვიღებ. ავადმყოფი ქალი ვარ, დღეში 5 ლარის მარტო წამლები მჭირდება. რა ვქნა, სად წავიდე, მე მეტი საარსებო წყარო არ მაქვს,"** - ამ კითხვას მანანა თევზაძე მთავრობას უსვამდა.

**"თბილისის საკრებულომ 2004 წელს აკრძალა გარევაჭრობა. მთავრობა შეთანხმდა და დღეს მივიღეთ ჩამონათვალი, რითაც შეიძლება ივაჭრონ მოქალაქეებმა. სად უნდა ივაჭრონ და რამდენი სტაციონარი უნდა ჰქონდეთ, ამას გამგეობები დაადგენენ. ჩვენ მოქალაქეებს მოწესრიგებული გარევაჭრობის ნებას ვრთავთ, აქამდე გარევაჭრობა საერთოდ აკრძალული იყო. ამიერიდან, პური, ხილ-ბოსტნეული და სხვა საკვები პროდუქტი ქუჩაში აღარ გაიყიდება,"** - განაცხადა ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წარმომადგენელმა ომარ აბულაძემ.

აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ მათ წინააღმდეგ მაღაზიების მეპატრონეები ჩივიან, რადგან გარემოვაჭრეების გამო, კლიენტების ნაკლებობას განიცდიან. გასულ წელს, როდესაც მთელ ქალაქში აიკრძალა გარევაჭრობა, მეტროსადგურ "გოცირიძის" მიმდებარე ტერიტორიაზე მდგომ მოვაჭრეებს პროტესტი არ გამოუხატავთ. მათ იქვე მდებარე ბაზარში გადასვლა შესთავაზეს, თუმცა პირობების არქონის გამო, მათ კვლავ ქუჩაში გადმოინაცვლეს.

**"ბაზარი დაარქვეს, თორემ სინამდვილეში ციხე იყო. პროფკავშირების შენობის უკან გადაგვიყვანეს, სადაც არავინ შემოდიოდა. გამგეობამ არანაირი შეღავათი არ გაგვიწია. არც გადასახადი შეგვიმცირა და არც რეკლამა გაგვიკეთა, რომ ხალხს ამ ბაზრის არსებობის შესახებ შეეტყო,"** - აცხადებენ აქციის მონაწილეები.

# საკრებულო ბიუჯეტს ისევ ცვლის

*გუშინ საკრებულოს წევრებმა 13 საკითხი უმოკლეს დროში განიხილეს და, უმრავლესობის წყალობით, უპრობლემოდ დაამტკიცეს. ამათგან ყველაზე დიდი აჟიოტაჟი ბიუჯეტში გაუთავებელი ცვლილებების შეტანას მოჰყვა. ამჯერად, მიწისძვრით დაზარალებულთათვის განკუთვნილი თანხა 856 ათასი ლარის ოდენობით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების - 03-ის მანქანების შესაძენად დაიხარჯება.*

თამარ დვალი

სანამ საკრებულოს წევრები დღის წესრიგს დაამტკიცებდნენ, ოპოზიცია თბილისში გზების საფარის აღდგენითი სამუშაოების საკითხს შეეხო. მათ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისაგან იმ ხელშეკრულების წარმოდგენა ითხოვეს, რომლის თანახმადაც, ტენდერის გამოცხადების გარეშე, ჰოლანდიური კომპანია გზების შეკეთებას აწარმოებს. ისინი ამ საკითხის ირგვლივ "ვილაცების" კერძო ინტერესებზე მიანიშნებდნენ. რაც შეეხება დღის წესრიგს, იგი 13 საკითხისგან შედგებოდა. ყველაზე მწვავე რეაქცია ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს მოჰყვა.

**"2005 წლის ბიუჯეტი არასწორად და არაკვალიფიცირებულად არის შედგენილი, რაზეც მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საკრებულოს ყოველ სხდომაზე მასში ცვლილებები შეაქვთ. ჩვენ წერილობით მივმართეთ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და ჩამოვაყალიბეთ ჩვენი შენიშვნები. თუკი მთავრობას ამ ბიუჯეტის შეცვლა უნდა, კეთილი ინებოს და მთლიანი პაკეტი შექმნას, რომლის მიხედვითაც იმუშავებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში 856 ათასი ლარი მიწისძვრით დაზარალებულებს მოაკლდათ და 03-ს გადაეცა. რამდენი მანქანა სჭირდებოდათ 03-სთვის, ეს ადრე უნდა დაეთვალათ და თავის დროზე ჩაედოთ ბიუჯეტში,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ფრაქცია "ახლების" წარმომადგენელმა თემურ ბილიხოძემ. მათ აზრს იზიარებენ "ლეიბორისტებიც".

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით იოსელიანი აცხადებს, რომ ბიუჯეტის მიღების დროს, 03-ის მომსახურება მთლიანად უფასო არ ყოფილა, რის გამოც, ავტოპარკი გაზრდას არ საჭიროებდა.

**"თუკი აქამდე სასწრაფო სამედიცინო დახმარება მხოლოდ სამ გამოძახებაზე იყო უფასო, ახლა მთლიანად უფასო გახდა, რამაც გამოძახების ზრდა გამოიწვია. ამის შესაბამისად, საჭირო გახდა მანქანების დამატება. დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 03-ის ავტოპარკი 14 მანქანით გაიზარდოს,"** - აღნიშნა მან.

საკრებულოს წევრების დიდი აღშფოთება გამოიწვია "თბილგაზში" შექმნილმა ვითარებამ. "ლეიბორისტების" თქმით, მთავრობამ მაშინ დაუშვა შეცდომა, როდესაც "თბილგაზი" სამართავად "ახალ მენეჯმენტს" გადასცა.

**"დღეს "თბილგაზის" დავალიანება 231 მილიონს აღწევს. ადრე, საკრებულოს მდივანმა ზურაბ ჟვანიამ "თბილგაზის" კონტროლი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტეგრაციის კომისიებს დააკისრა. რა შუაში არიან ეს კომისიები, როდესაც არსებობს სარევიზიო და საქალაქო მეურნეობის კომისია, გაურკვეველია,"** - აცხადებს პაატა ჯიბლაძე.

როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, სევდია უგრეხელიძემ განაცხადა, "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარემ მათ წერილობით მიმართა და "თბილგაზში" არსებული დარღვევების გამოკვლევა და ფინანსური რევიზიის ჩატარება ითხოვა. საკრებულოს გუშინდელი გადაწყვეტილებით, სარევიზიო კომისიას ერთი თვის ვადაში "თბილგაზში" სარევიზიო შემოწმების ჩატარება დაევალა. იგივე დავალება მიეცა გენერალურ ინსპექციასაც. თუკი ისინი დარღვევას აღმოაჩენენ, იმ შემთხვევაში კონტროლის პალატა "თბილგაზში" რიგგარეშე შემოწმებას ჩაატარებს.

ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია სევდია უგრეხელიძის წინადადებამ, რომელიც უფასო საადვოკატო კავშირის დაფუძნებას ითვალისწინებს. კავშირის დამფუძნებლები კი თბილისის საკრებულო და მთავრობა უნდა იყოს. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ამ საკითხის დამტკიცებით, უგრეხელიძეს თავის მიერ დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებას ცდილობს.

**P.S.** გუშინ საკრებულოს სხდომაზე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემის გადაწყვეტილება მიიღეს. საცხრამაისოდ, თითოეული ვეტერანი 50 ლარს მიიღებს. გმირის წოდების მქონე ვეტერან შურღაიას კი 5 ათასი ლარი გამოეყოფა.

# დავლიოთ თუ არა ონკანის წყალი?

## წყლით კიდევ 30 ადამიანი მოიწამლა

*წყლის პრობლემები, ქუთაისის გარდა, სხვა ქალაქებსაც გადაედო. კერძოდ, ირკვევა, რომ წყლით მოწამვლის ფაქტები ზუგდიდშიც დაფიქსირდა. ამასთან, ბოლო პერიოდში წყლის ხარისხს უჩივის თბილისის, მტკვრის მარცხენა სანაპიროს მოსახლეობა.*

ოთარ ქირია

ორიოდ კვირაა, თბილისის მტკვრის მარცხენა სანაპიროს მოსახლეობა ონკანის წყლის ხარისხზე ალაპარაკდა. დიდუბე-ჩუღურეთსა და ისან-სამგორში წყალს თევზის სუნი ასდის და მისი მიღება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, წყლით მოწამვლის ფაქტი ჯერ არ დაფიქსირებულა.

**"წყალს ვეღარ ვსვამთ. საშინელი გემო აქვს - ხან თევზის, ხანაც ისეთი სუნი ასდის, ჭაობებზე რომ არის. თავდაპირველად ჩავთვალე, რომ მომეჩვენა, მაგრამ შემდეგ უკვე აშკარად შევატყვეთ. თანაც, მხოლოდ ჩვენ არა. როცა დავრეკეთ, ნორმალური პასუხი ვერც გაგვცეს. გვითხრეს მხოლოდ, რომ უვნებელია და არა უშავსო. არ ვიცი, მაგრამ ამას ნამდვილად ვერ დავლევთ ვერც გადადუღებულ მდგომარეობაში, გვეშინია. ჯერჯერობით ვყიდულობთ, მაგრამ იმედია, რაღაცას იღონებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამის სამსახურებს სხვა ფორმებით მივმართავთ,"** - აცხადებს დიდუბის მცხოვრები ლალი გვენცაძე.

თბილისის სასმელი წყლით მომარაგება ხდება როგორც ზედაპირული, ღია წყალსატევების - მდინარე არაგვის, ჟინვალის და თბილისის, ასევე ნიადაგქვეშა წყლების საშუალებით, რისთვისაც გამოიყენება შემდეგი სათავე ნაგებობები: არაგვის ხეობის წყალსადენების გაერთიანება, სამგორის და ღრმაღელის საფილტრო სადგურები.

როგორც ირკვევა, წინა დღეებში თბილისის ზემოხსენებულ ნაწილს, ჟინვალის ნაცვლად, თბილისის ზღვის წყალი მიეწოდებოდა, რაც ჟინვალის წყალსაცავზე სარემონტო სამუშაოებით იყო გამოწვეული.

**"აღნიშნული გამოწვეული იყო რიგი სამუშაოებით. დღეს თბილისს უკვე სრულად მიეწოდება ჟინვალის წყალი. რაც შეეხება სუნს, ამ პერიოდში წყალში და, ამ შემთხვევაში, თბილისის ზღვაზე მიმდინარეობს წყალმცენარეებისა და ბინადრების გამრავლების პროცესი და მკვეთრი სუნი ამიტომ იგრძნობა. ეს არც საშიშია და არც მომწამლავი, მით უმეტეს, როცა წყალი იფილტრება,"** - აცხადებს თბილწყალკანალის ხელმძღვანელი იუზა ცარციძე.

თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის კახა ნაჭყებიას ინფორმაციით, შესწავლილ იქნა დედაქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული, სასმელი წყლის 38 სამარაგო რეზერვუარის სანიტარიული მდგომარეობა. რეზერვუარების და სატუმბო სადგურების რეცხვა-დეზინფექცია წარმოებს სპეციალური გრაფიკით, რომელიც თბილწყალკანალმა შეიმუშავა და სანიტარიულ სამსახურთან შეათანხმა. 2004 წელს, აღნიშნული სამუშაოები 17 რეზერვუარს და 29 აუზს ჩაუტარდა.

წელს რეცხვა-დეზინფექცია დანარჩენ რეზერვუარებსა და სატუმბ სადგურებზე დაიწყება. თბილისის წყალსადენის ქსელზე სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით, შერჩეულია 330 სტაციონარული წერტილი, წყლის ხარისხის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური შემოწმება ინსპექციის მიერ წარმოებს "მცოცავი გრაფიკით".

ჯამში, 2004-2005 წლებში ინსპექციის მიერ ლაბორატორიულად გამოკვლეულია 4132 ნიმუში, გადახრა ნორმებიდან დაფიქსირდა 22 შემთხვევაში, რაც, ძირითადად, გამოიხატებოდა ნაშთი ქლორის დაბალ მაჩვენებელში. თბილისის ტერიტორიაზე ნაწლავური ინფექციის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

სამაგიეროდ, პრობლემებია ქუთაისსა და ზუგდიდში. როგორც ირკვევა, ქუთაისში კვლევითი სამუშაოები ფრანგმა ექსპერტებმაც დაასრულეს და დადასტურდა, რომ ქალაქს სერიოზული პრობლემები აქვს. რთული მდგომარეობაა ზუგდიდშიც. ქვეყნის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის დავით მესხიშვილის ინფორმაციით, ზუგდიდში უკვე მოწამვლის 30 ფაქტი დაფიქსირდა. **"ამჟამად მიმდინარეობს ლაბორატორიული კვლევები და სარეაბილიტაციო სამუშაოები. სიტუაციას ვაკონტროლებთ, თუმცა, სანამ სამუშაოები არ დასრულდება, მოსახლეობას ვურჩევდი, გადადუღებული წყალი მიიღონ,"** - აცხადებს მესხიშვილი.

# უცხო ენების უნივერსიტეტი ფინანსურად გაკოტრებულია

## ვის აინტერესებს მისი პროფესიონალური გაკოტრება?!

*"14 თებერვლიდან რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვარ და როცა მივხვდი, რომ ჩემი ფილოლოგიური განათლებით თავს ვერ გავართმევდი საფინანსო პრობლემებს, რომელიც უნივერსიტეტშია, უკვე 16 მარტს წერილობით მივმართე კონტროლის პალატას და განათლების სამინისტროს, რომ შეიქმნას კომისია, რომელიც ამ საკითხს გაარკვევს," - გვიპასუხა ნინო ფირცხალავამ, უცხო ენების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა შეკითხვაზე: რა მიზეზით ვერ უხდით ხელფასს თანამშრომლებს?*

დალი კუპრავა

გუშინ უცხო ენათა უნივერსიტეტში დიდი, მრავალსაათიანი კრება ჩატარდა. როგორც კრების თავმჯდომარემ, ივანე მენთეშაშვილმა აღნიშნა, კრებას სამი საკითხი უნდა განეხილა: ხელფასების დავალიანების, უნივერსიტეტის სტრუქტურული ცვლილებებისა და გაფიცვის გამოცხადების. მესამე საკითხი ხელახალ კენჭისყრაზე დადგა მას შემდეგ, რაც რამდენიმე თანამშრომელმა გამოთქვა თავისი დამოკიდებულება - სტუდენტებმა რა დააშავეს. კრების გადაწყვეტილებით, "გაფიცვის" საკითხი მოიხსნა.

კრების დაწყება კი იმის გამო დაგვიანდა, რომ რექტორს ელოდებოდნენ, მაგრამ რექტორი არ გამოჩნდა. კრებაც მის გარეშე დაიწყო და დამთავრდა კიდეც.

**"მოუცლელობის გამო, ვერ ვესწრები კრებას, კოლეჯის მასწავლებლები იყვნენ წერილებით შემოსულები და დაკავებული ვიყავი. მოგვიანებით აუცილებლად ავალ,"** - საკუთარ კაბინეტში ამგვარად ახსნა კრებაზე დაუსწრებლობა რექტორმა.

უცხო ენებისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებს ნოემბრის შემდეგ სამეურნეო ანგარიშიდან, ანუ იმ თანხიდან, რომელსაც უშუალოდ უნივერსიტეტი განაგებს, ხელფასი არ აუღიათ. საბიუჯეტო ხელფასები წესისამებრ გაიცემა.

დავალიანება, როგორც რექტორმა განაცხადა, 350 - 400 ათასი ლარია. უნივერსიტეტის ფასიანი ფაკულტეტების შემოსავალი წლიურად 800 ათასი ლარია, თუმცა უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ფული არ დევს. **"ოქტომბერში 600 ათასი უკვე დახარჯულა ამ სასწავლო წლის შემოსავლიდან. ის ფული, რაც ახლა შეკოწინდება, დეკემბრის შემოსავალს თუ დაფარავს, არადა, სტუდენტების დიდ უმრავლესობას გადასახადი დაფარული აქვს,"** - განაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა ნინო ფირცხალავამ.

როგორ უნდა დაფაროს ხელმძღვანელობამ ხელფასის დავალიანება? ამაზე კრებაზე გამომსვლელები მსჯელობდნენ. გაირკვა, რომ ნაღდი ფულის მოპოვების საშუალება უნივერსიტეტს აქვს, თუ უნივერსიტეტის წინა ხელმძღვანელების მიერ გრიგოლეთში ნაყიდი ნაკვეთი გაიყიდება. ნაკვეთი, თანამშრომლებთან შეთანხმების გარეშე, ხელმძღვანელობამ რამდენიმე წლის წინ შეიძინა, სწორედ სამეურნეო ანგარიშზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის გადასახადების ხარჯზე. მიზანი იყო, უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის დასასვენებელი სახლი აეშენებინათ. ანდაზისა არ იყოს, დღევანდელი ხელფასი გვირჩევნია ხვალინდელ დასვენებასო - გადაწყვიტა კრებამ.

კრებამ ეჭვქვეშ რექტორის კომპეტენტურობაც დააყენა - ნინო ფირცხალავას, წერილობითი მიმართვა ფინანსურ საკითხებში დახმარების თაობაზე, უნდა მიეწერა არა კონტროლის პალატისთვის, არამედ განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციისთვის, რომელიც სწორედ ამგვარი ფაქტების კვლევას ემსახურება.

ამას გარდა, კრებამ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ნინო ფირცხალავას, თუნდაც დროებით, რექტორად დანიშვნის გამო იმ მიზეზით, რომ იგი პროფესორი არ არის. კრება ყბადაღებულ "სოროსამდეც" მივიდა და ერთ-ერთმა გამომსვლელმა "ხელს გამოყოლებული" ე.წ. "სოროსის წესდებაც" წაიკითხა, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ეს საზოგადოება მოქმედებს პრინციპით - "ვინც ჩვენთან არ არის და ჩვენი მითითებების თანახმად არ მოქმედებს, უნდა განადგურდეს". თუმცა, დოკუმენტის ჭეშმარიტებაში ეჭვი თავადვე შეიტანა.

ნინო ფირცხალავა თავადაც არ უარყოფს, რომ მართვის სისტემაში სრულიად გამოუცდელია. რექტორისავე თქმით, დანიშვნიდან ერთი თვე მაინც მოუნდა იმის გარკვევას, თუ რა ტიპის ფინანსური პრობლემები იყო: **"ბუღალტერიაში შეკითხვაზე, რატომ ვერ ვარიგებთ ხელფასებს, მივიღე პასუხი, რომ სტუდენტებს გადასახადები შემოტანილი არა აქვთ, რომ დოლარის კურსი დაეცა. მერე გაირკვა, რომ ცოტაა იმ სტუდენტთა რიცხვი, რომლებსაც გადასახადი არ დაუფარავთ და წლიური შემოსავალი იმ ორი კრედიტის დაფარვას დასჭირდა, რაც უნივერსიტეტმა გასულ წლებში ბანკიდან გამოიტანა. უმძიმეს მდგომარეობაში ვართ და სწორედ ამიტომ ვითხოვ ჩემს წერილში კონტროლის პალატისა და განათლების სამინისტროს დახმარებას,"** - თქვა მან.

რაც შეეხება სტრუქტურულ ცვლილებებს, კობა არაბულის თქმით, კომისია, რომელიც სამი კვირის წინანდელ "რექტორიან" კრებაზე აირჩა, ახალი კანონის შესაბამისად, ამ ტიპის ცვლილებებისთვის შექმნილ სამივე ვარიანტს, განხილვის შემდეგ გამოიტანს სამსჯავროზე. სამეცნიერო საბჭო კი კანონის შესაბამისად მიიღებს და დაამტკიცებს მათგან უფრო მისაღებს. კრებამ იმედი გამოთქვა, რომ არ განმეორდებოდა იმგვარი უკანონო ფაქტი, როგორც რექტორობის მოვალეობის შემსრულებლისგან ერთპიროვნულად მიღებული და სამინისტროში წარგზავნილი უნივერსიტეტის დროებითი დებულება იყო. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე ამის უფლება რექტორსაც კი არა აქვს, არამცთუ დროებით შემსრულებელს, - აღინიშნა კრებაზე.

# იაპონია საუკუნის წინ დაშვებული შეცდომებისთვის პატიებას ითხოვს

ხათუნა ბაბიევი

22 აპრილს ინდონეზიის დედაქალაქში მასშტაბური ორდღიანი სამიტი დაიწყო, რომელშიც 80 ქვეყნის ლიდერი მონაწილეობს. აზია-აფრიკის ქვეყნების სამიტი ყოველწლიურად ტარდება და, ძირითადად, მსოფლიო ვაჭრობის საკითხებს ეძღვნება. თუმცა, უკანასკნელ ხანს ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებში გაჩენილ ბზარს თუ გავითვალისწინებთ, სამიტის უმთავრესი ნაწილი, შესაძლოა, სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას დაეთმოს.

სამიტის პირველი დღე დაიწყო აზიაში იაპონიის მხრიდან მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩენილი სამხედრო აგრესიისთვის ოფიციალური ტოკიოს მიერ ბოდიშის მოხდით. საუკუნის წინ ჩადენილი ცოდვის მიტევება, იაპონელი ხალხის სახელით, ჯაკარტაში იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ძიუნიშირო კოიძუმიმ ითხოვა. ამ ჟესტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ტოკიოსა და პეკინს შორის გართულებულმა ურთიერთობებმაც შესძინეს. როგორც ცნობილია, კონფლიქტის მიზეზად იაპონიის მიერ ისტორიის სახელმძღვანელოების განახლებული ვერსიის გამოცემა იქცა. ჩინეთი მიიჩნევს, რომ განახლებულ გამოცემაში დამახინჯებულია ფაქტები - კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის დროს კაცობრიობის წინააღმდეგ იაპონიის მიერ ჩადენილი დანაშაული შემსუბუქებულია. გასულ საუკუნეში ჩინეთის აღმოსავლეთ ნაწილში იაპონიის არმიის მიერ ჩადენილი სისასტიკე დღემდე მტკივნეულ საკითხად რჩება ორივე ქვეყნისთვის. ჩინეთის რამდენიმე ქალაქში პროტესტის ნიშნად გამართული დემონსტრაციების შემდეგ იაპონიის მთავრობა დასთანხმდა ჩინეთის ხელისუფლებას, ერთობლივად განეხილათ სადავო საკითხები. ოფიციალურმა ტოკიომ პეკინში მოლაპარაკებებზე პრემიერ-მინისტრი ძიუნიშირო კოიძუმი გაგზავნა. მაშინ მოლაპარაკებებს შედეგი, ფაქტობრივად, არ მოჰყოლია. ერთადერთი შედეგი, რაც მაშინდელ შეხვედრას მოჰყვა, დემონსტრაციების შეწყვეტა იყო, ხოლო იაპონიის ისტორიის სახელმძღვანელოებში ცვლილებები არ შესულა.

როგორც კოიძუმიმ სამიტზე აღნიშნა, იგი მზადაა, კიდევ ერთხელ შეხვდეს ჩინეთის პრეზიდენტს ჰუ ძინტაოს, რაზეც ოფიციალურ პეკინს ჯერ თანხმობა არ განუცხადებია. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, 2 ქვეყნის საგარეო უწყება საბოლოო შეთანხმებამდე ჯერ არ მისულა. იაპონელებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ჩინელები მოლაპარაკებებს დასთანხმდებიან სამიტის ფარგლებში, როგორც კი ორგანიზატორებს ამის საშუალებას დღის წესრიგი მისცემთ. **"წარსულში იაპონიის კოლონიურმა მმართველობამ და აგრესიამ მრავალი ქვეყნის ხალხებს უზარმაზარი ზარალი და ტანჯვა მიაყენა. ეს განსაკუთრებით აზიის ერებს ეხებათ. იაპონია ამ ისტორიულ ფაქტებს ვერსად გაექცევა,"** - თქვა კოიძუმიმ დელეგატების წინაშე სიტყვით გამოსვლისას.

ექსპერტთა აზრით, იაპონელთა მიერ დანაშაულის ღიად აღიარებამ ჩინელთა გულებიც უნდა მოალბოს, თუმცა ეს მომავლის საქმეა. ერთი რამ უდავოა - თუ ჩიხში შესული ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობები არ გაუმჯობესდება, ეკონომიკურ კავშირებს სერიოზული საფრთხე შეექმნება,



*"წარსულში იაპონიის კოლონიურმა მმართველობამ და აგრესიამ მრავალი ქვეყნის ხალხებს უზარმაზარი ზარალი და ტანჯვა მიაყენა. ეს განსაკუთრებით აზიის ერებს ეხებათ. იაპონია ამ ისტორიულ ფაქტებს ვერსად გაექცევა"*

რაც წლიური ვაჭრობის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, 212 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

**"ანტაგონიზმს სასიკეთო შედეგი არასოდეს გამოუღია. მეგობრობა უფრო მნიშვნელოვანია. მე სწორედ ამ პრიზმაში ვხედავ ჩვენს შეხვედრას"**, - აღნიშნა კოიძუმიმ რეპორტიორებთან საუბარში.

რაც შეეხება აფრიკულ ქვეყნებთან ურთიერთობას, ძიუნიშირო კოიძუმის თქმით, მომავალი 3 წლის განმავლობაში იაპონია აფრიკელი ხალხებისთვის განვითარების ოფიციალურ დახმარებას გააორმაგებს. ანალიტიკოსთა შეფასებით, განუვითარებელი ქვეყნების მიმართ იაპონიის მიერ გამოჩენილი სულგრძელობის ჭეშმარიტი საბაბია გაერო-ს უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრის სტატუსის მოპოვება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუდმივ წევრობაზე იაპონიის პრეტენზია ჩინეთის გაღიზიანების კიდევ ერთი მიზეზია. ამასთან დაკავშირებით ჩინეთში ინტერნეტგამოკითხვაც ჩატარდა, სადაც მოსახლეობის, თითქმის, აბსოლუტურმა უმრავლესობამ გაერო-ს უშიშროების საბჭოში იაპონიის მუდმივი წევრობა არ ისურვა.

გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი, რომელიც, ასევე, ესწრება აზია-აფრიკის სამიტს, კოიძუმის გამოსვლით აღფრთოვანებული დარჩა და შესაძლებლობის ფარგლებში იაპონიას დაძაბულობის შენელებასაც დაჰპირდა.

ჩინეთის პრეზიდენტი ჰუ ძინტაო თავის გამოსვლაში იაპონიის საკითხს საერთოდ არ შეხებია, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა მესამე სამყაროს ლიდერია.

დაბოლოს, სამიტის წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის თანახმად, ვაჭრობისა და ინვესტირების აქტივიზაციის მიზნით, მონაწილე ქვეყნები სტრატეგიული პარტნიორობის დეკლარაციას მაინც მიიღებენ. ცხადია, ყურადღება, სხვადასხვა კონფლიქტის გადაჭრის მიზნით, მრავალმხრივი შუამავლობის მნიშვნელობასაც მიექცევა.

# შესაძლოა, არატრადიციული ქორწინება ესპანეთშიც დაუშვან

იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ნებადართულია არატრადიციული ქორწინება, ტრადიციული, კათოლიკური ესპანეთიც შეიძლება შეემატოს. დღემდე ჰომოსექსუალებს დაქორწინების უფლება ევროპაში მხოლოდ ბელგიასა და ნიდერლანდებში ჰქონდათ. ლესბოსური მოძრაობის აქტივისტის ბეატრის ხიმენოს თქმით, **"დეპუტატებმა, რომლებიც მოქალაქეთა ნებას გამოხატავენ, პირველად აღიარეს არატრადიციული ქორწინების მომხრეები ჰეტეროსექსუალთა თანასწორებად. ეს დიდებული დღეა"**.

ჰომოსექსუალთა ქორწინების შესახებ სოციალისტური ხელისუფლების მიერ წარდგენილი კანონპროექტი ესპანეთის პარლამენტის ქვედა პალატამ 22 აპრილს დაამტკიცა. პარლამენტში პუბლიკისთვის განკუთვნილ გალერეაში მსხდომი ჰომოსექსუალები კენჭისყრის შედეგებს აპლოდისმენტებით შეხვდნენ. მიღებული კანონპროექტის თანახმად, ჰომოსექსუალებს არა მარტო ქორწინების ნება, არამედ ბავშვების შვილად აყვანის უფლებაც ეძლევათ.

სოციალისტების წინადადებას კენჭისყრაზე მხარი დაუჭირა 183 დეპუტატმა. ტრადიციების ერთგული 136 პარლამენტარი დარჩა, ხოლო 6-მა თავი შეიკავა. კანონპროექტის წინააღმდეგ ოპოზიციური სახალხო პარტია გამოვიდა. **"ჩვენ მიგვაჩნია, რომ კენჭისყრის შედეგებმა საზოგადოებრივი შეხედულებები სრულად არ ასახა. მოსახლეობის უმრავლესობა სულაც არაა არატრადიციული ქორწინების მომხრე. თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლებას უმცირესობის ინტერესები უფრო აშფოთებს, ვიდრე უმრავლესობის დამოკიდებულება, რომლებიც ოჯახურ ღირებულებებს პატივს სცემენ,"** - განაცხადა იგნასიო არსუაგამ, ორგანიზაციის "დაე, ჩვენი ხმაც გაიგონ" ლიდერმა.

თუმცა, ტრადიციული ღირებულებების დამცველთა განცხადებების საპირისპიროდ მეტყველებს საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები. სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ჰომოსექსუალთა ქორწინების ლეგალიზებას ესპანელთა 66 პროცენტი ემხრობა, 26 პროცენტს კი ეს მიუღებლად მიაჩნია.

ჰომოსექსუალთა დაოჯახების წინადადების სრულ ლეგალიზებას ამჯერად მხოლოდ სენატის თანხმობაღა სჭირდება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ესპანეთის პარლამენტის ზედა პალატაში უმრავლესობას სოციალისტები შეადგენენ, კანონპროექტი, ფაქტობრივად, გასულად შეიძლება ჩაითვალოს. ეს სულ რამდენიმე კვირის საქმეა.

**"ჩვენი ქვეყნის ჰომოსექსუალთათვის ეს ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. ჩვენ მრავალი წელი ვიბრძოდით თანასწორობის უფლებისათვის და დღეს, როგორც იქნა, თავი ბედნიერად ვიგრძენით,"** - განაცხადა "ცისფერთა" ორგანიზაციის წარმომადგენელმა არნალდო ჰანსედომ.

ახალი კანონი, ბუნებრივია, ესპანეთში რადიკალურ ცვლილებებზე მეტყველებს. დღემდე ტრადიციული ესპანეთი კათოლიკური ეკლესიის ბასტიონად მიიჩნეოდა.

*ბი ბი სი*

# იტალია სამთავრობო კრიზისიდან გამოდის

პარასკევს, იტალიის პრეზიდენტის კარლო აძელიო ჩამპის პრეს-მდივნის მიერ გავრცელებული ცნობით, ახალი მთავრობის დაკომპლექტება კვლავ სილვიო ბერლუსკონის დაევალა. თავის მხრივ, ბერლუსკონიმ აღნიშნა, რომ პრეზიდენტის დავალების შესრულებას მმართველ კოალიციაში შემავალ პარტნიორებთან მოლაპარაკებების შემდეგ დასთანხმდა. მისი თქმით, ახალი კაბინეტის შემადგენლობა, სავარაუდოდ, მომავალი კვირის დასაწყისში წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად. ახალი მთავრობის **პრიორიტეტებს** შორის იქნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და სამხრეთ რეგიონებში უმუშევრობის დონის შემცირება.

*როიტერსი*

# უკრაინა ბერეზოვსკის ვიზას არ აძლევს

უმაღლესი რადა ბორის ბერეზოვსკისთვის ქვეყანაში შესასვლელი ვიზის გაცემის წინააღმდეგია. უკრაინის საკანონმდებლო ორგანომ გუშინ მხარი არ დაუჭირა სახალხო დეპუტატის ალექსანდრ ვოლკოვის წინადადებას, პარლამენტართა ჯგუფის მიწვევის საფუძველზე, ბერეზოვსკისთვის ვიზის გაცემის შესახებ. ვოლკოვი აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოსგან ითხოვდა. დეპუტატის ინიციატივას მხოლოდ 19-მა უკრაინელმა პარლამენტარმა მისცა ხმა, გადაწყვეტილების მისაღებად კი 226 პარლამენტარის მხარდაჭერა იყო საჭირო.

ყოფილი რუსი მეწარმე და წარსულში სახელმწიფო მოღვაწე, ბორის ბერეზოვსკი, უკვე რამდენიმე წელია, დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს. ბრიტანეთის მიერ პოლიტიკური დევნილის სტატუსით შეფარებული ოლიგარქი "ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ ძალ-ღონეს არ იშურებს უკრაინაში მოსახვედრად, თუმცა, ჯერჯერობით - უშედეგოდ.

*24 საათი*

# "სარაკეტო გარიგება" ისრაელთან ურთიერთობებს არ გაართულებს

ვლადიმირ პუტინის აზრით, რუსეთსა და სირიას შორის დადებული "სარაკეტო გარიგება" ისრაელთან ურთიერთობებს არ გაართულებს. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ისრაელის საინფორმაციო საშუალებებთან ინტერვიუში განაცხადა. პუტინმა განმარტა, რომ ლაპარაკია საშუალო რადიუსის მოქმედების ანტისარაკეტო სისტემებზე. "ამ სისტემებით შეიძლება მხედველობის არეში მყოფი სამიზნეების განადგურება. გარდა ამისა, ისინი ავტომობილებზეა დამონტაჟებული და შეუძლებელია, შეუმჩნევლად ჩაუვარდეთ ტერორისტებს ხელში," - თქვა პუტინმა.

*რიანოვოსტი*

# "ევროპის უკანასკნელი დიქტატორი" - კრემლის ყველაზე ერთგული მოკავშირე დსთ-ში

*მიმდინარე კვირა კრემლისთვის უაღრესად გადატვირთული აღმოჩნდა ვიზიტებით. მოსკოვი სტუმრების მიღება-გაცილებას ვერ აუდიოდა. მართალია, მაღალი დონის შეხვედრების, თითქმის, აბსოლუტური უმრავლესობის დღის წესრიგი წინასწარ იყო ცნობილი, მაგრამ აშკარაა, 19-20 აპრილს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის სტუმრობამ ყველა შემდგომ შეხვედრას დაასვა დაღი. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა ლუკაშენკოს გუშინდელი ერთდღიანი ვიზიტი მოსკოვში. წინა დღეს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მიერ "შერისხული" და ევროპის ყველაზე "დიდ ბოროტებად" შერაცხული ბელორუსის დიქტატორი რუს მოკავშირესთან ცდილობდა გულის მოოხებას.*

ნიკა თარაშვილი

სააგენტო "რიანოვოსტის" ინფორმაციით, პრეზიდენტების შეხვედრა ამინდზე საუბრით დაიწყო. პუტინი დაინტერესდა, თუ როგორი ამინდი იყო მინსკში. პრეზიდენტმა ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ ტემპერატურა თითქმის იგივეა, რაც მოსკოვში, თუმცა, შეიძლება ორი გრადუსით მეტი იყოს...

ბუნებრივია, ლუკაშენკოს მოსკოვში ჩასვლის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მკვეთრ განცხადებამდე გაცილებით ადრე იყო ცნობილი. თუმცა, რაისის მიერ ბელორუსის დიქტატორულ რეჟიმზე გამოთქმული მოსაზრებები და, განსაკუთრებით, ლუკაშენკოს ოპოზიციის წარმომადგენლებთან შეხვედრა დღის წესრიგში შეტანილ საკითხებზე უფრო მნიშვნელოვან თემად იქცა.

საგულისხმოა, რომ მეზობელი სახელმწიფოს მეთაურს მოსკოვის აეროპორტში მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რაზოვი დახვდა. თუმცა, რუსეთის სახელმწიფო მოხელეთა ყურადღების ნაკლებობა ჟურნალისტების აქტიურობით "გამოსწორდა".

"ვერ გავიზიარებ მის გამონათქვამებს რუსეთისა და ბელორუსის შესახებ; მის განცხადებებს არანაირად არ აღვიქვამ," - უპასუხა ალექსანდრ ლუკაშენკომ ჟურნალისტს კონდოლიზა რაისის განცხადებებთან დაკავშირებით. მაგრამ, თურმე, ერთი დადებითი ემოცია რაისის განცხადებამ ლუკაშენკოს მაინც აღუძრა, - "კარგია, თუ საერთოდ იცის, რომ არსებობს ასეთი ქვეყანა - ბელორუსი," - გახუმრება სცადა ბელორუსის პრეზიდენტმა. "ამ თვალსაზრისით - დადებითია. მან ახლახან გადაიფრინა ჩვენს თავზე და დაინახავდა, რომ ჩვენთან ტერორისტები არ არიან, - ამბობს ლუკაშენკო, - თუ ფილოსოფიურად შევხედავთ, როგორც ყველა პროცესს, დადებითი მხარეებიც აქვს და უარყოფითიც."

მაგრამ, ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ ბელორუსის მმართველს სახუმაროდ სულ არ ჰქონდა საქმე. ლუკაშენკოს "რაისის აჩრდილი" მთელი ვიზიტის განმავლობაში თან დასდევდა.

ღონისძიება, რომლის გამოც ალექსანდრ ლუკაშენკო მოსკოვში ჩავიდა, რუსეთისა და ბელორუსის კავშირის უმაღლესი სახელწიფო საბჭოს სახელს ატარებდა. ჟურნალისტებისთვის ღია იყო პრეზიდენტების შეხვედრის მხოლოდ დასაწყისი და, თუ მის მიხედვით ვიმსჯელებთ, ორი ქვეყნის მეთაურებს აშკარად გაუხარდათ ერთმანეთის ნახვა.

პუტინმა აღნიშნა, რომ, დიდი ხანია, რუსეთ-ბელორუსის კავშირის თაობაზე აღარ შეხვედრიან ერთმანეთს, რის გამოც, "ზოგიერთი განსახილველი საკითხი უკვე გადამწიფდა."

მართალია, ბელორუსის პრეზიდენტმა მას შეახსენა, რომ ბოლოს სოჭში 4 აპრილს შეხვდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მეგობარი მმართველების "ურთიერთმონატრებისთვის" ეს არ იყო საკმარისი. გარდა ამისა, ლუკაშენკომ სოჭში შეხვედრის შემდეგ "რუსეთში ბელორუსული ბიზნესის წარმატების" შესახებაც გაამახვილა ყურადღება: "ჩვენ არა მარტო ჩვენი ელიტის წარმომადგენლებს და ხალხებს მივეცით იმპულსი, არამედ რეალური შედეგიც მივიღეთ. პირველი კვარტლის განმავლობაში ჩვენს შორის საქონელბრუნვა შესამჩნევად გაიზარდა - იმ მაღალ მაჩვენებელთან შედარებითაც კი, რომელიც შარშან იყო დაფიქსირებული."



*"ევროპის უკანასკნელი დიქტატორი" რუსეთთან კავშირის გაღრმავებაზე ზრუნავს.*

მოსკოვში ჩასვლისთანავე ბელორუსის მმართველმა განაცხადა, რომ რუს კოლეგასთან 17 საკითხის განხილვას აპირებს. თუმცა, ორი ქვეყნის უფრო მჭიდროდ დამაკავშირებელი დოკუმენტების მიღებაზე გუშინ არაფერი თქმულა. საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგში იყო კავშირის 2005 წლის ბიუჯეტის დამტკიცება; ერთობლივი სამოქმედო გეგმა ერთიანი ვალუტის შემოღებასთან დაკავშირებით; რუსულ-ბელორუსული რეგიონული სამხედრო დაჯგუფების მუშაობის პირობები; შეთანხმებები სათბობ-ენერგეტიკულ სფეროში; საკავშირო კონსტიტუციის შეთანხმების პროცესი და რუსეთისა და ბელორუსის მოქალაქეთა თანასწორი უფლებებით აღჭურვა.

ერთობლივ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან საუბრის მთავარ თემად კვლავ იქცა - საგარეოპოლიტიკური საკითხები, კერძოდ - აშშ-სა და ბელორუსის გართულებული ურთიერთობები. ლუკაშენკომ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა რუსეთის პრეზიდენტს იმისთვის, რომ "არაკეთილმოსურნეთა" წინააღმდეგ მარტოს არ ტოვებს: "მინდა, მადლობა გადავუხადო ვლადიმირ პუტინსა და ამხანაგ ლავროვს იმ კოლოსალური მხარდაჭერისთვის, რომელსაც ყოველთვის გვიწევდნენ სუვერენული სახელმწიფოს არსებობის მძიმე პერიოდში. ამის შესახებ მთელმა მსოფლიომ იცის და მასმედიაც აშუქებს."

ნიშანდობლივია, რომ რუსეთისა და ბელორუსის ინტეგრაციულ თანამშრომლობას სოჭის შეხვედრამ მოულოდნელად "მეორე სიცოცხლე" შესძინა. პუტინი მანამდე დიდხანს არ შეხვედრია ბელორუსის მმართველს, მით უმეტეს - აგარაკზე არ უმასპინძლია. თავად მიწვევის ფაქტი სავსებით ლოგიკური იყო: უკრაინის "ნარინჯისფერი რევოლუციის", მოლდოვაში "პროევროპელი" კომუნისტების გამარჯვების, და ბოლოს ყირგიზული ამბოხის შემდეგ ნათელი გახდა, რომ პუტინს დსთ-ს სივრცეში მოკავშირეები, თითქმის, აღარ დარჩა. ასე რომ, იგი იმით კმაყოფილდება, რისი საშუალებაც არსებობს. მერე რა, რომ ლუკაშენკო "იმპულსური", დიქტატორული მისწრაფებებით ცნობილი პოლიტიკოსია, სამაგიეროდ, იგი მთელი ძალით ცდილობს, თავის ქვეყანაში "ხავერდოვანი რევოლუციის" ვირუსის გავრცელებას შეეწინააღმდეგოს - ანუ, მისი ინტერესები სრულ შესაბამისობაშია კრემლის ინტერესებთან.

სხვათა შორის, გუშინ ანალიტიკოსები "საკავშირო მოძრაობის" გაძლიერების მოტივებზე სხვაგვარ ვარაუდსაც გამოთქვამდნენ. დასავლურ პრესაში გამოჩნდა სტატიები, რომელთა მიხედვითაც, პუტინისთვის ბელორუსთან კავშირის ინსტიტუციონალიზაცია, შესაძლოა, მესამე ვადით ხელისუფლებაში დარჩენის ტოლფასი იყოს.

# აშშ-ს საზღვაო ქვეითთა გენერალი შტაბის უფროსის თანამდებობაზე წარადგინეს

პრეზიდენტმა ბუშმა შეირაღებული ძალების გენერალური შტაბის მეთაურის პოსტზე საზღვაო ქვეითი ჯარების გენერლის პიტერ პეისის კანდიდატურა წარადგინა. "მან ეს საქმე კარგად იცის, - განაცხადა ბუშმა პეისის წარდგენისას, - ეს უზარმაზარი მოცულობის სამუშაოა მშვიდობიან დროშიც კი". ამ თანამდებობაზე პეისმა გენერალი რიჩარდ მაიერსი უნდა შეცვალოს, რომლის უფლებამოსილება 30 სექტემბერს იწურება. საბოლოო გადაწყვეტილებას პეისის გენერალური შტაბის მეთაურის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით სენატი მიიღებს.

*როიტერსი*

# სალოცავებზე თავდასხმები გრძელდება

გუშინ ბაღდადში, შიიტურ მეჩეთთან მძლავრი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც, დაუზუსტებელი ინფორმაციით, რვა ადამიანი დაიღუპა და ოცზე მეტი დაშავდა. ერაყის ხელისუფლების მიერ გავრცელებული ცნობით, დანაღმული ავტომანქანა, რომელსაც კამიკაძე-ტერორისტი მართავდა, მეჩეთის კედელს შეეჯახა. ბოლო ხანებში შიიტურ მეჩეთებზე სუნიტი ბოევიკების თავდასხმები გახშირდა. მიმდინარე წელს, 18 თებერვალს, შიიტთა მთავარი დღესასწაულის წინ ერთდროულად ორი მეჩეთი ააფეთქეს ბაღდადის სამხრეთით, რის შედეგადაც სამ ათეულზე მეტი ადამიანი დაიღუპა და 22 დაშავდა. გასულ წელს იგივე დღეს შიიტ მლოცველებზე მოწყობილ თავდასხმას 180 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

*24 საათი*

# იჩქერიის პრეზიდენტის საფლავი გასაიდუმლოებული იქნება

იჩქერიის ყოფილი პრეზიდენტის ასლან მასხადოვის ცხედარი ტერორიზმთან ბრძოლის კანონის შესაბამისად დაკრძალეს. ამის შესახებ გუშინ ნალჩიკში ჟურნალისტებს რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ ნიკოლოზ შეპელმა აცნობა. მისივე თქმით, კანონის შესაბამისად, დაკრძალვის ადგილი გასაიდუმლოებულია. ასლან მასხადოვი 8 მარტს ჩეჩნეთის სოფელ ტოლსტოი-იურტში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაიღუპა. მისი ვაჟი - ანზორი მამის ცხედრის გადაცემას მოითხოვდა. დახმარების თხოვნით, მასხადოვის ოჯახმა სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებს და რუსეთის ჯარისკაცთა დედების კომიტეტს მიმართა. თავის მხრივ, კომიტეტმა მიმართვა გენერალურ პროკურატურას გაუგზავნა, თუმცა უარი მიიღო.

*ინტერპრესი*

# ტურიზმის დეპარტამენტი საქართველოს უკრაინაში "აპიარებს"

*აგრესიული სარეკლამო კამპანია - დაახლოებით, ასე შეიძლება შეფასდეს ის კამპანია, რომელსაც საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი, უკანასკნელი რამდენიმე თვეა, აქტიურად აწარმოებს. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად, ამან უკვე თავისი შედეგი გამოიღო. ფაქტია, რომ უცხოელი ტურისტების ინტერესი საქართველოს მიმართ ამ ბოლო დროს აშკარად გაიზარდა.*

ეთერ მამულაშვილი

ამ სარეკლამო კამპანიის მიზანია საზღვარგარეთ ჩვენი ქვეყნის მაქსიმალური პოპულარიზაცია და უცხოელი ტურისტების მოზიდვა. სწორედ ამ მიზნით, საქართველომ მიმდინარე წელს უკვე ხუთ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა და წლის ბოლომდე, მონაწილეობის მიღება კიდევ უფრო მეტ გამოფენაში იგეგმება.

ის, რის გაკეთებასაც ტურიზმის დეპარტამენტი უახლოეს მომავალში აპირებს, სწორედ ამ აგრესიული სარეკლამო კამპანიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. დეტალებზე სასაუბროდ, საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ საბა კიკნაძემ, რამდენიმე უკრაინულმა ტურ-ოპერატორმა გუშინ ჟურნალისტებისთვის სპეციალური ბრიფინგი მოაწყვეს.

ძალიან მალე საქართველოში სპეციალურად უკრაინელი ჟურნალისტებისთვის ინფო-ტური მოეწყობა. ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის საბა კიკნაძის თქმით, ეს და კიდევ სხვა რამდენიმე ღონისძიება, ორ ქვეყანას - უკრაინასა და საქართველოს შორის ტურისტული ნაკადების გაზრდის მიზნით დაიგეგმა.

მარშრუტი კიევი-თბილისი-ბათუმი-თბილისი-კიევი, სავარაუდოდ, ივნისის მეორე ნახევარში დაიწყება. ამ დროს თბილისს უკრაინიდან ჟურნალისტთა 15-კაციანი დელეგაცია ეწვევა, რომლებიც საქართველოში, სავარაუდოდ, ათ დღეს დარჩებიან.

მანამდე, ორი კვირით ადრე, ქართველ ჟურნალისტთა 15-კაციანი ჯგუფი, იგივე მიზნით უკრაინას ეწვევა. მეთექვსმეტე - საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი იქნება, რომელსაც უკრაინაში ჟურნალისტებთან ერთად გამგზავრების სურვილი თავად გამოუთქვამს. სავარაუდო მარშრუტის თბილისი-კიევი-სიმფეროპოლი-თბილისის შესრულება ივნისის პირველივე რიცხვებში იგეგმება.

ასეთივე ტიპის ინფო-ტური, თუმცა - ოდნავ მოგვიანებით, სპეციალურად ქართველი და უკრაინელი ტურისტული კომპანიებისა და აგენტებისთვისაც მოეწყობა. **"ამ ტურის მიზანია კონკრეტული ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა ქართველი და უკრაინელი მომხმარებლებისათვის. სავარაუდოდ, ეს იქნება კულტურული, სათავგადასავლო და ეკო-ტურები, ასევე, ზაფხულის დასვენება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე და ზამთრის სამთო-სათხილამურო ტურები გუდაურსა და ბაკურიანში,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს საბა კიკნაძემ.

ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ, საქართველოსა და უკრაინის ურთიერთინტერესი რომ გაიზარდა, ამას შემდეგი ციფრებიც ადასტურებს: მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში საქართველოში უკრაინიდან ამ ქვეყნის 4175 მოქალაქე შემოვიდა. უკრაინის ეროვნული ტურისტული ადმინისტრაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ვლადიმერ ცარუკუ განმარტავს, რომ ეს მაჩვენებელი, გასული წლის მონაცემებთან შედარებით, თითქმის ორჯერ გაიზარდა. **"დარწმუნებული ვარ, რომ ქართულ მხარესთან ერთად დაგეგმილი ღონისძიებების შემდეგ ეს ციფრები კიდევ უფრო გაიზრდება,"** - გვითხრა ვლადიმერ ცარუკუმ.

კიდევ ერთი დეტალი: 26-27 სექტემბერს უკრაინის ქალაქ იალტაში ევროკავშირის ეგიდით იმართება სოფლის ტურიზმისადმი მიძღვნილი კონფერენცია. უკრაინული მხარის შემოთავაზებით, ამ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ტურისტული და ღვინის მწარმოებელი კომპანიები, **"რათა უკრაინულ მოსახლეობას შევთავაზოთ ქართული აგროტურისტული პროდუქტი და შემოდგომაზე დაგეგმილ ქართული ღვინის ფესტივალს რეკლამა გავუკეთოთ,"** - განმარტავს საბა კიკნაძე.

# აეროპორტს თურქები ააშენებენ

## ხელისუფლება სანაოსნოს პრივატიზაციით კმაყოფილია

*მთავრობის სხდომამ გუშინ 21 საკითხი განიხილა. მათ შორის აღარ გახლდათ კერძო არბიტრაჟის თემა - ეს თემა ხელისუფლებამ უკვე პარლამენტში "ამოწურა". ამჯერად დახურული სხდომიდან გამოსულმა პრემიერმა ძირითადი აქცენტები აეროპორტის მშენებლობის ტენდერსა და პრივატიზაციის შედეგებზე გააკეთა:*

თამარ ივანიძე

თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობა, შესაძლოა, თურქულ კომპანია "ჩელებს" დაევალოს. როგორც მთავრობის დღევანდელი სხდომის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, აეროპორტის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე სამი კომპანიიდან - გერმანული "ტაკომი", თურქული "ტაკეი" და "ჩელები" - უპირატესობა, ჯერჯერობით, "ჩელებს" მიენიჭა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ტენდერში მონაწილე სამი ფირმიდან უპირატესობა "ჩელებზე" შემდეგი მონაცემების გამო შეჩერდა: "ჩელები" თბილისის აეროპორტის მშენებლობის დასრულებას კონკურენტებზე უფრო ადრე, 11 თვეში გეგმავს (დანარჩენი ფირმები წელიწადნახევარს ასახელებენ); აეროპორტის ახალი შენობის პროექტი გაცილებით უფრო თანამედროვეა, ვიდრე სხვა ფირმების მიერ წარმოდგენილი პროექტები; ამ პროექტის მიხედვით, შესაძლებელია შენობის გაფართოება საჭიროების შემთხვევაში, რაც პრემიერ-მინისტრის თქმით, ყველაზე მთავარია.

თურქული ფირმა ააშენებს თბილისის აეროპორტს, მართავს 10 წლის მანძილზე, ამ პერიოდში ამოიღებს ინვესტირებულ 55 მილიონ დოლარს და აეროპორტს საქართველოს სახელმწიფოს დაუბრუნებს.

ნოღაიდელის თქმით, ფირმა "ჩელებთან" მოლაპარაკებები კონტრაქტის თაობაზე 2 კვირის მანძილზე გაგრძელდება და თუკი შეთანხმება ვერ ან არ იქნება მიღწეული, გამარჯვებული, შესაძლოა, ტენდერში მონაწილე სხვა ფირმებიდან შეირჩეს.

"ჩელებს" აშენებული აქვს ანტალიის აეროპორტი, რომლის გახსნასაც სულ რამდენიმე დღის წინ თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ერდოგანიც დაესწრო.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ შპს "საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" პრივატიზებაში გამარჯვებულმა ბრიტანულმა კომპანია "მერინ კეპიტალმა" საქართველოს ხელისუფლების ანგარიშზე ბიუჯეტის სასარგებლოდ უკვე 93 მილიონი დოლარი გადმორიცხა.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა დღეს მთავრობის სხდომის შემდეგ სახელმწიფო კანცელარიაში განაცხადა.

პრემიერის თქმით, აღნიშნული თანხა, ძირითადად, ენერგეტიკის სფეროზე, არმიის მშენებლობაზე და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაიხარჯება.

ნოღაიდელმა კმაყოფილება გამოთქვა სანაოსნოს პრივატიზების პროცესში ქართული მხარის, კერძოდ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გაწეულ სამუშაოსთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, უახლოეს მომავალში "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზაციის პროცესის საბოლოოდ დასრულება იგეგმება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ალექსი ალექსიშვილი და "ჯორჯიან ტანკერს ლიმითედის" წარმომადგენელი.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ამ საკითხს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ბრიტანული "მერინ ქეფითალისა" და ამერიკული საზღვაო კომპანია "ისტვინდის" შვილობილმა "ჯორჯიან ტანკერს ლიმითედმა" საქართველოს ხელისუფლებასთან გაფორმებული კონტრაქტის პირობები შეასრულა და 93 მილიონი აშშ დოლარი სრულიად დაფარა.

ალექსი ალექსიშვილის თქმით, სანაოსნოს ახალი მფლობელი კონტრაქტით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას შეასრულებს, მათ შორის 12 წლის განმავლობაში შეინარჩუნებს არსებულ სამუშაო ადგილებს, განავითარებს ინფრასტრუქტურას, დააფინანსებს საზღვაო აკადემიას და დაფარავს "საოკეანო სანაოსნოს" ვალს, რომელიც 72 მლნ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, ალექსიშვილის თქმით, კონკურსის პირობების თანახმად, ყველა გემი ქართული დროშის ქვეშ იცურებს. როგორც "ჯორჯიან ტანკერს ლიმითედის" წარმომადგენელმა ტომას ჯოზეფ მიურეიმ განაცხადა, იგი სანაოსნოს პრივატიზაციით კმაყოფილია, რადგან მათ საქართველოს საოკეანო სანაოსნო "კარგ ფასად" შეიძინეს.

# ვინ და როგორ მიიღებს ამერიკულ დაფინანსებას "ათასწლეულის პროექტის" ფარგლებში

*"მილენიუმის" გახმაურებულმა პროექტმა, საიდანაც საქართველომ სოლიდური დაფინანსება უნდა მიიღოს, თავის დროზე, მედიასივრცეში სერიოზული რეზონანსი გამოიწვია. თუმცა, აჟიოტაჟი მალე ჩაწყნარდა, რამაც "მილენიუმის" ქართული ჯგუფის მისამართით გარკვეული ეჭვები დაბადა: კერძოდ, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ჯგუფმა ერთგვარ "იატაკქვეშეთში" გადაინაცვლა. ბუნებრივია, "24 საათი" დაინტერესდა, რას საქმიანობდა კორპორაციის ქართული წარმომადგენლობა მთელი ამ ხნის განმავლობაში და რა გზით შეიძლება კორპორაციისგან დაფინანსების მიღება.*

მაია ურუშაძე

"24 საათი" უკვე წერდა, რომ "ათასწლეულის გამოწვევა" აშშ მთავრობის მიერ განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის სპეციალური პროგრამაა, რომელიც კონკურსის (ქვეყნების) საფუძველზე 1-მილიარდიანი ბიუჯეტიდან გაანაწილებს თანხებს. საქართველოს, რომელიც ამ ეტაპზე ოთხ ფინალისტს შორისაა, ამ თანხიდან, დაახლოებით, 200 მილიონი აშშ დოლარის მიღების იმედი აქვს.

"ფონდ-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" წარმომადგენლები გასულ ზამთარში "იატაკქვეშეთში" მოქმედებას სამუშაო პროცესის სპეციფიკით ხსნიან. ყველაზე უფრო მეტ კითხვას ბადებდა ის გზები, თუ როგორ უნდა მიეწოდებინათ კორპორაციისთვის დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს საკუთარი განაცხადები. გარდა ამისა, გაჩნდა ეჭვი, რომ კორპორაციის წარმომადგენლობაში თავად წყვეტდნენ, რომელი პროექტებისთვის აენთოთ "მწვანე შუქი" და რომლებისთვის - არა.

თუმცა, "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოში" დღეს აკონკრეტებენ, რომ ინფორმაცია ფონდის საქმიანობის შესახებ არათუ გასაიდუმლოებული არ ყოფილა, არამედ ფართოდ გაშუქდა მედიაში და შეიქმნა ინტერნეტ-გვერდიც, მისამართზე www.mcg.ge.

**"ჩვენ პროექტებს ჩვენით კი არ ვამზადებდით, მხოლოდ ვიღებდით და ვაჯგუფებდით სექტორების მიხედვით,** - აკონკრეტებს ფონდის ხელმძღვანელი ლაშა შანიძე, - **საქართველოს განაცხადში უნდა ასახულიყო არა მხოლოდ სახელმწიფო პრიორიტეტები (სტრატეგიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით), არამედ რიგითი მოქალაქეების, არასამთავრობო და კერძო სექტორის ხედვაც. ამგვარი თანამონაწილეობითი მიდგომის უზრუნველსაყოფად, გაიმართა კონსულტაციები, 2004 წლის ზაფხულში მიმდინარეობდა და მთელი საქართველო მოიცვა: ჩატარდა 7 მრგვალი მაგიდა რეგიონებში, შემოღებული იქნა სპეციალური ყუთები დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების შესაგროვებლად. შეიქმნა სატელეფონო ცხელი ხაზი. საკმაოდ ფართოდ გაშუქდა პროცესი პრესის საშუალებითაც. მხოლოდ წერილობითი სახით შემოსული წინადადებებისა და საპროექტო იდეების რიცხვმა 400-ს გადააჭარბა. ყველა ეს რეკომენდაცია შესწავლილი და დაჯგუფებული იქნა სექტორების მიხედვით. ბუნებრივია, ყველა კონკრეტული წინადადება ვერ აისახა საქართველოს განაცხადში, მაგრამ სახელმწიფო პრიორიტეტები მაქსიმალურად იქნა შეჯერებული საზოგადოებრივ აზრთან. ყველა პროექტი, რომელიც ჩვენთან შემოვიდა, დაარქივდა და საქართველო-აშშ შორის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაიწყება მათი განხილვა და კონკურენტულ პირობებში დაფინანსების საკითხზე მუშაობა. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს პროექტების შემოტანის შესაძლებლობა კვლავ მიეცემათ."**

საბოლოოდ, შეირჩა ოთხი პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარების ფონდის შექმნა რეგიონებზე გათვლილი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე მიზნობრივი პროექტების დასაფინანსებლად (სავარაუდოდ, 30-40 მლნ დოლარი); სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ინტეგრაცია/განვითარება საავტომობილო გზის რეაბილიტაციის გზით (სავარაუდოდ, 100-120 მლნ დოლარი); საქართველოს განვითარების ფონდის შექმნა სოფლის მეურნეობის/კვების მრეწველობისა და ტურიზმის სექტორებში კაპიტალის ინვესტირების გზით (სავარაუდოდ, 30-40 მლნ დოლარი) და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის აღდგენა (სავარაუდოდ, 30-40 მლნ დოლარი).

საქართველო ამჟამად მოლაპარაკებების ბოლო ფაზაში იმყოფება, ფონდი კი აგრძელებს რეგულარულ შეხვედრებს დაინტერესებულ ჯგუფებთან. მისი წარმომადგენლები ამჟამად აშშ-ში იმყოფებიან და "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან" ამ პროექტის საბოლოო აგებულებასა და განხორციელების მექანიზმზე მუშაობენ.

# ამერიკული "შევრონ ტეხსო" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში ჩაერთო

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, მსოფლიოში სიდიდით მეორე კომპანია, ამერიკული "შევრონ ტეხსო" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობპროექტში მონაწილეობის უფლებას იღებს, რადგან კომპანია "იუნოკალი" შეიძინა. "იუნოკალი" კი აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ნავთობსაბადოებზე (სადაც 700 მლნ ტონა ნავთობია) 10.28 პროცენტს ფლობს. "იუნოკალი" მონაწილეობს, აგრეთვე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში, სადაც 8.9 პროცენტის წილის მფლობელია.

"შევრონ-ტეხსო" ყაზახეთში გიგანტური თენგიზის ნავთობსაბადოების 50 პროცენტის მფლობელია და კასპიის ნავთობსადენის კონსორციუმის წევრი-კომპანიაა.

რაც შეეხება ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობის მიმდინარეობას: "ბი-პი - აზერბაიჯანის" პრეზიდენტის დევიდ ვუდვორდის განცხადებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა მიმდინარე წლის პირველი კვარტლის გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და მაისში ხაზი სანგაჩალის ტერმინალიდან დაიტვირთება, 2005 წლის მეორე ნახევრიდან კი ჯეიჰანის ტერმინალიდან ნავთობის ექსპორტი დაიწყება.

ვუდვორდის მონაცემებით, დღეისათვის უკვე მომზადებულია ნავთობსადენის სექციები, მისი 98 პროცენტი კი მიწაშია ჩაფლული.

დასრულებულია პირველი ფაზის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო სანგაჩალას სადგურის სათაო ტუმბოს გამოცდა 93 პროცენტით დასრულებულია.

საერთო მონაცემებით, აზერბაიჯანში ნავთობპროდუქტებისთვის ჩატარებული სამუშაოების 96 პროცენტი შესრულდა, საქართველოში - 92 პროცენტი, თურქეთში კი - 90 პროცენტი.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამედიაროვი არ გამორიცხავს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოებისთვის ბაქოში აშშ-ს მობილური სამხედრო ძალები განლაგდნენ.

**"აშშ-ს დახმარება აუცილებელია, რათა აზერბაიჯანში მსხვილი ეკონომიკური პროექტი განხორციელდეს,"** - აცხადებს ელმარ მამედიაროვი. საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, კასპიის საბადოებს აზერბაიჯანი ამერიკელებთან ერთად გამოიყენებს. ამ მიზნით, ბაქოში აშშ-ს სამხედრო ბაზა გაიხსნება, თუმცა კონკრეტული წინადადებებით ამერიკელებს ბაქოსთვის ჯერ არ მიუმართავთ.

*24 საათი*

მოკლედ

# მინიმალური ხელფასი რეგიონებშიც 115 ლარი გახდა

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მოსამსახურეების მინიმალური ხელფასი 115 ლარი გახდა, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის შეფასებით, წინგადადგმული ნაბიჯია. **"მას შემდეგ, რაც 2005 წლის 1 იანვრიდან მინიმალურ ხელფასად 115 ლარი ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მოსამსახურეებს დაუწესდათ, ვფიქრობდი, ანალოგიური ღონისძიების გატარება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა ჩემთვის სასიხარულოდ, ეს უმოკლეს ხანებში მოხერხდა,"** - აღნიშნა ზურაბ ნოღაიდელმა.

ცნობისთვის: სახელისუფლებო ორგანოთა მოსამსახურეების გარდა, ყველა სხვა სტრუქტურების მოსამსახურეების მინიმალური ხელფასი 80 ლარს შეადგენდა. **მედია-ნიუსი**

# "თბილგაზის" ბიზნეს-ცენტრები შაბათ-კვირასაც იმუშავებს

"თბილგაზის" ქვითრის გარეშე დარჩენილი აბონენტებისთვის, კომპანიის ბიზნეს-ცენტრები შაბათ-კვირასაც იმუშავებს. როგორც "ინტერ-პრესს" "თბილგაზში" განუცხადეს, ის აბონენტები, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო ბოლო თვეების განმავლობაში ქვითრები ვერ მიიღეს, ვისთანაც ბინაში მრიცხველის წამკითხველი არ მისულა, 23-24 აპრილს რაიონულ ბიზნეს-ცენტრებში უნდა მივიდნენ.

**"შაბათ-კვირას სპეციალურად იმუშავებს ყველა რაიონის ბიზნეს-ცენტრი, სადაც აბონენტებს შესაბამის ქვითრებს ადგილზე მისცემენ. მარტოხელა მოხუცებსა და გადაადგილების უნარშეზღუდულ პირებს შეუძლიათ, დარეკონ ტელეფონზე 20-04-04, სადაც ჩაიწერენ შესაბამის ინფორმაციას და მეორე დღესვე "თბილგაზის" თანამშრომლები შესაბამის ქვითარს მათ თავად მიუტანენ,"** - განაცხადეს "თბილგაზში." **ინტერ-პრესი**

# "ელექტროკავშირის" თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს

ს/ს "ელექტროკავშირის" შენობის წინ 150-მდე თანამშრომელმა გუშინ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი ახალი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოდიან და ხელფასების გაზრდას მოითხოვენ.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ახალი ხელმძღვანელობა პერმანენტულად ამცირებს პროფესიონალ თანამშრომლებს და მათ ნაცვლად არაკვალიფიცირებულ კადრებს ნიშნავს. როგორც "ელექტროკავშირის" თანამშრომლები აცხადებენ, მათი ხელფასი 50-დან 100 ლარამდე მერყეობს, ხოლო ახალი თანამშრომლის ხელფასი 1000 ლარიდან იწყება.

თანამშრომლები საქართველოს პრეზიდენტს მიმართავენ და ახალი გენერალური დირექტორის ნანა ადეიშვილის გადაყენებას მოითხოვენ.

**"პრეზიდენტმა მოგვცეს იმის უფლება, რომ ჩვენ ახალი ხელმძღვანელი დავნიშნოთ, ან პროფესიონალი ადამიანი გამოგვიგზავნოს,"** - აცხადებენ აქციის მონაწილეები.

"ელექტროკავშირის" თანამშრომლებმა გუშინ გამაფრთხილებელი აქცია გამართეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სახელმწიფო კანცელარიის წინ უფრო ფართომასშტაბიანი აქციის გამართვას გეგმავენ. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

**ბათუმი.** ბათუმის რკინიგზის ყოფილი სადგურის შენობა აუქციონზე გაიყიდა. შენობის საწყისი ფასი 50 ათასი დოლარი იყო და მასზე პრეტენზიას ხუთი კომპანია აცხადებდა, მათ შორის - რუსული, თურქული და ქართული კომპანიები.

საბოლოოდ, შენობა 900 ათას დოლარად "თიბისი ბანკმა" შეიძინა.

რამდენიმე თვეში ბანკის მესვეურები შენობის რეკონსტრუქციას და იქ ბიზნეს-ცენტრის გახსნას გეგმავენ. **მედიანიუსი**

# სხვა არაპროფესიონალი კადრებისგან თავისუფლდება

*საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობამ გასული ორი წლის შედეგები შეაჯამა და გუშინ, სასტუმრო "ვარაზში", მომსახურების ცენტრებისა და რეგიონული ოფისების მენეჯერებს შეხვდა. ენერგოკომპანიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, 200 თანამშრომელი სამსახურიდან გათავისუფლებულია. არც ერთი მათგანი გუშინ შეხვედრას არ ესწრებოდა.*

როგორც გუშინდელ შეხვედრაზე კომპანიის ოპერაციათა მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა კიკალიშვილმა განაცხადა, 2005 წლის პირველი კვარტლის შედეგებიდან გამომდინარე, სამსახურიდან გათავისუფლდა 200 თანამშრომელი, რომლებმაც არაპროფესიონალიზმი გამოიჩინეს. კერძოდ, სამსახურიდან გათავისუფლდა ქვემო ქართლის ფილიალში - 48, იმერეთში - 92, გურიაში - 12, სამცხე-ჯავახეთში - 2, შიდა ქართლში - 35 თანამშრომელი და ა.შ.

**"კომპანიაში პროფესიონალიზმის დეფიციტი გვაქვს, ამიტომ, ახალგაზრდა კადრების მოზიდვაზე უნდა ვიზრუნოთ. ჩვენთან ხელფასები მაღალია, ახალგაზრდების დასაქმებას ყველა მიმართულებით უნდა შევუწყოთ ხელი,"** - განაცხადა კიკალიშვილმა და რეგიონულ მენეჯერებს ახალი კადრების მოძიება დაავალა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის რიგ ფილიალებში თანხების ამოღების მაჩვენებლებში ჩავარდნა იყო, რაც ენერგოკომპანიას ერთი მილიონი ლარი დაუჯდა, საბოლოო ჯამში ენერგოკომპანიას ჩავარდნა არ აქვს. საქმე იმაშია, რომ როგორც მამუკა კიკალიშვილმა აღნიშნა, გარკვეული ფილიალების ჩავარდნა სხვა ფილიალების მიერ მიღწეულმა გადაჭარბებებმა დააბალანსა.

გათავისუფლებული 200 თანამშრომლიდან სისხლის სამართლის საქმე არავის მიმართ არ არის აღძრული. თუმცა, როგორც ენერგოკომპანიის თანამშრომლებმა აღნიშნეს, ამ თანამშრომლების საქმის შესწავლა ჯერ არ დასრულებულა და სერიოზული დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აუცილებლად აღიძვრება. ცნობისათვის, საქართველოს გაერთანებულმა ენერგოკომპანიამ უკვე აღძრა სისხლის სამართლის 47 საქმე თავისი ყოფილი თანამშრომლების მიმართ.

გუშინვე შეხვედრაზე ენერგოკომპანიის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა განაცხადა, რომ ენერგოკომპანია კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებას ივნისში დაასრულებს, რომლის დასამონტაჟებლადაც 6 მილიონი ლარია გამოყოფილი. **"აქედან, 3 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტმა გაიღო, დანარჩენი კი თავად კომპანიამ მოიძია,"** - დასძინა უაითმა. მან იმედი გამოთქვა, რომ კომუნალური მრიცხველების დამონტაჟების შემდეგ კომპანიაში აღრიცხვიანობა გაცილებით მოწესრიგდება და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

*24 საათი*

# "ხავერდოვან რევოლუციაში" შეტანილი წვლილი - ხელშეუხებლობის გარანტია დამნაშავე მაღალჩინოსნებისთვის

ინგა ალავიძე

*სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის სავარძელი შეირყა. გენერალ კოპაძის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე გუშინწინ სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა საპარლამენტო ტრიბუნიდან ისაუბრა და მისი მოთხოვნა მყარი არგუმენტებით გაამაგრა, პარლამენტარებს საპატიმრო დაწესებულებებში არსებული უმძიმესი სიტუაციის თაობაზე ანგარიში ჩააბარა. ომბუდსმენმა სხვადასხვა საეჭვო გარიგებაში დადანაშაულებული კოპაძის მოხსნა დაუყოვნებლივ, ერთი კვირის ვადაში მოითხოვა. გუშინ ასეთივე კატეგორიული ტონით გაკეთებული იგივე მოთხოვნა იუსტიციის მინისტრმაც მიიღო. იუსტიციის სამინისტროს მრჩეველთა საზოგადოებრივმა საბჭომ, რომლის შემადგენლობაშიც არასამთავრობო ორგანიზაციები არიან, კოტე კემულარიას რეკომენდაციით მიმართეს.*



მრჩეველთა საბჭომ იუსტიციის მინისტრს მკაცრი რეკომენდაცია მისცა.

დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს თანამდებობიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე და აღიძრას მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე, - ასეთია პენიტენციურ სისტემაში მონიტორინგის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციათა საბჭოს მოთხოვნა.

იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია მრჩეველთა საბჭოს წევრებს პირველად შეხვდა და საპატიმროებში არსებული აუტანელი მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია არასამთავრობოებისგან მიიღო.

პენიტენციურ სისტემაში არსებული უმძიმესი პრობლემების შესახებ ვრცლად ისაუბრა "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ. მისი თქმით, ციხეებში კვლავაც უმძიმესია სოციალური პირობები, იქ კვლავ "ქურდული სამყარო" ბატონობს, კვლავაც კორუფციული გარიგებები და დახვეწილი კორუფციული სქემები მოქმედებს, კვლავ გროვდება პატიმართა "ობშიაკი" - მოსაკრებლები, რომლის ტარიფებიც, გასულ წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა. **"თუ ადრე 30 ლარი იყო, ახლა 50 ლარი გახდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციებით, ერთი პატიმრის შენახვა ოჯახს თვეში 350-500 ლარი უჯდება. ქურდების მიერ მოგროვებული "ობშიაკი" შემდეგ იყოფა ციხის ადმინისტრაციაში და უფრო ზევითაც მიდის. ფულის კეთების მექანიზმების შესახებ გვიყვებიან პატიმრებიც და თანამშრომლებიც. პატიმართა ინფორმაციით, კორუფციის ერთ-ერთი წყაროა N7 საპყრობილე. ფულიან პირებს ამ საპყრობილეში მოხვედრა 1500-დან 2000 დოლარამდე უჯდებათ. იქ ქურდული სამყაროსგან იზოლირებულები არიან და ქურდები ფულს ვერ ართმევენ. პატიმრის ციხის საავადმყოფოში გადაყვანა კი 500 დოლარი ჯდება",** - თქვა თეა თუთბერიძემ, რომლის განცხადებითაც, ამ "მაფიურ სისტემას" მართავს შოთა კოპაძე, რომელიც სამსახურში მისი კურსელების, მეგობრების, შვილის მეჯვარის და სხვა მეგობრების დახმარებითაა მოხვედრილი. **"პატიმრები და მათი ოჯახის წევრები გვეუბნებიან, რომ სწორედ კოპაძისა და მისი შვილის მეგობრებს უხდიან ფულს",** - განაცხადა თეა თუთბერიძემ და მინისტრს სისტემური ცვლილების განხორციელების რეკომენდაცია მისცა. დიდი ცვლილებისკენ გადასადგმელ პირველ ნაბიჯად კი დეპარტამენტის თავმჯდომარის გათავისუფლება მოითხოვა.

ერთი სიტყვით, მრჩეველთა საბჭოსა და იუსტიციის მინისტრის შეხვედრაზე მისულმა ჟურნალისტებმა კიდევ ერთხელ მოვისმინეთ ის, რაც არაერთხელ დაგვიწერია ; ის, რაც არაერთხელ უთქვამს თეა თუთბერიძეს და არასამთავრობო თუ სახელისუფლებო სექტორის სხვა წარმომადგენელს. თუმცა, სამწუხაროდ, პენიტენციურ სისტემაში არსებული საშინელებების გამო, პასუხისმგებლობა, ჯერჯერობით, არავის დაკისრებია. სამწუხაროდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზოგიერთი მაღალჩინოსნისთვის, რომლებიც არაერთ სერიოზულ დანაშაულს ჩადიან, "ხავერდოვან რევოლუციაში შეტანილი წვლილი" ხელშეუხებლობის გარანტიაა. სწორედ ამიტომაც, შეხვედრაზე მისულ ჟურნალისტებს იმის ილუზია არ გვქონია, რომ მრჩეველთა საბჭოს მწვავე შეფასებას ლოგიკური შედეგი მოჰყვებოდა. სხვათა შორის, ჟურნალისტებმა იუსტიციის მინისტრის მიერ გასაკეთებელი საბოლოო სიტყვის სავარაუდო ვარიანტიც ვიწინასწარმეტყველეთ: გენერალური ინსპექცია შეისწავლის თქვენ მიერ დასახელებულ ფაქტებს და დამნაშავეები მკაცრად დაისჯებიან. არც შევმცდარვართ. თუმცა, კოტე კემულარიამ მისი რეზიუმე ცოტა განავრცო : **"შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში კორუფცია არ არსებობს. თუმცა, ფაქტებს შესწავლა და შეფასება სჭირდება. იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, რომელიც ჩემი მოსვლის შემდეგ მთლიანად გამოიცვალა, პენიტენციურ სისტემაში დარღვევის არაერთი ფაქტი გამოავლინა. შემოწმებები დღესაც გრძელდება და ჩვენ შესაბამის ზომებს ვიღებთ".**

მისივე თქმით, პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია ინფრასტრუქტურის განვითარება. წელს, მაისში დასრულდება ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიაზე საპყრობილის მშენებლობა. გარდა ამისა, აგვისტოში ამოქმედდება რუსთავის N6 საპყრობილე; დაგეგმილია საპყრობილის აშენება თბილისშიც.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლებას, ამასთან დაკავშირებით იუსიტიციის მინისტრმა განაცხადა: **"შოთა კოპაძე გამოცდილი კადრია. მან ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში მდგომარეობა გამოსწორებულიყო. თუმცა, მის ირგვლივ ბევრი კითხვაა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. "კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება" - ჩვენ ამ საკითხს შევისწავლით და გადაწყვეტილებას შემდეგ მივიღებთ".**

კონსტანტინე კემულარიამ საბჭოს წევრებს შესთავაზა, მსგავსი შეხვედრები ყოველთვიურად გაიმართოს.

## მოკლედ

### პატიმარი ქალები შიმშილობის დაწყებით იმუქრებოდნენ

თბილისის ქალთა N5 საერთო საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების პატიმრები შიმშილობის დაწყებით იმუქრებოდნენ. პატიმრები სასამართლოში მათი საქმეების განხილვის გაჭიანურებას აპროტესტებენ.

სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, დაკავებულთა მიმართ მიმდინარე ძიებების 50 პროცენტზე მეტი უკვე დასრულებულია და განსახილველად სასამართლოშია გადაცემული. სასამართლო განხილვები კი თვეობით არ ინიშნება, ჭიანურდება სხდომებიც. პატიმრები სახალხო დამცველისგან სასამართლო სისტემასთან შუამდგომლობას ითხოვდნენ. მათ სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ქალთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ბაია რომელაშვილი შეხვდა და დახმარებას დაჰპირდა. პატიმარმა ქალებმა კი შიმშილობაზე უარი თქვეს. ახლად აშენებული და კეთილმოწყობილი საპატიმრო 110 მსჯავრდებულზეა გაანგარიშებული, მასში კი 132 ქალია. ციხის ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა, საკნებად გადაეკეთებინა სამედიცინო პერსონალისთვის განკუთვნილი და ბრალდებულთა დასასვენებელი ოთახები. სასამართლო განაჩენის შემდეგ პატიმრები ქალთა კოლონიაში გადაჰყავთ, სადაც 320 ადგილია და დღეისათვის მხოლოდ 70 მსჯავრდებული იმყოფება. **მედიანიუსი**

### ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნება ჭიანურდება

არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის" ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლება განზრახ აჭიანურებს ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნების ნებართვის გაცემას. ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი საქართველოს 2003 და 2004 წლებში ესტუმრა და მოინახულა სასჯელაღსრულების დაწესებულებები, წინასწარი დაკავების საკნები და ფსიქიატრიული დაწესებულებები. ვიზიტების შემდეგ კომიტეტმა მოამზადა ანგარიში საქართველოში წამების პრაქტიკის შესახებ და შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები ხელისუფლებისთვის. ანგარიში კონფიდენციალურ დოკუმენტად ითვლება მანამდე, ვიდრე შესაბამისი სახელწიფო კომიტეტს არ მისცემს უფლებას, ანგარიში გამოაქვეყნოს. როგორც ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრში აცხადებენ, ანგარიში, უკვე რამდენიმე თვეა, უშედეგოდ ელოდება მზის სინათლეს. გაუგებარია, რატომ არის ხელისუფლება დაინტერესებული აღნიშნული დოკუმენტის საზოგადოებისათვის დამალვით. მათივე თქმით, იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი განყოფილება განზრახ აყოვნებს დოკუმენტის გამოქვეყნებას, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ხელისუფლებაში არსებულ ტენდენციაზე, ყოველნაირი ხერხით დამალონ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან უაღრესად კრიტიკული შენიშვნები და რეკომენდაციები. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი ხელისუფლებისგან ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნებას მოითხოვს. **მედიანიუსი**

### აფხაზ მებაჟეთა შორის დაპირისპირებას მსხვერპლი მოჰყვა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ცნობით, აფხაზ მებაჟეებს შორის დაპირისპირების შედეგად გუშინწინ გალის რაიონის სოფელ თაგილონში ერთი მებაჟე დაიღუპა, ერთი კი მძიმედ დაიჭრა. აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის უფროსი გრიგორი ენიკი დაპირისპირების შესახებ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და მებაჟეებზე თავდასხმაში ქართულ კრიმინალურ დაჯგუფებას ადანაშაულებს. მისი მტკიცებით, გუშინწინ გალის რაიონის სოფელ თაგილონში აფხაზ მებაჟეებზე თავდასხმა ქართული კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა განახორციელეს. აღნიშნული ინციდენტი კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების საგუშაგოდან 400 მეტრში მოხდა. ქართველ სამართალდამცველთა ინფორმაციით კი, აფხაზ მებაჟეებს შორის მსგავსი ინციდენტები ბევრჯერ მომხდარა, რაც კონტრაბანდულ საქმიანობაში მათ მონაწილეობას უკავშირდება. სამართალდამცველთა განცხადებითვე, დაზუსტებული ინფორმაციით, დაღუპული და დაჭრილი აფხაზი მებაჟეები გალის რაიონიდან ზუგდიდში სიგარეტის კონტრაბანდაში მონაწილეობდნენ და მათ შორის დაპირისპირება კერძო ინტერესთა კონფლიქტსა და გარჩევებს უკავშირდება. **ინტერ-პრესი**

### მერიის ყოფილი თანამშრომლები საკუთარი უფლებების დაცვას სასამართლოში ცდილობენ

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოში ქალაქ თბილისის მერიის ყოფილი თანამშრომლების სარჩელის განხილვა, მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო, გაურკვეველი ვადით გადაიდო. სასამართლოში მერიის სამსახურებიდან ახლად დათხოვნილი თანამშრომლების უფლებებს "ლეიბორისტული პარტიის" წევრები - კახა ძაგანია და გიორგი გუგავა იცავენ. კახა ძაგანიას განცხადებით, სარჩელის თანახმად, უნდა გაუქმდეს ქალაქ თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის ის ადმინისტარციული აქტი, რომლის საფუძველზეც, მერიიდან 1700 თანამშრომელი დაითხოვეს. მისივე თქმით, ზურაბ ჭიაბერაშვილმა თანამშრომელთა გათავისუფლების შესახებ ბრძანებულება მანამდე გამოსცა, ვიდრე მას, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ დამტკიცებული "მერიის შესახებ დებულების" თანახმად, შესაბამისი უფლებამოსილება მიენიჭებოდა. მერიის ყოფილი თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ ქალაქის მერმა შტატების შემცირების შესახებ გამოცემულ განკარგულებაში თანამშრომელთა გათავისუფლების გადაწყვეტილებას "საჯარო სამსახურის კანონის" ის პუნქტები დაუდო საფუძვლად, რომელიც ამ კანონში საერთოდ არ წერია. ამ და სხვა გარემოებების საფუძველზე, მერიის ყოფილი თანამშრომლები სამსახურში დაუყოვნებილვ აღდგენას მოითხოვენ. **ინტერ-პრესი**

### მთაწმინდა-კრწანისის გამგეობაში კანონდარღვევები აღმოაჩინეს

ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობაში სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით გაფლანგვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ცნობილი გახდა, რომ მთაწმინდა-კრწანისის გამგეობამ სახელმწიფო შესყიდვები კანონსაწინააღმდეგოდ განახორციელა. საქმე ეხება ავარიული სახლების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოებისთვის ჩატარებულ შესყიდვებს. ამ სამუშაოებისთვის გამოცხადებულ ტენდერში სამმა ფირმამ - შპს "დავითმა", შპს "ამირანმა" და შპს "მშენებელი 89" - გაიმარჯვა. ფინანსური პოლიციის დავალებით, "საქექსპერტიზის" თანამშრომლებმა პირველ ეტაპზე შპს "დავითის" მიერ გამგეობის დაკვეთით შესრულებული სამუშაოები შეამოწმა. ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ შესრულებული სამუშაოების მოცულობა ხელოვნურად არის გაზრდილი და, შესაბამისად, მასში "გაბერილი" თანხებია გადახდილი. შპს "დავითის" სასარგებლოდ, მხოლოდ ორი სახლის აღდგენა-გამაგრებაზე შესრულებულ სამუშაოებში, სახელმწიფომ, დაახლოებით,13 ათასი ლარი იზარალა. აღნიშნული სამუშაოები თბილისში, გრიბოედოვის ქ.N12-ში და ძმები ზუბალაშვილების ქ.N36-ში ჩატარდა, რის შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა გამგებლის მოადგილემ კონსტანტინე დიხამინჯიამ. სამუშაოების შესრულების აქტებზე კი ხელს აწერს მთაწმინდა-კრწანისის გამგეობის საქალაქო მეურნეობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ვახტანგ დილმელაშვილი. ამავე საქალაქო მეურნეობის რაიონული სამსახურის უფროსი ზურაბ დიასამიძე კი სამუშაოს მიმდინარეობასთან დაკავშირებულ აქტებს აწერდა ხელს. სისხლის სამართლის საქმე "გაფლანგვის" მუხლის მე-3 ნაწილით აღიძრა, რაც 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიების პროცესში ფინანსური პოლიცია ტენდერში გამარჯვებული სხვა ფირმების მიერ შესრულებულ სამუშაოებსაც შეამოწმებს. **ინტერ-პრესი**

# ნათლობის რიტუალი ორთაჭალის ციხეში

*გლდანის ლომისის ეკლესიის მოძღვარმა მამა გიორგიმ და ნუცუბიძის პლატოს ხარების ეკლესიის მოძღვარმა მამა ირაკლიმ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილეში არასრულწოვანი პატიმრები მონათლეს. ნათლობის რიტუალი ორთაჭალის საპყრობილის სხდომათა დარბაზში ჩატარდა - მოინათლა 19 არასრულწლოვანი პატიმარი.*

მონათვლის სურვილი თავად განსასჯელებმა გამოთქვეს. არასრულწლოვნების ნათლიები გახდნენ იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები.

მონათლულთა შორის ერთი არასრულწლოვანი ეროვნებით ქურთია, ორი - რუსი, ერთი - სომეხი, დანარჩენი - ქართველი. მონათლულთაგან ერთი იაღოვას მოწმეთა წესით იყო მონათლული და გაქრისტიანების სურვილი თავად გამოთქვა.

მონათლულებს მოძღვრებმა ჯვრები და ახალი აღთქმის წმინდა წიგნები აჩუქეს, იუსტიციის სამინისტრომ კი მათ საჩუქრად ხატები გადასცა.

მამა ირაკლი კუთხაშვილის განცხადებით, უკვე ოთხი წელია, სისტემატურად დადიან საპყრობილეში და პატიმრებთან ურთიერთობა აქვთ, ატარებენ სხვადასხვა ქრისტიანულ რიტუალს, მაგრამ არასრულწლოვანთა ნათლობის რიტუალი ჯერ არ ჩატარებულა. მისი თქმით, უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რომ განსასჯელებმა მონათვლის სურვილი თავად გამოთქვეს. თავად ახლად მონათლულებმა ჟურნალისტებთან გასაუბრებაზე უარი განაცხადეს.



თბილისის N1 საპყრობილეში არასრულწლოვანი პატიმრები მონათლეს.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის ეკატერინე ტყეშელაშვილის თქმით, მოძღვრებს პატიმრებთან სისტემატური კავშირი აქვთ. პატიმრების მხრიდან მონათვლის სურვილი, ერთი მხრივ, საპყრობილეში მყოფებთან მოძღვრის სიარულმა და აღდგომის წმინდა დღესასწაულის მოახლოებამ განაპირობა.

თბილისის N1 საპყრობილეში ამჟამად 66 არასრულწლოვანი პატიმარია. განსასჯელთა ასაკი 18-19 წელია და, ძირითადად, ქურდობისთვის, ძარცვისა და ყაჩაღობისთვის არიან დაკავებულები.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი ..........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..........................................

საკონტაქტო ტელეფონი ..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# დაუსრულებელი აბზაცები...

სანდრო მამასახლისი

(გაგრძელება, დას. იხ "24 საათი" №86,87)

ჩვენი ოცნებანი, ფიქრები, ჰანგები გაჟღენთილია ბაღებისა და მინდვრების სურნელით, გლეხკაცის მუდმივი სიბეჯითითა და ძალაუღლევი შრომით, ვაზის მადლითა და მზის სიხარულით...

ქალაქად კარის მეზობლებიც კი ხშირად ერთმანეთთან უცხოდ არიან, სოფელში - ნათესავზე ახლობელი მეზობელია...

ქალაქში უბნელები დომინოს, ბანქოს ან ნარდის სათამაშოდ, ზოგჯერ ლუდის დასალევად თუ გროვდებიან, სოფელში კი - დიდი შრომისათვის, მოსავლისათვის, ხვავისა და ბარაქისათვის...

სოფელს არასოდეს სძინავს, დღემუდამ ფხიზელია - თუ აურიე, უყურადღებოდ არ დაგტოვებს, ქალაქს კი არ ედარდები, სანამ არ გადაიჩეხები და ცხოვრებას არ გაივერანებ, ვერ დაგინახავს...

სოფელი, ვითარც დედა თავის პირმშოს, სათუთად ინახავს ერის სულიერებას, ტრადიციებს, ცხოვრების წესს... ქალაქი ყველაფერს ქარს ატანს, ამახინჯებს, აიოლებს, აუბრალოვებს...

სოფელში გოგომ რომც მოინდომოს, ვერ გაბოზდება, ქალაქში ამაზე ადვილი არაფერია...

ქალაქში მარტო კაცის სიკვდილი უკიდეგანო სევდაა, რომელსაც არავინ განიცდის, სოფელში ყველა ჭირისუფალია...

ქალაქში ყველაფერი ერთი დღისაა, სოფელში კი მარადისობის - ჩემი სოფლის სასაფლაო უკაცრიელი, ავდარშიაც ჯერ არ ყოფილა...

სიცოცხლე სოფლის დღეებით იზომება და მას წუთისოფელი ჰქვია...

■ ■ ■

ქვეყნის ბიუჯეტის ნახევარზე მეტს ერთი ქალაქი - თბილისი ნთქავს...

ერთი თბილისელის შენახვა ასი სოფლელის ხარჯს მოითხოვს - ელექტროენერგია, გზები, ასფალტი, ტროტუარი, ქუჩები, შენობა-ნაგებობები, პოლიცია, სასწრაფო დახმარება, ავტობუსი, ტროლეიბუსი, კანალიზაცია, პარკები, ნაგვის გატანა, უამრავი კომუნალური სხვა მომსახურება...

საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისათვის ესოდენ შეუფერებელი, არაპროპორციული ვეება დედაქალაქის შემცირებაზე სამწუხაროდ ჯერჯერობით არავინ ზრუნავს... პირიქით - ზოგმა საამშენებლო ფირმამ "გაუტია" და გარეუბნების "ათვისებას" აპირებს... არცაა გასაკვირი, კერძო ფირმა ქვეყნის წინაშე პასუხს არ აგებს, მით უმეტეს ასეთი განუკითხაობის დროს, მისთვის უმთავრესია მოგება...

რასაც თბილისში არსებული საამშენებლო ფირმები სჩადიან, ყოვლად დაუშვებელია - სეისმური თვალსაზრისით ფრიად სახიფათო მხარეში მრავალსართულიანი, კონსტრუქციულად სუსტი შენობები მომავალში შეიძლება დიდი უბედურების მიზეზი გახდეს და მეორეც, მათ მიერ აშენებული თითქმის ყოველი შენობა არ შეესაბამება ადგილის ესთეტიკურ თავისებურებას...

თუ სახელმწიფომ ამ ფირმებს კონტროლის საიმედო ლაგამი არ ამოსდო, სად გადაგჩეხავენ, არავინ იცის...

■ ■ ■

საქართველოს "გამთლიანება" თბილისიდან სოფელში ნებაყოფლობით მასობრივ დაბრუნებას უნდა ნიშნავდეს...

ეს პროცესი თუ დაიწყო, მერწმუნეთ, აფხაზეთი, ცხინვალეთი თვითონ, თავისი ნებით ჩაგვეხუტებიან... "ეს რა სისულელე ჩავიდინეთ..." - აყვირდებიან დღევანდელი ყბადაღებული სეპარატისტები და ქართულ დროშასააფრიალებენ! რამდენადაც დიდია რუსეთი, იმდენად მხდალია, მას ჯერ ერთი ერთზე ომი არ მოუგია, გაიხსენეთ, როგორ აკენწლავა პატარა შვედეთმა, ანდა ლიტველებმა რა მარდად აიღეს მოსკოვი, დღეს კი პაწაწკინტელა ჩეჩნეთმა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სისხლი გაუშრო... ამოძრავებულ, ერთი სულისკვეთებით გაერთიანებულ ქართველობას რო დაინახავს, მხოლოდ მოფერების დაგვიწყებს ლაპარაკს, შეიძლება ბალაფშიცა და კოკოითიც, როგორც ტერორისტები, ციხეშიც ჩაყაროს...

■ ■ ■

თბილისიდან ყოფილი სოფლელების შინ დაბრუნება ერთი შეხედვით მართლაც წააგავს სასწაულს, მაგრამ...

ყველაზე გალაღებულ ოცნებებშიაც ხომ ვერ წარმოვიდგენდი, რომ აჭარაში "მაგრა" მოკალათებულ ასლან აბაშიძეს დედაბუდიანად ამოძირკვავდნენ, რომ ჩვენს საყვარელ აჭარას გარუსებისგან გადავარჩენდით...

არასოდეს დამავიწყდება შევარდნაძისეული საქართველოს გზები, რომლის თითქმის ყოველ კილომეტრში ფორმიანი ნამდვილი ყაჩაღი (მცირე გამონაკლისი მაშინაც იყო!) იდგა და დაუფარავად გვძალავდა ფულს... ხალხმა მათ ძაღლები შეარქვა, რაც არ იყო სამართლიანი - თქვენ რო მთის, ქართული ნაგაზი, ჩემი "ზორბა" გაიცნოთ, უმალ დამეთანხმებით...

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ პოლიციელის ხილვა სიამოვნებას მომგვრიდა - ამას წინათ პატრულმა გამაჩერა და მითხრა: ამ ხნის კაცი, ასე კარგად რო მართავთ, დიდი მადლობაო.... თქვენც კარგი ბიჭები ხართ-მეთქი და გულით დავლოცე ასეთ ლაზათიან მანქანაში, კოხტად ჩაცმულ-დახურული ჩვენი თავაზიანი პოლიციელები...

მაგრამ ყველაზე დიდ სიხარულს მგვრის მაინც ქართული ჯარის ყოველდღიური გაძლიერება - ესაა ყველაზე დიდი სასწაული... საბჭოური ცნობიერების მქონე მშობლების შვილებმა სამშობლოს დაცვა რომ მოინდომეს...

■ ■ ■

როცა წესიერებს შორის უწესიერესმა დავით ცაციშვილმა თავის თანამზრახველებთან ერთად დაიძახა - არიქა, აფხაზეთს ვუშველოთო და თავშეყრის ადგილი "დინამოს" სტადიონი დაასახელა, უნებლიეთ გავიფიქრე - რა დატევს პატარა სტადიონზე საბრძოლველად აღტკინებულ ქართველობას... მაგრამ ვინც ამ ძახილს გამოეხმაურა, ერთი ტრიბუნის მესამედიც ვერ შეავსო...

განა სასწაული არ არის, რომ დღეს, გუშინდელთან შედარებით, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა?!

თუ ყველაფერი კარგად წაგვივიდა, ვიღაც სულელმა არ აგვირია, ანდა, დიახაც - არ "გაგვიჩმახა", მალე საქართველოს, როგორც სერიოზულ ქვეყანას აღიქვამენ... და ახლობელი თუ შორეული მეზობელი მეტი რიდით მოგვექცევა...

თავად თანახმა ვარ (ისევე, როგორც მრავალი სხვა!) წყალსა და პურზე დავრჩე, ოღონდ ჯარს არაფერი მოაკლდეს... ხოლო ვინც ჯარისკაცის ლუკმას მოიპარავს, არ დამენანება, ცოფიან ძაღლივით ჩემი ხელითვე მოვსპობ და ეს იმ დროს, როცა ცხოვრებაში ქათამი არ დამიკლავს...

■ ■ ■

იმ ქარიან და ცივ სექტემბრის შავბნელ დილას აეროპორტში წავედი... მეორე სართულზე ავედი და სადისპეტჩეროს კარი გამოვაღე. რატომღაც არავინ დამიშტიალა - აქ შემოსვლას როგორ ბედავო... საველე ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე ოფიცერი მდუმარედ აპარატურას შეჰყურებდა... იქიდან ეთერის დამახასიათებელი სტვენისა და ხმაურის მეტი არაფერი ისმოდა... ალბათ უძილობისგან ყველას თვალები ჰქონდათ შესიებული... უცებ ერთი მათგანი წამოხტა და ჩქარი ნაბიჯით ჩემკენ გამოემართა... გამკაწრა - გამაგდებს-მეთქი და უკან დავიხიე, მაგრამ მან ჩამიქროლა და სადღაც გაიქცა... მოვასწარი, თვალის კუნჭულით დავინახე - იგი ტიროდა...

- რა მოხდა? - გავბედე და ვიკითხე...

არც კი შემომხედეს, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკეს - აეროპორტი აღარ პასუხობსო...

როცა შემოვბრუნდი, დინამიკები ხალისიანად აცხადებდნენ - რეისი დუბაი-თბილისი ჩამოფრინდა...

მალე ქვემოთ, მთავარ ტერმინალიდან ხალხი გამოჩნდა, მოლურჯო, დიდი ჩანთებით მოღოღავდნენ, მათ შორის ბევრი ზორბა ბიჭიც იყო...

აფხაზეთში მტარვალმა კი არ გაიმარჯვა, ეს ჩვენ დავმარცხდით, ჩვენ არ ვივარგეთ... შევარდნაძემ ჯარის მაგივრად თავისი ნომენკლატურა გააძლო და ამით ჩაიდინა უპატიებელი დანაშაული...

სულ ერთი წელიწადია, რაც მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტად ავირჩიეთ და წარმოიდგინეთ საკვირველება, უკვე გარკვევით ისმის ქართული ჯარის რიხიანი ნაბიჯის ზათქი და გრიალი... მოდიან გულანთებულები, მოდიან ბევრნი... ნუთუ ვერა გრძნობთ, მიწა როგორ ზანზარებს, როგორ იბადება ძლიერი საქართველო!

■ ■ ■

...მეოთხე სასწაული, იმედია, განხორციელდება და საქართველო წიგნს დაუბრუნდება... 365-მდე უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს, აღარ ვთვლი კოლეჯებსა (ტექნიკუმებსა) და საშუალო სკოლებს და მაინც, ცოდნა და განათლება ახალგაზრდობისათვის კვლავაც მიუწვდომელია... უმაღლესდამთავრებულთა უმრავლესობამ საშუალო სკოლის მეოთხე კლასის პროგრამაც კი არ იცის - ცოდნის მაგივრად დიპლომი აქვთ...

როგორც ერთ დროს ჩუტყვავილის საწინააღმდეგოდ ყველა უნდა აცრილიყო, დღეს ასევე უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი აუცილებელი გახდა და ამ დროს არავინ კითხულობს, შეუძლია კი მავანსა და მავანს სწავლა, ანდა არჩეული დარგი მისთვის შედეგიანი იქნება თუ არა...

ნაკლებად წიგნიერ მშობელს, ბუნებრივია, სურს შვილი მას ჯობდეს - ამიტომ მისი ფიქრით, უმაღლესი რადიკალურად აგვარებს პრობლემას... ამას გარდა, ზოგი მშობლისთვის უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი მისი ოჯახის, შვილების, ღირსების, ცენზის ნაწილია, ამიტომ თვით ფაქტი დიპლომის მიღებისა (და არა ცოდნისა!) გადამწყვეტია... აღნიშნული ვითარებით სარგებლობენ უნამუსოები და სარდაფებში, სხვენზე, ბოსელში, ზოგჯერ ღია ცის ქვეშ, მოკლედ, სადაც მოახერხებენ, ხსნიან "სასწავლებლებს"... ტოტალური კორუფცია, ბუნებრივია, ძალიან უადვილებს მიზნის მიღწევას - ფულით შოულობენ ყველა საჭირო ბეჭდებს, ატესტატებს, ბლანკებს... ნებართვებს...

■ ■ ■

რაღაც ისეთნაირად აეწყო საბჭოური ცხოვრება, რომ ყველაზე უზნეო ხალხი ორ სისტემაში აღმოჩნდა... ეს არის კვება - ოღონდ ჯიბე გაისქელონ, ყველაფერს გვაჭმევენ და... განათლება - წყნეთში პირველად ყველაზე იდიოზური, შემოსავლებთან სრულიად შეუსაბამო მდიდრული აგარაკები სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექრთამე პროფესორებმა აიშენეს...

"განათლება" განათლების სამინისტროს ნაწილობრივ ექვემდებარებოდა, იგი თითქმის დამოუკიდებელი განგსტერული სინდიკატი გახლდათ, რომლის დანგრევა ბევრს წარმოუდგენელი ეგონა... ნახეთ, რა გაცოფებით ლანძღავენ კახა ლომაიას, დღეს მთავრობაში ერთ-ერთ უწესიერეს კაცს, რომელიც, როგორც იტყვიან, რქებით ეტაკა ამ მყრალ ურჩხულს... დუჟმოკიდებულები ჯღავიან, კივიან და წივიან, ეტყობა იგრძნეს მისგან წამოსული ხიფათი...

ეს "მასწავლებლები" ასე იოლად თავის ესოდენ სარფიან "ბიზნესს" არ დათმობენ... მათი ავანგარდიც გამოჩნდა... სამედიცინო ტექნიკუმის და არა "კოლეჯის" - ეს სიტყვა არ შეეფერება იმ ცინიკურ საქციელს, რომელსაც ამ სასწავლებლის მსმენელები, ალბათ, მშობლებისა და მათი იდეოლოგიური "ბელადის" მითითებით ავლენენ...

...დააკვირდით მათ მეტყველებას, კილოკავს, მწირ ლექსიკას, მოტორიკას, ჰაბიტუსს, ნაკლებად განვითარებული ადამიანის სიკერპეს, სიჯიუტეს, განებივრებულის, უდარდელ ცხოვრებას შეჩვეულის სიანჩხლეს...



განა საკვირველი არ არის, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა დაუშვეს თავიანთი პრეტენზიების განხილვა პარლამენტში, როცა რიგით ჯერ რუსთა ბაზების გაყვანის საკითხი უნდა ყოფილიყო... მათ შორის რატომ არ აღმოჩნდა, თუნდაც ერთი ღირსეული ოჯახის შვილი, არ ეცა კანცელარიას და არ იყვირა - ჯერ მტარვალის ჯარი გაათრიეთ, მხოლოდ მერე ჩვენზე იფიქრეთო...

სამედიცინო ტექნიკუმის სტუდენტების ცინიკური აგრესიულობა არ შეეფერება მათ სინორჩეს, მათი თავხედური ტონი სწორედაც უწიგნურობის დასტურია... რა თქმა უნდა, მებრალებიან, მაგრამ სიმპათიას არ იწვევენ...

საქართველოს ულრუბლო მომავალი ძლიერ ჯართან ერთად საყოველთაო წიგნიერებასაც ითვალისწინებს...

დღეს ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში წიგნის ბუმია, ჩვენთან?

■ ■ ■

მაშ ასე, ამ ერთ წელიწადში სახეზეა ოთხი სასწაული - აჭარა, პოლიცია, ჯარი, განათლება... ღმერთმა ჰქნას, მეხუთე თბილისის მკვეთრი შემცირება გახდეს... ანდა სულაც სხვა ადგილას, კოხტა,პატარა (საქართველოსთან პროპორციული) დედაქალაქის აშენება...

მთავარია ქართველობამ და მისმა პრეზიდენტმა მოინდომოს... აი, ნახავთ, როგორ გამშვენიერდება საქართველო - იმერელი იმერეთში რომ დაბრუნდება, მეგრელი სამეგრელოში, რაჭველი რაჭაში, ქართლელი ქართლში... სოფელი ისე უნდა გამშვენიერდეს, რომ დედაქალაქში ცხოვრებას მოხელეს აიძულებდნენ, ის კი თავის კუთხეში დაბრუნებაზე ოცნებობდეს...

■ ■ ■

სირცხვილია, მინდორში ბებერი იყოს, სავაჭრო დახლთან კი ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი...

სირცხვილია, ზორბა კაცი ფანქრებისა და საშლელის მაღაზიაში ფუსფუსებდეს, ხოლო დეპოში ვაგონებს ლებავდეს ქალი...

სირცხვილია, სხვა ხალხის თავგანწირული შრომისა და ბრძოლის შედეგად აყვავებულ ქვეყანაში წაეთრიო, უტიფრად ჩაუსახლდე და მათი მონაგარით ასე ურცხვად ისარგებლო... და ეს მაშინ, როცა შენი ქვეყანა ყველა თვალსაზრისით უმშვენიერესი, დღეს ასეგავერანებულია და უპირველესად სწორედ შენგან მოელის გარჯასა და თავდადებას...

სირცხვილია, სხვამ შეგვინახოს და დაგვიცვას, სულ ერთთავად გამრჯე ხალხს დახმარებაზე ვეჯღანებოდეთ, როცა სამათხოვრო არაფერი გვაქვს - ასეთ მადლიან, ღონიერ მიწაზე არც უნდა გვშიოდეს და არც უნდა გვციოდეს... ფინელებმა, ლიტველებმა, ესტონელებმა რაღა თქვან - იქ მთელი წლის განმავლობაში ორად-ორი თვეა უთოვლო... რაღაც არ გამიგია, ამ ქვეყნებიდან კუჭის ამოსავსებად სამშობლოდან სხვა ქვეყანაში 1 200 000 "მოქალაქე" გაპარულიყოს... თურმე კანადის ყველაზე მივარდნილ მხარეში, ნიუფაუნდლენდში ჩასახლებულან ჩვენებურები...

სირცხვილია, საკუთარი უნამუსობა ხან მთავრობას დააბრალო, ხანაც უავდრობას... ქართველი იყო და სხვის სამშობლოზე ოცნებობდე...

■ ■ ■

ფერეიდანში ქართველებმა ოთხი საუკუნე, ანუ 400 წელიწადი მშობლიური ენა შეინარჩუნეს...

ყოჩაღ ქართველებო, მაგრამ უფრო ყოჩაღ ირანელებო, რომ ქართველები არ გადააჯიშეთ, ენასთან ერთად ეროვნული თვითშეგნება შეუნარჩუნეთ!

რუსეთში გადათესლილ ჩვენებურებს სამიოდე წელიწადში ქართული უკვე "აღარ ეკერკებათ", ხოლო მერე, მცირე დროის შემდეგ, მშობლიურ ენასთან ერთად ქართულ სულსაც კარგავენ...

უნივერსიტეტში, სადაც ვმუშაობდი, დერეფნებს ცხრა დამლაგებელი აწკრიალ-აპრიალებდა... მათ შორის რუსი მხოლოდ ერთი ნასტია იყო, როცა ის მორიგეობდა, დანარჩენი რვა ქართველი დამლაგებელი (და არა მარტო ეგენი!) რუსულზე გადადიოდა...

ყოჩაღ ნასტია!

■ ■ ■

"... ახალგაზრდობაში შენი ხელმოკლეობა, მორიდების გამძაფრებული გრძნობა, სიტყვაძუნწობა, ურთიერთობაში სისადავე და სითბო ჩვეულებრივი ბედისწერა გვეგონა...

გვიყვარდი, მაგრამ გამოგიტყდები, ხელოვნებაში დიდ სასწაულებს შენგან არ მოველოდით... არ ვიცი რატომ, თავად შენც ცდილობდი, ნახელავი გაგეუბრალოებინა... მახსოვს შენი გულიანი სიცილი, როცა გავიგე, იმ დროს თბილისისათვის სრულიად უჩვეულო მოზაიკურ პანოს "სეროჟას სიზმარი" რომ შეარქვეს... ჩვენ ხუმრობით "ვშაყირობდით", "ვანგლობდით", შენ კი მუშაობდი და მუშაობდი...

ბევრს წარმოდგენაც არა აქვს, რამდენი იტანჯე, იწვალე, რამდენი ცრემლი დაღვარე შენს უმწარეს საფლავებზე... ყველა გხედავს წარმატებულს, მე კი როგორც ძალიან ბებერი ფოტოგრაფი, ფიზიონომისტიც გახლავარ დაკარგად ვხვდები შენს საფიქრალ-სატანჯველს...

რაც არ უნდა გაუკეთო, მაინც უმადურები იქნებიან... ეს მათი გენეტიკური კოდია... ჯვარი გწერია, მაგრამ შენი აღსრულების შემდეგ ყველაფერს, რაშიც ამდენი შრომა, ზოგჯერ - არ მეშინია ამ სიტყვის - გენიალური შრომა ჩააქსოვე, ლითონს ავტოგენით დაჭრიან, ხოლო რაც აშენებულია, ტანკებით დაანგრევენ, მოგეხსენება, ყველაფერზე მეტი მათ გასანადგურებელი საშუალებანი გააჩნიათ...

ჯერ ცოცხალი ხარ და არ გერიდებიან. ნახე, რამდენ ზიზღს და ბოღმას ანთხევენ ყოველი შენი ახალი ნაწარმოების თაობაზე, როგორ დაგცინიან და ხითხითებენ...

შენი დაბრუნება სამშობლოში გარდუვალია... იგი ისევე აუცილებელია, როგორც საქართველოსთვის თავისუფლება... შენი სახელი რა ხანია გასცდა ხელოვნების სამყაროს ფარგლებს და წარმოადგენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას (ცივილიზებული სამყაროსთვის მაინც!), რომელსაც სწორი წარმართვის შემთხვევაში, შეუძლია უაღრესად კეთილი გავლენა იქონიოს ჩვენს მომავალზე...

...ყოველთვის გვეყვარები, მაგრამ ამ ძნელბედობის ჟამს თუ გვერდზე, აქ, საქართველოში დაგვიდგები, შენი სახელი ქართველთა არაერთ თაობას გასწვდება...

იმედი მაქვს თუნდაც იმ ერთი სიმისა, რომელიც ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ აგიტოკდება, აჟღერდება და შენს სულს საქართველოს სევდიანი ჰანგით გაათბობს...

დიდი პატივისცემით... და მოლოდინით..."

■ ■ ■

რაც უფრო მეტ კანონს ემორჩილება ქვეყნის პირველი ხუთი პირი, მით მეტი გამარჯვების შანსი აქვს დემოკრატიას...

შეიძლება სხვანაირადაც ითქვას - რაც უფრო უახლოვდება ქვეყნის ჩვეულებრივი მოქალაქის ცხოვრების პირობები ქვეყნის პირველი ხუთი პირის ცხოვრების დონეს, მით მეტი სამართლიანობაა ქვეყანაში...

ეს კი დემოკრატიაზე მეტია!

იმ კანონებს, ცხოვრების წესებს, რომლებსაც ქვეყნის მმართველები არ ემორჩილებიან, მათ არც ხალხი ემორჩილება... ნებაყოფლობით!

■ ■ ■

მახსოვს, გარკვეულ ფენებს ძალიან აღიზიანებდათ ახლად დანიშნული ცეკას პირველ მდივნად ედუარდ შევარდნაძის სამოთახიანი ჩვეულებრივი ბინა ვაკეში, მრგვალ ბაღთან... მხოლოდ მაშინ დამშვიდნენ, დაწყნარდნენ, როცა "მავნე ტრადიციების წინააღმდეგ მებრძოლი" წყნეთის რეზიდენციაში გადავიდა...

■ ■ ■

ქვეყნის პირველი პირების სულ მცირე ნებივრობაც კი საბჭოთა ადამიანისათვის ქურდობის ინდულგენციას წარმოადგენს... ახლა წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა ქრონიკულად გაჭირვებაში მყოფი მოსახლეობის ცნობიერებას, როცა ცეკას ნომენკლატურა მას კარდინალურად გაემიჯნა და თავისთვის ცხოვრების საუკეთესო პირობები შეიქმნა... პოლიტბიუროს ერთი წევრისა და მისი მრავალრიცხოვანი - რაც უფრო "ბობოლა" იყო კომუნისტი, მით მეტი ნათესავი ჰყავდა - ოჯახის შენახვა ნათელი მომავლის მშენებელ ხალხს უკანასკნელი მეფის ნიკოლოზ II ხარჯებთან შედარებით, ათჯერ მეტი უჯდებოდა...

დიდი ბელადის ლენინის ერთ-ერთი ყველაზე პირველი განკარგულება დიახაც, "პასუხისმგებელი ამხანაგების" პრივილეგიებს შეეხებოდა... ამის პასუხად მოტყუებულმა ხალხმა მასობრივი ქურდობა დაიწყო და ეს მოხდა სტალინური უპრეცედენტო რეპრესიების პირობებში... ერთი კილო კარტოფილის მოპარვისათვის, 12 წლის ყმაწვილიც რომ ყოფილიყო ამ "დანაშაულის" ჩამდენი, სასამართლოს, მკაცრ სასჯელს ვერ აცდებოდა... უფრო მძიმე დანაშაულისათვის, ვთქვათ, საბჭოთა ფულის სხვა ქვეყნის ფულზე გადაცვლისათვის "ვალიუტჩიკი" დახვრეტას ვერ გადაურჩებოდა, თანაც, რაც ყველაზე ამაზრზენია, ტყვიების ფულს ჭირისუფალი იხდიდა... გამოიძახებდნენ, მკვლელობის ამბავს მშვიდად შეატყობინებდნენ, მერე ქვითარს მიაწოდებდნენ, აკანკალებული ხელით გოდებით სავსე ადამიანი შეავსებდა, ფულს გადაიხდიდა, ქვითრის ნაჭერს მოუხევდნენ და თან ატანდნენ - ფულს კანონიერად გახდევინებთო...

კაცობრიობის ისტორიამ ამაზე გამაოგნებელი ცინიზმი არ იცის...

■ ■ ■

დაინგრა ბოროტების იმპერია, გაქრა მისი ყველაზე დამახასიათებელი ატრიბუტი - უმძლავრესი რეპრესიული მანქანა... მოპარვას შეჩვეულმა ხალხმა "თავისუფლება" იგრძნო, ამიტომ დღეს, პოსტსაბჭოეთის მთელ სივრცეზე ვერ იპოვით ისეთ კუთხე-კუნჭულს, სადაც ძირგავარდნილ ვედროს სალამოს დადგამთ და დილით დაგხვდებათ - აუცილებლად მოიპარავენ... უმოწყალოდ ანადგურებენ ქარსაცავ ზონებს, ტყეებს, მდინარეებს... სჩადიან ისეთს, რომელსაც ვანდალები არ ჩაიდენენ - ეს სიხარბე და სისასტიკე იმ დროის გამოძახილი ხომ არ არის, როცა შვილის მოსაკლავად საჭირო ტყვიას დედას აყიდინებდნენ... საკონცენტრაციო ბანაკებში ჭლექიანებს სტალინის სადიდებელ ჰიმნებს ამღერებდნენ... როცა ბოროტებას სიკეთე შეარქვეს, ხოლო სიკეთეს ბოროტება, ააყირავეს-დააყირაეს ყველაფერი... ჯანღონით სავსე ხალხი მიწას კი არ ითხოვს, ბარს, ცელს, თოხას... დახლი მოგვეცითო, დახლი!

აი, სირცხვილო, წარსულში ყველაზე გამრჯელს დღეს ვაჭრობა უნდა!

ერთმა ჩემმა მეზობელმა, მევენახე მურადამ ასე მითხრა - ნუ დარდობ, რო მოშივათ, მიწასთან მოვლენ, არ უჭირთ და... გაჭირება ზოგჯერ დალხენას ჯობია, გაჭირება კაცს აძლიერებს...

■ ■ ■

...უზნეობის აღლუმის გრიალში, როცა ამა ქვეყნის ძლიერთა სუფრაზე ერთმანეთის მიყოლებით შემოჰქონდათ დაკლულ-შემწვარი ნამუსი, პატიოსნება, უმანკოება, სირცხვილის გრძნობა, მოკრძალება, დიდსულოვნება, ქრისტიანობა... სუფრის თავკაცი, ასაკითაც ყველაზე უფროსი ფეხზე წამოდგა და ზომაზე მეტად გამხიარულებული დარბაზი ნელინელ გააჩუმა...

- მეგობრებო, ჩვენ იმდენი დანაშაული ჩავიდინეთ, რომ ადრე თუ გვიან პასუხს გვაგებინებენ... თავად ნახეთ, რა ადვილია ქვეყნის ქონების დატაცება, მაგრამ ძნელია მისი შენარჩუნება და უფრო რთულია, ცოდვები გვაპატიონ, ამიტომ ყველამ ცოტ-ცოტა ფული ჩამოდით, ეკლესია უნდა ავაშენო...

- მაინც, საოცარი კაცი ხარ... - ახმაურდნენ სუფრის წევრები - საქართველოში იმდენი მათხოვარიც აღარ არი, რომ აშენებულ ყოველი ეკლესიის კართან დავსვათ...

- მართალია, - აყვირდა თამადის მოადგილე - სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან კოხტა ეკლესია რო აშენდა, იმას მრევლი საერთოდ არა ჰყავს - ასე ვთქვათ, სარეზერვო ეკლესიაა, თუ არა გჯერა, გაიარე და თავად ნახავ...

- დაწყნარდით... მე სხვა ეკლესიას ვგულისხმობ, ეკლესიას გიგანტს, გამოსაჩენს, მოკლედ, ცათამბჯენ ეკლესიას... ხალხი ცუდს იოლად ივიწყებს და თუ რაიმე წარსულში კარგი იყო, იმას შეჰხარის... ჰოდა, ჩენს შემდეგ ეგ დიდი ეკლესია დარჩება და კარგს იტყვიან...

და მართლაც, აშენდა ძალიან დიდი ეკლესია, თავზე დაედგა დიდი ჯვარი... მივედი... შევედი, მაგრამ ეკლესიური ვერაფერი ვიგრძენი, გარდა სიმარტოვისა და სიცივისა...

■ ■ ■

როცა მრევლი იზრდება, ეკლესიაში ტევა არ არის, მაშინ იწყებენ ახალ ეკლესიაზე ზრუნვას...

დიდხანს ეძებენ ადგილს, სახსრებს, მუშახელს, თავიანთ ლოცვებში მამაზეციერს ევედრებიან - კარგად დაგვამთავრებინე ეს წმინდა საქმეო... ამიტომ ახალი ეკლესია, გაჩენილი ხალხის წადილით, ღვთიური მადლითაა მოსილი, იგი იმდენად ბუნებრივია, ისე მორგებულია არემარესთან, რომ ძნელია დაიჯერო, რომ ეკლესია ეს-ესაა აშენდა...

სამწუხაროდ, დღეს ეკლესიას აშენებენ ბევრს, სწრაფად და ყველგან... ჰგონიათ, სალოცავების სიმრავლით მორწმუნეთა რაოდენობა გაიზრდება...

თბილისში, კლდიაშვილის ქუჩის კუთხეში, უბნის ბიჭებს ბურთის სათამაშოდ პატარა ეზო ჰქონდათ, მაგრამ წაართვეს და ბრტყელი, წითელი აგურით ეკლესია ააშენეს... ბუნებრივია, ამ ეზოს ბიჭები ეკლესიაში სალოცავად აღარასოდეს შევლენ...

ნაძალადევში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე, სამლოცველო სამშობიარო საავადმყოფოს ეზოში ააშენეს, თანაც ისე "მარჯვედ", რომ ყველამ, მათ შორის გახარებულმა მამამ, მის კარში უნდა გაიაროს...

თუ დამნაშავე მონანიების დასტურად ეკლესიას ააშენებს, აქვე უნდა დარჩეს, მრევლს ემსახუროს... ცოტა ხნით მაინც... ფულთან ერთად სულიც უნდა დახარჯოს, სხვანაირად ცოდვილის მიერ აშენებულ ეკლესიას ღვთიური ძალა არ ექნება...

■ ■ ■

დანაშაულს ბევრი მშობელი ჰყავს, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი - დაუსჯელობაა... რომელიც ამრავლებს ბოროტებას...

თუ ასე წაგვივიდა საქმე, მალე მთაწმინდაზეც აიშენებენ თანამედროვე კვაჭი კვაჭანტირაძეები თავიანთ მაღალჭერიან ბოსლებს... ბარათაშვილის, ილიას, ვაჟას, აკაკის, გოგებაშვილის და გალაკტიონის საფლავებს მიასწორმოასწორებენ და მოიწყობენ ტენისის კორტებს, ან სულაც კომფორტულ ავტოფარეხებს...

ვაი, რომ ასე იქნება...

ასე იქნება, სანამ ალექსანდროვის ბაღში იდგება უნამუსობის, თავხედობისა და ყაჩაღობის გამარჯვების ძეგლი, სანამ მკაცრად არ დაისჯებიან არა მარტო ამ "ძეგლის" მშენებლობის ყველა მონაწილე, არამედ ის მძლოლებიც, რომლებიც საშენ მასალას ეზიდებოდნენ... მშვენივრად იცოდნენ, რომ ცუდ საქმეს სჩადიოდნენ, მაგრამ ფულს ხათრს ვერ უტეხავდნენ...

■ ■ ■

ამ ბოლო დროს საქართველოს ტელევიზიის ეკრანებზე გახშირდა მოსახლეობის საპროტესტო აქციების ამსახველი სიუჟეტები - გაავებული ადამიანთა სახეები, ისმის წივილ-კივილი, ზოგი ისტერიკაშია, ზოგი პროსტრაციაში, ზოგი იგინება, ზოგი იწყევლება... ყველა თავის თავს დაჰკანკალებს, ყველას თავისი უნდა, და არ ყოფილა შემთხვევა, რომ თუნდაც ერთი ვინმე ყვიროდეს და ბღაოდეს საკუთარ თავისთვის კი არა, არამედ სხვისთვის... რაღა ვთქვა სამშობლოზე, რომელიც უცხო კაცის საფლავივით მივიწყებულია...

რუსეთმა ცხინვალეთის გზა გადაგვიკეტა, სოხუმში მოსკოვის მატარებელს ყვავილებით ხვდებიან, რუსთა ჯარი ფეხს ითრევს, საქართველოს ოკუპაციას ვერ ელევა, ჩენს საგარეო საქმეთა მინისტრს მოსკოვში დასცინიან, რუსული რომ არ იცის, ფროლოვმა ქართველი ბიჭების წმინდა საფლავები შეურაცხყო... თითქოს თუნდაც ეს, და მრავალი სხვა, ჩვენი სადარდებელი სულაც არ იყოს...

■ ■ ■

კიდევ კარგი, მასთან ახლოს ვიდექი - ისეთი გაავებით შეუტიეს, ისე უმოწყალოდ გალანძღეს, რა არ უწოდეს ჭალარაშერეულ აცრემლებულ კაცს, შეძლოთ ეცემათ კიდეც. თავად ხმას ველარ ილებდა, მხოლოდ მოღრიალე ბრბოს თავის წამლებს ყველას თვალებში ჩრიდა - აი, ნახეთ, რა წამლებიაო... წამლები ვიცანი, ყველა უკურნებელი სენით დაავადებულისათვის იყო...

...არ გაუშვა, არ გაატარა მისი "მოსკვიჩი" უშუქობის გამო პროსპექტის გადამკეტავმა, გაავებულმა ბრბომ... გვარით კი, მაგრამ მათ შორის სულით ქართველი არავინ იყო...

■ ■ ■

...დიდი თანამდებობის რამდენიმე პირმა ფული გაიღო და გადაწყვიტა, ხელდამშვენებული მიტოვებულ ბავშვთა სახლს სწვეოდა, პატარები გაეხარა...

მე იქ შემთხვევით მაშინ აღმოვჩნდი, როცა პატარების "გამხარებლები" უკვე მისულიყვნენ და დირექტორის მეცადინეობით გაწყობილ სუფრასთან ფერად-ფერადი ნამცხვრით ჩაის მდუმარედ მიირთმევდნენ...

საჩუქრები ცელოფანის პარკებში იატაკზე ეყარა, ხოლო ფარდაგადაფარებულ ტახტზე ორი ტელევიზორი დაედგათ...

მომიჯნავე ოთახში ბავშვები ჩუმად ისხდნენ... შემინულ კარებში დროდადრო მათი თავები გამოჩნდებოდა ხოლმე...

საღამოვდებოდა, პატარების კვებისა და დაძინების დრო მოდიოდა...

- რაღას ელოდებით, რატომ არ აძლევთ ბავშვებს საჩუქრებს - ჩურჩულით შევეკითხე დირექტორს, რაზედაც ოდნავ გასაგონად მიპასუხა:

- ტელევიზია იგვიანებს...

■ ■ ■

...როცა სასტუმრო "ივერიის" ლტოლვილ მობინადრეებს (ოღონდ გამოსულიყვნენ) საკომპენსაციო თანხა შეაძლიეს, ძალიანაც ავღელდი - ეს ხომ ომია-მეთქი... კაცს რომ იარაღის მუქარით სახლ-კარიდან პანღურით გამოაგდებ, რა უნდა ქნას, თუ ასეთივე იარაღის შოვნის შანსი მასაც გაუჩნდა? დაუყონებლივ მტერს უნდა ეკვეთოს, მამაპაპეული დაიბრუნოს, თანაც ისე, რომ აღარავის აღარასოდეს მოუნდეს მასთან ჩხუბი...

თანხა, რომელიც "ივერიის" მობინადრეებმა მიიღეს, დივიზიის იარაღს ეყოფოდა... იმ სამას ათასი ლტოლვილიდან სულ ერთი ათასი ვაჟკაციც კი ორიოდ დღეში ყველაფერი დამთავრდებოდა...

ჩვენი პრეზიდენტის დღევანდელი თავსატეხი საქართველოს გამთლიანების გზების ძიება კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ის, თუ როგორ შეეკავებინა გამძვინვარებული, აბობოქრებული ლტოლვილთა ზღვა, ხოლო სეპარატისტებს სოხუმისა და ცხინვალის მთავარ მოედნებზე სუფრა დღედალამ გაშლილი უნდა ჰქონოდათ - არიქა, მგონი გვპატიობენ, ქართველები მოლაპარაკებაზე თანხმდებიანო...

...როცა ლტოლვილი ნაჩუქარი ფულით პარკეტსა და კაფელს ყიდულობს, იგი ლტოლვილი აღარ არის, ასეთს მიწა უნდა მოუზომო, მისცე ბარი და თოხი და ხელახლა ასწავლო ის, რაც მისმა წინაპრებმა ძალიან კარგად იცოდნენ...

დათა თუთაშხიასი არ იყოს - ასეა ეს, ასე!

■ ■ ■

საქართველოს ტელევიზიის (განსაკუთრებით "რუსთავი 2", "პირველი" და "იმედი") თანამედროვე "ქართული" ყველაზე ძლიერი არგუმენტია საქართველოში განათლების ძირეული გარდაქმნისათვის... თუმცა რას ვედავები აღნიშნული სტუდიების ხელმძღვანელთა ცოდნას, როცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისგანაც წამდაუწუმ მოისმის - "პოსტი", "ბარიერი", "არენა"...

■ ■ ■

უნდა ვაღიაროთ, ჩვენი ქვეყანა უწიგნურთა ქვეყანაა... ათასი ცალი წიგნი ჩვენთან დიდი ტირაჟია, შეიძლება მთლიანად არც გაიყიდოს...

გორის ბაზარზე დროდადრო ქართული პრესა წონით იყიდება. გაზეთების ტირაჟიც მცირეა და ისიც ვერ საღდება... ათ შაურად ერთ კილო ქართულ პრესას იყიდი...

კასპის რაიონში უკვე დიდი ხანია, წიგნის მაღაზია აღარ არის, მაგრამ ამის გამო არც ე.წ. მასწავლებლები და არც მათი მოსწავლეები უკმაყოფილებას არ გამოხატავენ...

გონების ერთადერთი სავარჯიშო, მისი "ტრენაჟორი" წიგნია... წარმოიდგინეთ, ზოგ შემთხვევაში, შინაარსი არცთუ მნიშვნელოვანია, მთავარია თვითკითხვის პროცესი, როცა ადამიანი თავის გონებაში განყენებული ნიშნების - სიმბოლოებისა და სიტყვების შეჯერებით ახერხებს აზრის აწყობას, მის გაგებას...

თუ გონება ამ ვარჯიშისაგან გაათავისუფლე, ძალიან მალე, ეს შენ გინდა თუ არა, ჭკუა დაგისუსტდება. ვეღარ შეძლებ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებას და საკუთარი თავის გარდა ყველა და ყველაფერი აღმოჩნდება შენი უიღბლობის მიზეზი...

კაცობრიობა და წიგნი ერთდროულად გაჩნდნენ... მაშინ წიგნი სხვანაირი იყო - ასოების მაგივრად გამოქვაბულის კედლებზე საგნები იხატებოდა, ქაღალდის მაგივრად ტყავს, პაპირუსს, ქვას იყენებდნენ, მაგრამ ცოდნას, გამოცდილებას ამ თავისებური წიგნით შემდგომ თაობებს მაინც გადასცემდნენ... ცივილიზაცია ნელა, ტაატით მიიწევდა წინ, სვლა მკვეთრად ააჩქარა მხოლოდ ჰუტენბერგის მიერ გამოგონილმა მოძრავმა ლიტერებმა, როცა მოხერხდა კალიგრაფისტების მიერ გადაწერილი სამიოდე წიგნის სანაცვლოდ ტირაჟის შექმნა, წიგნისა და რიგითი ადამიანის დაახლოვება... კომპიუტერის ხანაშიც კითხვის პროცესი უცვლელი დარჩა, თუ ტექსტის წაკითხვა არ შეგიძლია, აუცილებლად გაბაიყუშდები...

■ ■ ■

აი, არაქართული სიტყვები, რომლებიც თხუთმეტი წუთის(!) განმავლობაში გაისმა სამ სატელევიზიო არხზე...

კლიმატი - ჰავა, ტაროსი...

მარშრუტი - სვლაგეზი

კორიდორი - ეს ვერანი სიტყვა აღვირახსნილია და მოიარა საქართველო... ერთმა მასწავლებელმა ნაწერში ბავშვს სიტყვა "დერეფანი" წაუშალა და თავზე "კორიდორი" მიუწერა... ასევე ქართულში ღრმად შეიჭრნენ "პერერივი", "პივო", "ბანკა"...

ბარიერი - ჯებირი, დაბრკოლება, წინაღობა...

პოსტი - საგუშაგო. ამ სიტყვამ მოკლა ქართული "თანამდებობა", "სკამი", "ადგილი"...

სანთებელა - კალკია, პირდაპირ თარგმნილია რუსულიდან, მოუხდება კვესი.

სერი პური - თალხი პური... ქართველი თუ იტყოდა "თალხი", გულისხმობდა პურს. სიტყვა "თალხი" მხოლოდ პურს აღნიშნავს, როგორც "ძგერა" მხოლოდ გულს ეკუთვნის.

პუბლიკა - დარბაზი, საზოგადოება (დამსწრე), მაყურებელი - კონტექსტს გააჩნია...

მინდა, ვთხოვო ჩემს სიმპათიას, ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ თვალსაჩინო პიროვნებას, კინომცოდნე გიორგი გვახარიას, თუ ხმარობს ამ სიტყვას პუბლიკაციაც გვეყოს... გაიხსენეთ - "გამოუქვეყნებელი პუბლიკაცია"...

არენა - ასპარეზი, სარბიელი...

ფორტუნა - ბედი, იღბალი, ხელი... ფონეტიკურადაც იგი იმდენად არაქართულია, რომ მისი ხმარება დაუშვებელია...

რელსი - ლიანდაგი

ჩინოვნიკი - მოხელე... ქართულ ლიტერატურაში ეს სიტყვა რუსულად კნინობით ფორმაში გამოიყენება, მაგრამ როცა წესიერ ადამიანს ჩინოვნიკს უწოდებთ, თქვენ ამით მას აძაგებთ, დასცინით...

შლემი - მუზარადი...

მეტალი - ლითონი... სად იყვნენ რუსები, როცა ჩვენ ლითონს ვადნობდით, თუნდაცა ამის ხათრით ილაპარაკეთ წიგნიერად!

ბომბი - ყუმბარა...

კურიერი - შიკრიკი... ალბათ დიდი თანამდებობის კაცი იყო ის, ვინც რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვებას "კურიერი" შეარქვა... ალბათ მეთქი, სამაგიეროდ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა - მას წესიერი მასწავლებელი არ ჰყოლია...

პროტოკოლი - განაწესი, ოქმი...

პროდუქტი, პროდუქცია - ნაწარმი... უაზრობაა - რძის პროდუქციის პროდუქტი... სწორია რძის ნაწარმი, ხორცის ნაწარმი... სამწუხაროდ, "პროდუქციის პროდუქტი" რადიო "იმედის" რეკლამებშია და ეთერში ტრიალებს - ერთი უწიგნური რადიოს საშუალებით ამრავლებს თავის უწიგნურობას... ნუთუ ამოდენა რედაქციაში ერთი სკოლადამთავრებული არავინაა...

შლიაპა - ფარფლებიანი ქუდი...

დუბლიონკა - გათრიმლური ქურქი...

ნოსტალგია - სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო გამოწვეული სევდა, წუხილი... ლობიოსადმი ნოსტალგია სისულელეა...

აპლოდისმენტები - ტაში

ტარაკანი - ხოჭო

შტორმი - ქარბუქი, ქარიშხალი, წარღვნა...

დაფიქსირება - ტექნიკური საშუალებით ფაქტის, მოვლენის კონსერვაცია... კინაღამ გავიგუდე სიცილით, როცა ახალგაზრდა იურისტმა ქალმა ამაყად განაცხადა - მე გუშინ ჩემს სიტყვაში ყველას თვალწინ დავაფიქსირე ჩემი აზრიო...

კომუნისტების მმართველობის დროს ლექსიკონებითაც კი ცდილობდნენ ქართულის დასუსტებას, მის გაღარიბებას - შეგნებით ივიწყებდნენ ძირძველ ქართულს და თავს გვახვევდნენ უცხო ტომთა ენას...

დღეს ამას ნებაყოფლობით თავად ვაკეთებთ. როდემდე?

მერილინ მონროს პირადი ნივთების სკივრი გაიხსნა



B3

ბურთი და მოედანი



B4

ნარკომანიასთან ბრძოლის ჩემებური ვარიანტი



B6


# გენერალური რეპეტიცია

სოფიო თოდუა

*ეს შეხვედრა გასულ კვირას თეატრალური სარდაფის ფოიეში შედგა. აქეთ - კულტურის მინისტრი, თბილისის მერი, ქალაქის კულტურის სამსახურის უფროსი და თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, იქით - სარდაფისა და ახმეტელის თეატრების ხელმძღვანელები. შეხვედრა-დიალოგის ინიციატივა, რასაკვირველია, თეატრებიდან წამოვიდა. ეს ის შემთხვევაა, როცა თეატრებს დასაკარგი აღარაფერი დარჩათ და ხელისუფლებას დათმობაზე წასვლა მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილი წარმოსადგენია, რით დაკავდებიან სცენის მიღმა დარჩენილი რეჟისორები თუ არტისტები. წინა ხელისუფლებამ კულტურა პრიორიტეტად გამოაცხადა და თითქმის არაფერი იღონა ამ სფეროს გადასარჩენად. ხმამაღალ განცხადებებს არც დღევანდელი ხელისუფლება გაურბის. არაერთხელ გვამცნეს, რომ კულტურაში დახარჯული თანხა გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად მომატებულა, თუმცა, ბევრ თეატრს ბიუჯეტი ერთი თეთრითაც არ გაზრდია. ოთხსაათიანმა შეხვედრამ დამსწრე საზოგადოება გვარიანად გადაღალა, ოღონდ იმდენად არა, რომ ჩემს კოლეგებს ტელეეთერით ან უმოწყალოდ შეკვეცილი სიუჟეტები გაეშვათ, ან მხოლოდ გიგა ლორთქიფანიძისა და გოკა გაბაშვილის წაკინკლავება ეჩვენებინათ. ვინ დემაგოგია და ვინ მისტირის შევარდნაძის დროს, იქნებ საინტერესოც იყოს, მაგრამ იმაზე მეტად არა, რაც სინამდვილეში ამ შეხვედრაზე ითქვა. ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით ანდღულაძე იმ პროექტზე გვესაუბრება, რომელიც მან ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუდგინა.*

**- რატომ სარდაფი და ახმეტელი?**

- იმიტომ, რომ ამ ორი თეატრის შეხედულებები სტრატეგიულ საკითხზე ერთმანეთს ემთხვევა. ამდენად, იდეურ ერთიანობაზე ლაპარაკი ჩვენს შემთხვევაში დასაშვებია. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პოლუსზე ვიმყოფებით, - ჩვენ მუნიციპალური თეატრი ვართ, სარდაფი კი არასახელმწიფო სტრუქტურაა, - ორივეს საერთო პრობლემები დაგვიგროვდა. სწორედ ამ პრობლემებზე სალაპარაკოდ მოვიწვიეთ ყველა ის პიროვნება, ვისაც ჩვენზე ზრუნვა ავალია. პროექტი, რომელიც ხელისუფლებას წარვუდგინეთ, მხოლოდ ჩვენი მომზადებულია, ამიტომ სხვა თეატრების მოწვევა ჯერჯერობით მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ. როცა კაცმა არ იცის, კონკრეტულად რაზეა ლაპარაკი, ასეთი შეხვედრები, როგორც წესი, უაზრო კამათში გადაიზრდება ხოლმე. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დიალოგი ნაყოფიერი იყო. რაც მთავარია, ხელისუფლებამ მოგვისმინა და ბევრ საკითხში ჩვენი და მათი მიდგომა თეატრების დაფინანსებასთან დაკავშირებით ერთმანეთს დაემთხვა. ჩვენ ჩვენსას ვეცადეთ და რას შემოგვთავაზებს ხელისუფლება, ეს უკვე მათი გადასაწყვეტია.

**- რა შესთავაზეთ ხელისუფლებას?**

- ლაპარაკია უნიფიცირებულ ფინანსურ პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა თეატრისთვის უნდა გამოინახოს დაფინანსების ერთიანი მოდელი. ცხადია, თითოეულ თეატრთან, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმწიფომ ცალ-ცალკე უნდა გააფორმოს ხელშეკრულება. არ შეიძლება, მაგალითად, სამეფო უბნისა და პანტომიმის თეატრებს ერთნაირი მოთხოვნები წაუყენო, მაგრამ, ვიმეორებ, დაფინანსების პრინციპების უნიფიცირება შესაძლებელია.

**- სხვა ქვეყნებში როგორ ფინანსდება თეატრები?**

- სხვადასხვაგვარად. მაგალითად, დასავლეთში გავრცელებული ფორმაა ანტრეპრიზა. იგი გულისხმობს კონკრეტული სპექტაკლისა თუ სხვა ტიპის სანახაობის დაფინანსებას. ინვესტორმა უნდა ამოიღოს არა მხოლოდ ჩადებული თანხა, არამედ მიმდინარე ხარჯებიც უნდა დაფაროს და მოგებაც ნახოს. ამ გზით მოპოვებული თანხით იქმნება ერთჯერადი დასი. აქედან გამომდინარე, ხშირად ასეთი პროექტების წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ წარმოდგენის ხარისხზე, არამედ ბილეთის ფასსა და მაყურებლის რაოდენობაზე. ანტრეპრიზის საუკეთესო მაგალითია ბროდვეის თეატრები. იქ ბილეთიც ძვირია (100 დოლარი მაინც ღირს) და ერთი და იგივე სპექტაკლი მანამდე იდგმება, სანამ მაყურებელი არ გამოელევა. მაგრამ ბროდვეიზე მაყურებელს რა დალევს! არადა, იქ ზოგან დარბაზი 2 ათას კაცს იტევს. ჩვენთან მსგავსი პრაქტიკის დანერგვა წარმოუდგენელია. ანტრეპრიზა განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის ტექნიკური პერსონალის დაქირავებისას. ხშირად მსაყვედურობენ, რატომ ინახავ ამხელა პერსონალს, როცა შეგიძლია, იგი ყოველ სპექტაკლზე დაიქირავოო. ჯერ ერთი, ეს წარმოუდგენლად ძვირი სიამოვნებაა. მეორეც, სცენის მემანქანეებმა, რადისტებმა თუ გამნათებლებმა თავისი საქმე იციან, ქუჩიდან მოყვანილი ხალხი კი სპექტაკლს ჩამიგდებს. ჩვენი დასები ბროდვეის თეატრებს ვერასოდეს გაუტოლდება. სამაგიეროდ, შესაძლოა, შექსპირისდროინდელ დასებს დავემსგავსოთ. შექსპირის "გლობუსს" კი ორ-სამ კვირაში ახალი წარმოდგენის გამართვა უხდებოდა, რადგან მაშინდელი ლონდონის მაყურებელი დროის ამ მონაკვეთში წარმოდგენის ნახვას ასწრებადა, საკმაოდ მაღალი ფასის გამო კი მეორეჯერ იმავე სპექტაკლის სანახავად ცოტა თუ მიდიოდა. ალბათ ამით აიხსნება, რომ შექსპირმა ამდენი პიესა დაგვიტოვა. მაშინდელი ლონდონი ტურისტებით განებივრებული არ ყოფილა და საცოდავი მსახიობებიც, როცა მაყურებელი შემოელეოდათ, ღარიბულ რეკვიზიტს ჩარდახიან ურმებში ჩატვირთავდნენ და გზას გაუყვებოდნენ. ანტრეპრიზის პრინციპის დანერგვა ისევ თვითდაფინანსებამდე მიგვიყვანს, ერთჯერადი ფულადი ინვესტიციით დაფინანსებულ სპექტაკლს კი დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. ბილეთის გაყიდვით ამონაგები ფული მსახიობების ხელფასებსაც ვერ გასწვდება, სხვა ხარჯებზე რომ არაფერი ვთქვათ.

**- მაგრამ ანტრეპრიზის გვერდით არსებობს სუბსიდირებაც...**

- რასაკვირველია, არსებობს და სუბსიდირებას ვერც ერთი თეატრი ვერ გაექცევა - კერძო იქნება ის თუ სახელმწიფო. ჩვენს პირობებში სპექტაკლზე დახარჯული შრომა და ბილეთის ფასი ერთმანეთის ადეკვატური არ არის. დღეს ყველა თეატრში ბილეთი იმაზე ნაკლები ღირს, ვიდრე მისი თვითღირებულებაა. ვინც სუბსიდირებას ახდენს (სახელმწიფო თუ მეცენატი), ფაქტობრივად მაყურებელს აფინანსებს, რომ ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ბილეთის რეალური საფასური საკუთარი ჯიბიდან არ დავაფარინოთ. ერთი შეხედვით, დაფინანსების ეს პრინციპი თეატრებისთვის ხელსაყრელი უნდა იყოს, მაგრამ საკმაო ოდენობის სუბსიდირების მოპოვება თითქმის შეუძლებელია. უფრო ნათელი რომ გახდეს, რასაც ვგულისხმობ, ერთ ამბავს გავიხსენებ: ერთხელ ვასო აბაშიძე სხვა მსახიობებთან ერთად მუხრან-ბატონს ეახლა თეტრისთვის ფულის გამოსართმევად. მუხრან-ბატონი აივანზე ისვენებდა და ზაფხულის ხვატით გათანგული მსახიობები იქ მიუღია. ვასო აბაშიძე მგზნებარედ ლაპარაკობდა და იმ სავალალო მდგომარეობის აღწერას ცდილობდა, რა დღეშიც ჩავარდა იმხანად ქართული თეატრი. მუხრან-ბატონი გულდასმით უსმენდა მსახიობს. ამასობაში ბატონს აცნობეს, ვახშამი მზადააო. ისიც ამდგარა და ვასო აბაშიძისთვის უთქვამს: ვასო, თუ ღმერთი გწამს, ამდენ მიეთ-მოეთს ერთი შენებურად შეხტი და შეიკუნტრუშე და 500 მანეთს ახლავე გაჩუქებო! ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ხშირად დაფინანსება ზოგიერთი თეატრის ხელმძღვანელის შეკუნტრუშებაზეა დამოკიდებული. ხელისუფლების გასაგონად მინდა ვთქვა: სუბსიდირება სახელმწიფო კმაყოფაზე ყოფნას კი არ ნიშნავს, არამედ მაყურებლისთვის შეღავათის გაწევას გულისხმობს. ჩვენ, თეატრის წარმომადგენლებს, ნურაფერს გვაყვედრიან. გარწმუნებთ, ათჯერ იმაზე ნაკლებს ვიღებთ, რაც სინამდვილეში გვეკუთვნის. გაუაზრებელი ნაბიჯების გამო საქმე იქამდეც მივიდა, რომ შარშან თეატრების დაფინანსების პრინციპი სეზონის გახსნის წინ შეიცვალა, რის გამოც ჩვენ ნახევარი წლის თანხა ჩამოგვაჭრეს და თეატრი, ფაქტობრივად დაგვიხურეს. არც სხვა თეატრები ჩავარდნენ უკეთეს დღეში. მომავალშიც ასე რომ არ მოხდეს, სწორედ ამიტომ ვითხოვთ სუბსიდირებასთან ერთად პროგრამულ დაფინანსებას.

**- რაც გულისხმობს, რომ...**

- ბიუჯეტში ყველაფერი ზედმიწევნით იქნება გაწერილი: რამდენ სპექტაკლს ითამაშებს თეატრი წლის განმავლობაში; რამდენ ძველ სპექტაკლს აღადგენს; რამდენ ახალ დადგმას გამოუშვებს; იღებს თუ არა თეატრი ვალდებულებას, რომ სპექტაკლები ანშლაგით ჩატარდება; რა სამუშაოები იგეგმება არსებული ტექნიკური ბაზის თუ შენობების გასაუმჯობესებლად; რა თანხა იხარჯება კომუნალურ გადასახადებში და ა.შ. პროგრამული დაფინანსება, ბუნებრივია, ჩვენი თვითმიზანი არ არის, უბრალოდ, ეს არის დაფინანსების ფორმა, როცა მწირი ბიუჯეტის შემთხვევაშიც შესაძლებელია თანხის ეფექტურად გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ თეატრმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა პუნქტი და წარმატებით დახურა სეზონი, შესაძლებელი უნდა იყოს, იგი დაჯილდოვდეს ერთი დამატებითი სპექტაკლის დაფინანსებით ან რაიმე სხვა ფორმით წახალისდეს - ვთქვათ, ქალაქში გამოეყოს ადგილი რეკლამის განსათავსებლად. ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფომ ხომ უნდა შეიმუშაოს კულტურის პოლიტიკა, თორემ, ხომ ხედავთ, ისიც კი ითქვა, მხოლოდ ის წარმოდგენები უნდა ფინანსდებოდეს, რომელსაც ბევრი მაყურებელი ჰყავსო. ამ ლოგიკით სახელმწიფომ იუმორინაზე უნდა აიღოს სწორება. ასე იქამდე მივალთ, რომ მოცარტს მსმენელი აღარ ეყოლება, რადგან მოუმზადებელი მაყურებელი მისი მუსიკით ვერ დატკბება. რა დონემდე დაეშვა ქართული ესტრადა, უკვე ვნახეთ, ახლა ისე ნუ ვიზამთ, რაც კარგი გვაქვს, - მაგალითად, თეატრი, - ისიც გავანადგუროთ.

**- მაგრამ სანამ თეატრები დაფინანსების რომელიმე მოდელზე გადავლენ, მანამდე უნდა გაირკვეს მათი სამართლებრივი ფორმა.**

- ეს სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს, რადგან დღეს თეატრების უმრავლესობა ჰაერშია გამოკიდებული და მათი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა დაუდგენელია. ასე რომ, ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ისეთი სადამფუძნებლო ხელშეკრულებები, რომლებშიც ინდივიდუალურად აისახება ცალკეული თეატრების სპეციფიკა. პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლა მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

**- უნდა იზრუნოს თუ არა სახელმწიფომ კერძო თეატრებზე?**

- აუცილებლად. მან უნდა შექმნას ისეთი პირობა, რომ ფული მაქსიმალურად ეფექტურად დაიხარჯოს. ვთქვათ, არსებობს კერძო თეატრი, რომელიც შემოქმედებითი აქტივობით გამორჩევა (სარდაფის თეატრი, თავისუფალი თეატრი). ამ დროს კი სახელმწიფო აფინანსებს ისეთ თეატრებს (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება იგი თუ მუნიციპალურიდან), რომლებიც არ გამოირჩევიან შემოქმედებითი აქტივობით. რატომ უნდა იყოს კერძო თეატრი დაჩაგრული და რატომ არ უნდა იღებდეს სახელმწიფოსგან დახმარებას? ის ხომ ასრულებს თავის მისიას. ნურავის ეგონება, თითქოს კერძო თეატრები მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით არსებობენ. მათ მართლაც აქვთ შემოსავალი, მაგრამ ახლა ისიც ვიკითხოთ, რამხელა ძალისხმევა სჭირდებათ თანხის მოსაზიდად? სწორედ ამიტომ ვთავაზობთ სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტს, ბიუჯეტის მიღმა ფონდის დაარსებას, რომელიც თავისუფალი თანხებით თავისუფალი პროექტების დაფინანსებას უზრუნველყოფს. პირადად მე თანახმა ვარ, ჩვენს ბიუჯეტს მოაკლონ, ოღონდაც ეს ფონდი დაარსდეს. რატომღაც მგონია, ხელისუფლება ამ წინადადებაზე წამოვა და ყველა თეატრს თანაბარ შანსს მისცემს.

**- ვინ უნდა განსაზღვროს, არის თუ არა რომელიმე კონკრეტული თეატრი დაფინანსების ღირსი?**

- ჩემი აზრით, ეს უნდა გადაწყვიტოს ჟიურიმ, რომელიც პროფესიონალებით დაკომპლექტდება. მასში უნდა შევიდნენ დღევანდელი წარმატებული თეატრების წარმომადგენლები და, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი ექსპერტები.

**- იქნებ მერე მაინც აღარ გახდეს საკამათო, საჭიროა თუ არა მსახიობი, რომელიც სპექტაკლში ბუჩქის როლს ასრულებს, თორემ დღეს ეს თემა ზოგიერთ ჩინოვნიკს სასაცილოდაც არ ყოფნის.**

- სპექტაკლში არ არსებობს პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი როლები. რა თქმა უნდა, არის მთავარი როლი, მაგრამ თუ სპექტაკლი ანსამბლური არ იქნება, წარმატებაზე ლაპარაკი არ ღირს. იყო ასეთი არაჩვეულებრივი მსახიობი - კრამაროვი, მთელი ცხოვრება ეპიზოდურ როლებს თამაშობდა. ეპიზოდი ბევრად უფრო რთულია, რადგან მოკლე დროში უამრავი რამ უნდა ჩაატიო და შექმნა ისეთი სახე, მაყურებელს რომ დაამახსოვრდეს. ასე რომ, თუ ეპიზოდურ როლზე ცუდ მსახიობს აიყვან, კარგად ვერ წაგივა საქმე.

**- გაითვალისწინებს თუ არა სახელმწიფო თქვენს წინადადებებს, ამას მალე შევიტყობთ, მაგრამ ერთი რამ ამთავითვე ცხადია: მარტო თბილისში 13 მუნიციპალური თეატრია და მერია ცამეტივეს აღარ დააფინანსებს.**

- ცამეტი თეატრი ხმამაღლა ჟღერს, მაგრამ გადახედეთ ცამეტივეს ბიუჯეტს და დარწმუნდებით, რომ ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის ერთ თეატრს სახელმწიფო ბევრად მეტს უხდის. შეიძლება, ამდენი თეატრი მართლაც საჭირო არ არის, მაგრამ ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ ორი-სამი თეატრის დახურვით გამოთავისუფლებული კაპიკები რამეს შეცვლის.

**- მაგრამ კაპიკს კაპიკი ემატება...**

- სწორედ ამიტომ კაპიკს კაპიკის საქმე უნდა აკეთებინო, ხუთკაპიკიანს კიდევ კაპიკის საქმე არ უნდა გააკეთებინო. მე რომ მკითხოთ, თეატრების სამმართველოს ჩამოვაყალიბებდი, დავსვამდი იქ ერთ-ორ კაცს, მოვიყვანდი კარგ მენეჯერს და საქმე აეწყობოდა.

**- გამოდის, რომ მარჯანიშვილის თეატრში ტყუილად ატყდა ხმაური და უმიზეზოდ განაწყენდნენ, რომ იქ წამყვან არტისტს გაცილებით ნაკლები გამოსდიოდა ხელფასი, ვიდრე დამწყებ მსახიობს რუსთაველის თეატრში.**

- ოთარ მეღვინეთუხუცესსა და დამწყებ მსახიობს ერთი და იგივე ხელფასი არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ეს თეატრმა უნდა განსაზღვროს. სხვათა შორის, ბატონი ოთარი მხოლოდ დასის წევრი არ გახლავთ, იგი მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელიცაა. ჩვენთან, ახმეტელში, სხვა თეატრების მსახიობები თამაშობენ, მაგრამ იღებენ იმდენივეს, რამდენსაც ჩვენი მსახიობები. რა თქმა უნდა, მათ, ისევე როგორც სხვებს, მეტი ეკუთვნით, მაგრამ ჩვენ იმას ვუხდით, რისი შესაძლებლობაც გვაქვს. რაც შეეხება მსახიობის ცენზს, ეს არც კულტურის სამინისტროს განსასაზღვრია და არც არავის. მე იქნებ კონკრეტულ როლზე სრულიად უცნობი მსახიობი მჭირდება, ამიტომ ნაკლები უნდა გადავუხადო? რაც შეეხება იმ ხმაურს, რომელიც რუსთაველის თეატრში ხელფასების მომატებას მოჰყვა, ვფიქრობ, ეს შურია და სხვა არაფერი. დღეს საკითხი ასე დგას: რატომ აქვთ რუსთაველელებს ხელფასი უფრო მეტი, ვიდრე სხვებს? ექვსი წლის წინანდელი ისტორია მახსენდება, როცა ახმეტელის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად მივედი. შენობის რეკონსტრუქციას საკმაოდ დიდი თანხა დასჭირდა და ისე გამოვიდა, რომ მთლიანობაში ახმეტელის თეატრს მაშინ ცოტათი მეტი გამოუვიდა ბიუჯეტი, ვიდრე სხვებს. ჩემივე კოლეგები დამიპირისპირდნენ: რატომ იმათ ამდენი და ჩვენ არაო?! როგორც ჩანს, ისინი ბევრად უფრო მშვიდად იქნებოდნენ, მაშინ ჩვენთვის კაპიკებით მეტი რომ არ მოეცათ. დღესაც იგივე ხდება.

**- რუსთაველის თეატრს, ისევე როგორც მარჯანიშვილს, ოპერასა და სუხიშვილებს იმიტომ გაეზარდათ ბიუჯეტი, რომ სახელმწიფომ ისინი საერთო ეროვნული ღირებულების დასებად გამოაცხადა.**

- სხვა საკითხია, ვინ და როგორ უნდა განსაზღვროს, საერთო ეროვნული ღირებულებისაა ესა თუ ის თეატრი თუ არა. არ მესმის, რატომ არ არის მნიშვნელოვანი ახალციხეში თეატრის დაფინანსება? რა, მარჯანიშვილის თეატრი ეროვნული ღირებულებისაა და ქუთაისის - არა? ან ახმეტელის თეატრი არ აკეთებს ეროვნულ საქმეს? ეს კრიტერიუმები, რა თქმა უნდა, დასახვეწია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სადაც დაფინანსება უმჯობესდება, ასე არ უნდა ხდებოდეს. მართალი გითხრათ, ზოგან ვერ ვხედავ იმ მენეჯმენტს, ბევრი ფული რომ მისცე კიდეც, რამე ეშველოს. მარჯანიშვილის თეტარს მილიარდიც რომ ჰქონდეს, არაფერი შეიცვლება.

**- რატომ, ფულს შეჭამენ?**

- არა, კი არ შეჭამენ, უბრალოდ, არ იციან, როგორ დახარჯონ მილიარდი ისე, რომ ორი მილიარდის საქმე გააკეთონ.

**- რუსთაველში იციან?**

- იციან და სწორედ ამიტომ იცვლება იქ ბევრი რამ სასიკეთოდ. მარჯანიშვილის თეატრს ჰყავს ერთ-ერთი საუკეთესო დასი, მაგრამ დღევანდელი ხელმძღვანელობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამიტომაც არიან კლოაკაში ჩარჩენილნი.

**- მაგრამ მარჯანიშვილის თეატრში თემურ ჩხეიძეც დგამს სპექტაკლებს...**

- სპექტაკლის დადგმა და ხელმძღვანელობა აბსოლუტურად სხვადასხვაა. ასე რომ არ იყოს, პროდიუსერები საჭირო არ იქნებოდნენ.

**- ბოლო სამ-ოთხ წელიწადში, რაც რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები დაიხურა, გამოთავისუფლებული მაყურებელი ახმეტელში, სარდაფსა და თავისუფალ თეატრში გადანაწილდა. რა მოხდება ამ თეატრების გახსნის შემდეგ?**

- რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების გახსნა ჩვენთვის ძალიან კარგია. ისინი არათუ არ წაგვართმევენ მაყურებელს, პირიქით, შეგვმატებენ. სხვებზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ჩვენთან იმხელა შემოქმედებითი ენერგია დევს, რაც მეტი კარგი თეატრი იქნება ირგვლივ, მით უკეთ ვიქნებით. ვეცდებით, ვიყოთ ბევრად უკეთესი, ვიდრე დღეს ვართ. პოზიციების დათმობას არ ვაპირებთ.

**- არაერთხელ ითქვა, რომ, შესაძლოა, რამდენიმე მუნიციპალური თეატრი ერთ შენობაში განთავსდეს. როგორ ფიქრობთ, ეს პროცესი უმტკივნეულოდ წარიმართება?**

- ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. შეიძლება ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ჩვენ უკვე შევიკედლეთ სოხუმის თეატრი. გარკვეული დისკომფორტი, რასაკვირველია, შეგვექმნა, მაგრამ ერთ ჭერქვეშ ყოფნა ტრაგედია არ არის.

**- მაგრამ თქვენ ამას იმიტომ ამბობთ, რომ ისედაც ნათელია: გლდანში ახმეტელის თეატრი კულტურის ერთადერთი კერაა და, ამდენად, სხვაგან გადასვლა არ გემუქრებათ.**

- და ეს ერთადერთი კერა დაფინანსების მხრივ ყველაზე მეტად დაიჩაგრა. არც ჩემთვის და არც მთელი დასისთვის გლდანი არ არის თბილისში საუკეთესო ადგილი, სადაც ჩვენ შეგვიძლია სპექტაკლების დადგმა. მაგრამ აქ რომ ვრჩებით, ესე იგი, სხვა რამ გვამოძრავებს.

**- ყველა იმ საკითხს, რაზეც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ, წესით, თეატრის მოღვაწეთა კავშირი უნდა აგვარებდეს.**

- ეტყობა, რეფორმის გატარება იქაც აუცილებელია. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ კავშირი და პირადად ბატონი გიგა ლორთქიფანიძე თეატრის პრობლემებით არ არიან დაკავებული. სხვათა შორის, შარშან, როცა "დაგვხურეს", მხოლოდ ბატონმა გიგამ აიმაღლა ხმა. მაგრამ თეატრის მოღვაწეთა კავშირში, სამწუხაროდ, ახალი იდეების გენერაცია არ ხდება.





აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლალი როსება
"პრემიერა"
რეჟისორი: დიმიტრი ღვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"მეფე ლირის თავშესაფარი"
რეჟისორი: ოთარ ბაღათურია
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები"
რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"ჩუმად, რეპეტიციაა!"
ავტორი და რეჟისორი: კახა ბაკურაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"პატარა უფლისწული"
მარინე სურმავას სპექტაკლი
დას: 18:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
"გახსოვდეთ!"
სამამულო ომში დიადი გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი თეატრალიზებული წარმოდგენა
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
უილიამ შექსპირი
"ტიტუსი"
რეჟისორი: დავით შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"რობოტები"
დას: 14:30 სთ.

"დაიკიდე"
დას: 12:00; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
"დაიკიდე"
დას: 20:00; 22:00 სთ.

"ყველაფერი ალფის შესახებ"
დას: 14:00; 16:00; 18:00 სთ.

**ცირკი**
საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის საცირკო ხელოვნების ოსტატთა წარმოდგენა
დას: 12:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
**რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები**
რუსეთის სახელმწიფოს ხალხური ხელოვნების სახლი წარმოაჩენს სანკტ-პეტერბურგის "ქვილთ-კლუბის" გამოფენა "წიგნი დაბადებისა"

სამამულო ომის 60-წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**თაგის არტი**
"ფიროსმანი თენგიზ მირზაშვილის თვალით"

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"თიხიანი ხელები"
მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
თაკო შანშიაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
გერმანელი მხატვრის ბერნარდ შვარცერის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ჰობი**
ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსი

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

**რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები**
**კინოს სახლი**
"ღამეა ნათელი"
(რეჟისორი რ. ბალოიანი)
დას: 20:00 სთ.

**კინომსახიობთა თეატრი**
მოსკოვის მუსიკალური თეატრი "ჰელიკონ-ოპერა"
ჯ. ლემპი "პირამოსი და თისბე"
დას: 19.00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
მოსკოვის "თეატრი DOC"
ო. დარფი "ფხიზელი PR"
დას: 19.00 სთ.

## კლუბები

**ბერლინი**
Julien De Nantes
ფრანგული ელექტრო-ჰაუსი
დას: 23:00 სთ.

## პრეზენტაციები

**პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა**
"წლის საუკეთესო მოთხრობა 2004"-ის დაჯილდოვება
(ახალი ლიტერატურული პრემია დააწესა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ")
დას: 15:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ჟამი კლასიკოსთა ხელახალი შეფასებისა

### დასაწყისი: ოთარ თაქთაქიშვილი

ვერა ნეფარიძე

*"დადგა დრო ჩვენი კომპოზიტორების ჯეროვანი შეფასებებისა. ეროვნული ოპერის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება", - ამაყად აცხადებენ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ხელმძღვანელები. ათვლის წერტილი იქნება 28 აპრილი, როდესაც თანამედროვე მსმენელს ქართული საოპერო ხელოვნების ოსტატები ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებას გაახსენებენ. კომპოზიტორის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე საოპერო სცენის საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბებიან.*

28 აპრილს ოპერისა და ბალეტის თეატრში დაგეგმილი ღონისძიება მხოლოდ საიუბილეო საღამო რომ არ იქნება, ამაზე გუშინ თეატრში გამართული პრესკონფერენციაც მეტყველებდა. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის მემკვიდრეობასთან შემოქმედებითად დაკავშირებული კომპოზიტორების, მუსიკოსებისა თუ მუსიკისმცოდნეების მონოლოგები მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის კლასიკოსების ჯეროვანი შეფასებების დასაბამია. შეფასებებში კი ისინი, ვისზეც დამოკიდებულია ამჟამად საქართველოში საოპერო ხელოვნების განვითარება, ამა თუ იმ შემოქმედთა, დროებით მივიწყებულთა ნაწარმოებების აჟღერებას, საოპერო სპექტაკლების დადგმას გულისხმობენ.

"ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუსმინეთ ჩვენი კომპოზიტორების ნაწარმოებებს და დავრწმუნდით, რომ მე-20 და 21-ე საუკუნეებში მცხოვრები კომპოზიტორები ჯეროვნად უნდა შევაფასოთ.



*ზაზა აზმაიფარაშვილი, მანანა ახმეტელი, ანზორ ერქომაიშვილი და ირინა ჭირაქაძე-თაქთაქიშვილი.*

ბატონი ოთარის შემოქმედება უმდიდრესია და ღრმა; ფანტასტიკური მუსიკაა და ამაში თავად დარწმუნდება ჩვენი მსმენელი 28 აპრილს", - ამბობს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი დათო საყვარელიძე. ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებაზე და კომპოზიტორის პიროვნულ დამსახურებაზე გუშინ ბევრი ისაუბრეს პრესკონფერენციის სტუმრებმა, რომელთა შორისაც იყო კომპოზიტორის მეუღლე - ირინა ჭირაქაძე-თაქთაქიშვილი.

ზაზა აზმაიფარაშვილმა (ის გოგი ჭიჭინაძესთან ერთად უდირიჟორებს 28 აპრილის კონცერტს) გამოთქვა სურვილი, რომ ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკალური მემკვიდრეობა უფრო აქტიურად იყოს ათვისებული; შესრულდეს არა მარტო კომპოზიტორის სიმფონიური, არამედ საოპერო ნაწარმოებებიც. "ბატონმა ოთარმა ბალეტის გარდა, ყველა ჟანრში შესანიშნავი ნაწარმოებები შექმნა", - აღნიშნა მან. "დასანანია, რომ ბატონი ოთარის მუსიკა ბოლო ხანებში არ ჟღერს", - ითქვა შეხვედრაზე. თუმცა, როგორც აღნიშნეს, ოთარ თაქთაქიშვილი გამონაკლისი არ არის. წლების განმავლობაში სხვა სახელოვანი კომპოზიტორებიც უსამართლოდ დაივიწყეს. "სიცოცხლეში ოთარ თაქთაქიშვილი ძალიან დაფასებული იყო. სად აღარ ჟღერდა მისი ნაწარმოებები; მისი "მინდია" დაიდგა მინსკში, ტარტუში, ერევანში, საარბრიუკენში. დაუფასებლობაში იმას ვგულისხმობთ, რომ კომპოზიტორის გარდაცვალების შემდეგ მისი ნაწარმოებები არც ისე ხშირად სრულდება; და არა მხოლოდ მისი. ბატონი ოთარი იმ იშვიათ შემოქმედთა კატეგორიას ეკუთვნის, ვინც ინტენსიურ შემოქმედებით და ნაყოფიერ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა. ის იყო მუსიკოსი ერუდიტი, დიდი კლასიკოსების პრინციპების მიმდევარი. ხოლო მისი შემოქმედებითი ძიებები ეროვნული არსის გაღრმავებას ემსახურებოდა. როგორ შემოჰქონდა ეროვნული ჰარმონია მუსიკაში. ოთარ თაქთაქიშვილმა ღრმა კვალი დააჩნია საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებას", - მიაჩნია მანანა ახმეტელს. "დღისით მინისტრი იყო, ღამით კომპოზიტორი და როდის ეძინა, კაცმა არ იცის", - ასეც თქვეს კომპოზიტორის შესახებ. საერთოდ, ოთარ თაქთაქიშვილის კულტურის მინისტრობის პერიოდს განსაკუთრებული სითბოთი და სინანულით იხსენებდნენ აკადემიური მუსიკის წარმომადგენლები და ამბობდნენ: "ასეთი კულტურის მინისტრი საერთოდ არ გვყოლია. რომ დავიწყოთ იმის ჩამოთვლა, რაც მან მინისტრობისას გააკეთა, ძალიან შორს წაგვიყვანს". "ქართულ ფოლკლორს, ხელოვნებას არ ჰქონია ისეთი დაფასება, როგორიც ბატონი ოთარის მინისტრობის დროს. ბატონ ოთარს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ქართულ ფოლკლორთან. არა მარტო იცოდა ფოლკლორი, არამედ მისი ღირსეული შემფასებელი და დამფასებელიც იყო. დადგა დრო, შეფასდეს მისი შემოქმედება ისე, როგორც საჭიროა", - თქვა ანზორ ერქომაიშვილმა, რომელიც ანსამბლ "რუსთავთან" ერთად 28 აპრილს კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს, რომ ფოლკლორს უდიდესი ადგილი უჭირავს ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებაში.

"ბატონ ოთარს ვაღმერთებდი როგორც პიროვნებას და როგორც კომპოზიტორს. მე და ჩემი მეგობრები ვცდილობთ, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში შევასრულოთ მისი ნაწარმოებები", - განაცხადა ბადრი მაისურაძემ. მომღერალი 28 აპრილის კონცერტში პაატა ბურჭულაძესთან, სულხან გველესიანთან, ელდარ გეწაძესთან, თეიმურაზ გუგუშვილთან, ზურაბ სოტკილავასთან და მაყვალა ქასრაშვილთან ერთად შეასრულებს ნაწყვეტებს კომპოზიტორის საოპერო ნაწარმოებებიდან.

# „არასაფრენი დღეები" უმცროსი რეზო თაბუკაშვილისთვის

### კვენტინ ტარანტინოს ქართული დებიუტი

ია ვეკუა

მას შემდეგ, რაც ლიტერატურული ხუთშაბათობები და მისი უცვლელი აუდიტორია სარდაფის ვირთხებს განერიდა, მზის ქვეშ ადგილი კაფე "პარნასმა" შესთავაზა და ნათლობის ახალი სახელიც შეურჩია - "ლიტერატურული პარასკეობები". ეს იყო ერთი წლის წინათ და რაკი ამ ასაკის აღნიშვნა "არ შეიძლება", გუშინ "პარნასში" რიგითი საპრეზენტაციო დღე გამართეს. პატარა რეზო თაბუკაშვილის კრებულთან "არასაფრენ დღეებთან" ერთად დღის შუქი ჟურნალ "პარნასის" მეხუთე ნომერმაც იხილა.

ლიტერატურული ხუთშაბათობების უცვლელმა მასპინძელმა ზაალ სამადაშვილმა ცოტა ხნის წინათ ახალი თანამდებობა მიიღო - ახლა იგი თბილისის 53-ე სკოლის დირექტორია. თუმცა, დაძაბული გრაფიკის მიუხედავად (დირექტორები ხომ ბევრს მუშაობენ), მაინც მოიცალა უმცროსი კოლეგისთვის და არანაკლებ უმცროს ბესო ხვედელიძესთან ერთად რეზო თაბუკაშვილის ახალი წიგნი წარმოგვიდგინა.

"არასაფრენი დღეები" რეზო თაბუკაშვილის მეორე კრებულია. მისი პირველი წიგნი - "ავტობიოგრაფია პროფილში" რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა და მასში, ძირითადად, აფხაზეთის ომის თემაზე შექმნილი მოთხრობები შევიდა. ახალ კრებულში ავტორმა სხვადასხვა პერიოდში დაწერილი და პირველ კრებულს მიღმა დარჩენილი ხუთი მოთხრობა გააერთიანა. მათი უმეტესობა პერიოდულ გამოცემებშიც იბეჭდებოდა.

ამჯერად რეზო თაბუკაშვილმა თავი შეიკავა აფხაზეთის თემისგან და მოთხრობები მხოლოდ იმ ნიშნით გააერთიანა, რომ მათში ერთნაირ პირობებსა და სამყაროში მცხოვრებ ადამიანებზე მოგვითხრობს. "ვინმემ, შესაძლოა, იფიქროს, რომ ამ მოთხრობების გმირები ჩემი მეგობრები არიან. არადა, ისინი რეალურად არ არსებობენ, ასეთებზე წერა კი გაცილებით ადვილი და საინტერესოა. შესაძლოა, რეალურად არსებული ადამიანის ცხოვრებიდან, უბრალოდ, რაღაც ვისესხო და ამ მცირე იმპულსზე გამოგონილი ამბავი ავაგო", - ამბობს რეზო თაბუკაშვილი.



*რეზო თაბუკაშვილი საკუთარი წიგნის პრეზენტაციაზე მოკრძალებულად გამოიყურება.*

წიგნის პრეზენტაციაზე ერთი აღმოჩენაც გაკეთდა - ზაალ სამადაშვილმა თაბუკაშვილის მწერლობა გურამ რჩეულიშვილის სკოლაში "ჩარიცხა" (სკოლის დირექტორია!).

**ზაალ სამადაშვილი:** "ქართულ ლიტერატურაში არსებობს სრულიად ბუნებრივად ჩამოყალიბებული სამწერლო სკოლები. რეზო თაბუკაშვილს წერისას აშკარად ეტყობა შინაგანი დუღილი და მასში ჩაბუდებულ ვნებათა სიმძაფრე. მას საუკეთესოდ შეუძლია სათქმელი სწორად გადმოსცეს, რაც მის სამწერლო ოსტატობაზე მეტყველებს. ამ მხრივ რეზო თაბუკაშვილს გურამ რჩეულიშვილის სამწერლო სკოლას მივაკუთვნებდი."

ამაზე განსხვავებული მოსაზრება აქვს "მოსწავლე" თაბუკაშვილს: "არასდროს მიფიქრია, რომ რომელიმე სკოლას წარმოვადგენ ან მწერალს ვბაძავ. როგორც ჩანს, გვერდიდან შეფასებისას განსხვავებული დასკვნების გაკეთება შეიძლება. ყოველთვის ვცდილობ, სათქმელი, რაც შეიძლება, მარტივად გადმოვცე და ფორმასთან ორგანულად შევათავსო. რაც შეეხება გურამ რჩეულიშვილს, მისი შემოქმედების თაყვანისმცემელი და ერთგული მკითხველი ვარ."

რეზო თაბუკაშვილის "არასაფრენი დღეების" პარალელურად გაზეთ "პარნასის" ახალი ნომრის პრეზენტაციაც მოეწყო. როგორც ჩანს, "პარნასი" სერიოზულ ჰოლდინგად ყალიბდება. უკვე არსებობს ამ სახელწოდების მქონე წიგნის მაღაზია, კაფე და გაზეთი.

ორ კვირაში ერთხელ გამომავალი "პარნასის" მეხუთე ნომერი პროზიდან ბესო ხვედელიძის "ბრმების ქალაქს", ანა კორძაია-სამადაშვილის "რიტუალებს", ბექა ქურხულის "გაქცევას", აგრეთვე ტარიელ ჭანტურიას ლირიკას აერთიანებს. გარდა ამისა, ახალ ნომერში შესულია გალაკტიონ ტაბიძის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები, ელისო კიკნაძის მიერ თარგმნილი აკუტაგავა რიუნოსკეს "მანდარინები" და კვენტინ ტარანტინოს საკულტო ფილმის "ცოფიანი ძაღლების" (გაზეთში "რეზერვუარის ქოფაკები") სცენარის დასაწყისი შემდეგ ნომერში გაგრძელების პერსპექტივით.

აქვე გაეცნობით წიგნის მაღაზია "პარნასის" საუკეთესო თერთმეტეულს, რომელსაც ლაშა ბუღაძის "ბოლო ზარი" ლიდერობს და ბოლო დროის ლიტერატურული სკანდალი - ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ აკინძული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშები ამთავრებს.

# კიდევ ერთი დარტყმა ინგლისურს

### კარგია ეს თუ ცუდი?




ქართველები მშვიდად სხედან - აქვთ იმიტაციის უნარი და სანერვიულო არაფერია. წატრაბახების მიზნით გარეგანი ფორმების სრულყოფას იმხელა მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ რუსებივით ხვეწენ რუსულ გამოთქმებს, ინგლისელებივით - ინგლისურს. მერე კი თვითკმაყოფილი სახით, თითქოს სასხვათაშორისოდ შენიშნავენ ხოლმე, რომ თვითონ რუსებს არაფერი ეშველებათ, "გიორლ"-ისა და "ვიორქ"-ის თქმას ვერასოდეს მოიშლიან, ანუ ვერასდროს დახვეწენ ინგლისურ პრონანსს და ეს მაშინ, როცა ქართველებს ზუსტი გამოთქმები, უბრალოდ, გენში აქვთ. ეს პრობლემა კიდევ ბევრს აქვს: კორელეებს, იაპონელებს და თუნდაც იტალიელებს. მახვილი სმენის პატრონი დამტვრეული ინგლისურის მოსმენისას მაშინვე ხვდება, საიდან არის მოსაუბრე ადამიანი - იტალიიდან, გერმანიიდან თუ შვედეთიდან (ამ უკანასკნელებს, როგორც წესი, ცუდი აქცენტი არა აქვთ ხოლმე და მათი ინგლისურიც, ასევე, როგორც წესი, საოცრად დახვეწილია).

ეს რაც შეეხება პრონანსს. მაგრამ, როცა ენის სრულყოფილ ცოდნაზე მიდგება საქმე, მაშინ პრობლემა უფრო გლობალური ხდება და ის ქართველებსაც ეხება.

ინგლისური ხომ ის ენაა, რომლის ცოდნის პრეტენზიაც კაცობრიობის 88 პროცენტს აქვს. მათგან კი, ძნელია, ზუსტად თქვა, რამდენმა იცის ენა. წარმოიდგინეთ სიტუაცია: აეროპორტში, ბილეთის რიგში, კოლუმბიელი და კორეელი დგანან. ისინი ერთმანეთს გამოელაპარაკებიან და შემდეგ უსაქმობისგან საუბარსაც გააბამენ. ერთმანეთს ინგლისურად ელაპარაკებიან და ერთმანეთის ესმით კიდეც, მაგრამ იქვე მდგომი ინგლისელი მათი საუბრიდან ვერაფერს იგებს. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ენა, რომელსაც კოლუმბიელი და კორეელი მიმართავენ საურთიერთოდ, ინგლისური კი არ არის, არამედ "გლობალური ენაა", რომელიც მსოფლიოში არსებული და მოქმედი 6800 ენიდან ერთ-ერთი ყველაზე ახალია.

ახლავე გაგარკვევთ, რასაც ვგულისხმობთ: ფრანგმა ჟან-პოლ ნერიერმა გადაწყვიტა ამ "საყველპურო", ცუდად შესწავლილი ენისთვის, რომელიც პორტუგალიელს და იაპონელს, ქართველს და ჩილელს აკავშირებს, დაერქმია ასე: Globish - ანუ, გლობალური. გადაწყვეტილება კი პრესისთვის ასე განმარტა:

"სინამდვილეში "გლობალური" ენა კი არა, უფრო ხელსაწყოა. ენა კულტურის გამოხატულებაა. ამ ენას ასეთი დიდი პრეტენზიები არა აქვს. პირიქით, "გლობალური", უბრალოდ, ურთიერთობის, კომუნიკაციის საშუალებაა. მას არაფერი აქვს საერთო ჰამლეტის ენასთან, არც ფოლკნერისა და ვირჯინია ვულფის ენასთან".

ნერიერი საკუთარ გამოგონებას ძალიან პრაქტიკულს უწოდებს და ამბობს, რომ ის გაცილებით უკეთესია, ვიდრე სხვა უტოპიური ენობრივი გამოგონებები: კოსმოსი, ვოლაპუკი, ნოვიალი ანდა ესპერანტო. "გლობალური" უფრო გამარტივებული ინგლისურის მსგავსია. ეს არის ენა, ძირეულად - ინგლისური, უბრალოდ, ისეთი გამარტივებული წესებით, რომ ყველას ესმოდეს.

"გლობალური" უკვე ერთი წელია, წიგნადაც არსებობს. გამომცემლობა Eyrolles-მა პარიზში ლექსიკონი შარშან გამოსცა. გაიხსნა ვებ-გვერდიც და მას შემდეგ მოყოლებული, წიგნით დაინტერესება 30 ათასზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა.

თვითონ ნერიერი, რომელიც მანამდე "აი ბი ემ"-ში მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელი იყო, ინგლისურს სრულყოფილად ფლობს, თუმცა, როცა სჭირდება, ამ ენას "გლობალურამდე" ამდაბლებს, გააჩნია სიტუაციას. "სახეზე ვატყობ, ესმით ჩემი თუ არა. მაშინვე ვხვდები ამას და მომენტალურად ვცვლი ენას. ვიწყებ "გლობალურზე" ლაპარაკს და პრობლემა გვარდება".

ნერიერის ვებ-გვერდის მისამართია: http://www.jpn-globish.com, სადაც გვეუბნებიან, რომ "გლობალურის" მთავარი პრინციპია ლექსიკონის 1500-მდე ინგლსური სიტყვით, ჟესტითა და რეპლიკით შემოფარგვლა. "დაშვებული" ლექსიკური ერთეულების სია იწყება სიტყვით able (უნარი) და მთავრდება zero-თი (ნული). სიაში არ შედის ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: ძმისწული და დისწული. ნერიერი განმარტავს - მათი შეცვლა კაცს იოლად შეუძლია ასე: ჩემი ძმის შვილი, ანდა ჩემი დის შვილი. მსგავსი პრინციპით მდიდარი ინგლისური ენა 1500 სიტყვამდე დადის. მაისში ნერიერი ლექსიკონის მეორე ტომს გამოსცემს. ახალ წიგნში "გლობალურის" გრამატიკული წესები შევა და დამწყებ მომხმარებელს აუხსნის, თუ როგორ უნდა გამოიყენონ პირველ ტომში შესული სიტყვები სხვადასხვა სიტუაციებში.

ისე კი, "გლობალურის" ფესვები 1980-იან წლებში უნდა ვეძებოთ. იმ პერიოდში წიგნისა და ენის ავტორი პარიზში "აი ბი ემ"-ის ქარხანაში მუშაობდა, სადაც 40-მდე ეროვნების თანამშრომელთან უხდებოდა კონტაქტი. ერთხელ გაფართოებული თათბირი მოეწყო. სხვადასხვა ეროვნების მომსახურე პერსონალს ორი ამერიკელი სტუმარი უნდა მიეღო. სანამ ამერიკელები დარბაზში შემოვიდოდნენ, კოლეგები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ დამტვრეული ინგლისურით, ანუ ენაზე, რომელსაც ნერიერმა მოგვიანებით "გლობალური" დაარქვა. შემდეგ სტუმრებიც მოვიდნენ და დამსწრე საზოგადოებას ჯიმად და ბილად გაეცნენ. მერე დიდხანს ისაუბრეს "აი ბი ემ"-ის გეგმებსა და პერსპექტივებზე. სხდომა დამთავრდა, თანამშრომლები კი მიხვდნენ, რომ გამხსნელი სიტყვების "მე ბილი ვარ" მე კი - ჯო" ამერიკელების საუბრიდან ვერაფერი გაიგეს; იმიტომ, რომ, ცხადია, ორივე მათგანი სრულყოფილი ინგლისურით ლაპარაკობდა. კითხვაც აღარ უნდა იმას, რომ ვერც ჯომ და ბილმა გაიგეს რამე ჭრელი ეთნიკური შემადგენლობის დარბაზში.

ეს კონკრეტული სიტუაცია გადამწყვეტი აღმოჩნდა. ნერიერი მაშინვე მიხვდა, რომ ბილისა და ჯოს გარდა, იმ თათბირზე ყველა "გლობალურ" ენაზე ლაპარაკობდა, თუმცა, ამის შესახებ მოსაუბრეებმა არაფერი იცოდნენ.

როგორც უკვე მოგახსენეთ, "გლობალურის" მთელი ხიბლი ის არის, რომ ადამიანი 1500 სიტყვით გადის ფონს. ამ ლექსიკური მარაგით მას თითქმის ყველა გრძნობისა და განცდის გამოხატვა შეუძლია, თუ, რა თქმა უნდა, ნერიერის სახელმძღვანელოს დაიხმარს და სიტყვებს კონკრეტულ სიტუაციებს მოარგებს.

მოკლედ, ჟან-პოლ ნერიერი დარწმუნებულია, რომ დიდებული რამ გამოიგონა. ის მიიჩნევს, რომ მის ნოვაციას დიდი მომავალი აქვს. თუმცა, ფრანგები უკვე გამოხატავენ უკმაყოფილებას და ბრაზით ამბობენ, რომ "გლობალური" ფრანგულ ენას ძირს უთხრის:

"ასე მეუბნებიან, რომ ჩემი გამოგონებით ფრანგულს ვკლავ, მე კი ვპასუხობ, რომ არა. პირიქით, "გლობალურის" წყალობით ჩვენს მშობლიურ ენას ინგლისურის გავლენისგან ვიცავთ", - აცხადებს წიგნის ავტორი.

თუმცა, არის ერთი "მაგრამ". მან, ვინც კარგად იცის "გლობალური", ეთნიკურ ინგლისელებს მაინც ვერაფერს გააგებინებს. ამ პრობლემის გამოსწორებას ნერიერი "გლობალურის" ინგლისური ვერსიის გამოშვებით აპირებს. შემდეგ კი იტალიური და ესპანური დამატებების დასტამბვასაც ფიქრობს. ასე რომ, გამოდის, ნერიერი არა მხოლოდ იცავს ფრანგულს ინგლისურისგან, არამედ მეტიც - ამერიკელებს აიძულებს, რაღაც გაგებით, ორენოვანებიც გახდნენ.

"ზუსტად ასეა!" - ეს რემარკა თვითონაც ახარებს და მხიარულად დასძენს: - "ეს შანსია, რომ ამერიკელებს როგორმე უცხო ენის სწავლა ვაიძულოთ".

ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან.

# მერილინ მონროს პირადი ნივთების სკივრი გაიხსნა



მერილინ მონრო

"ბი ბი სი"-ს ცნობით, ივნისში გამართულ აუქციონზე მერილინ მონროს, შეიძლება ითქვას, ყველაზე პირადულ ნივთებს გაიტანენ, მათ შორის, ჯო დიმაჯიოსთან განქორწინების დოკუმენტებს და მონროს სატელეფონო წიგნაკს, რომელშიც მსახიობს ფრენკ სინატრას, ჰენრი ფონდას, ჯეინ რასელის და ყოფილი ქმრების - დიმაჯიოსა და არტურ მილერის საკონტაქტო ტელეფონები უწერია.

200-მდე ნივთი ლოს ანჯელესში, ჯულიენის აუქციონზე გაიყიდება. ზემოთ ხსენებულ ლოტებს შორის ასევე იქნება: მონროს სურათი, რომელიც მას 1962 წელს ჯონ კენედისთვის დაბადების დღეზე უნდა ეჩუქებინა (ნახატი შეფასებულია 10 ათას დოლარად); 1956 წლით დათარიღებული მიმართვა ქალაქ ნიუ იორკის სასამართლოსადმი, რომელშიც მსახიობი საკუთარი სახელის - ნორმა ჯინ მორტენსონის მერილინ მონროდ გადაკეთებას ითხოვს; ასევე დიზაინერების მიერ ნაჩუქარი ტანსაცმლის მთელი წყება...

ჯულიენის აუქციონის პრეზიდენტი დარენ ჯულიენი აცხადებს, რომ ეს მერილინ მონროს პირადი ნივთების პირველი მასშტაბური გამოფენაა. აუქციონი 4 ივნისს ჩატარდება. გამოფენა კი 31 მაისს გაიხსნება და 3 ივნისს დაიხურება. დროის ამ მოკლე მონაკვეთში მერილინ მონროს ფანებმა უნდა მოახერხონ სასურველი ნივთების შეთვალიერება და არჩევა.

შეგახსენებთ, რომ მერილინ მონრო ჯო დიმაჯიოსთან 21 თვის განმავლობაში ცხოვრობდა. ისინი 1955 წელს დაშორდნენ ერთმანეთს. მანამდე მონრო ჯეიმს დოერტის ცოლი გახლდათ, მოგვიანებით კი - დრამატურგ არტურ მილერის.

# „ბენიფერი". მეორე სერია

გუშინ გავრცელებული ცნობის მიხედვით, დაიწყო ცხოვრებისეული სერიალის "ბენიფერის" მეორე სერია. ვინც ჰოლივუდელი მსახიობის ბენ აფლეკის და ჯენიფერ ლოპესის რომანსა და კინაღამ ჩატარებულ ქორწილს ადევნებდა თვალს, ეს სათაური კარგად იცის: ამ ელიტარულ წყვილსს სახელების შეერთების შედეგად "ბენიფერს" ეძახდნენ. შემდეგ ქორწილი ჩაიშალა და პრესა წერდა, რომ "ბენიფერის" ეპოპეა დასრულდა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს დასასრული ახალი დასაწყისის ნიშანი იყო, რადგან მალევე მეორე "ბენიფერი" შედგა, ამჯერად ბენ აფლეკისა და ჯენიფერ გარნერის მონაწილეობით. გუშინ კი ჟურნალები "სთარი" და People მთელი ყვითელი პრესისთვის და მისი მკითხველებისთვის ფრიად სკანდალურ ცნობას აქვეყნებდნენ: აფლეკი და გარნერი უკვე დაინიშნნენ კიდეც.

People-ის ჟურნალისტი ბენ აფლეკის ახლო მეგობრისგან მიღებულ ცნობაზე დაყრდნობით წერდა, რომ ამ ამბავს წყალი არ გაუვა. ბენი უკვე ახლობლებს მოსალოდნელი ქორწილის შესახებაც ესაუბრება. იმავე ჟურნალს თებერვლის ნომერში გარნერის მეგობარმა ამცნო, რომ ჯენიფერი ელის, თუ როდის თხოვს ბენი მას ხელს.

შემდეგ, ცხადია ცნობის გადამოწმება უფრო სერიოზულმა პრესამაც ისურვა. თუმცა, "როიტერის" კორესპონდენტთან საუბარში აფლეკის პრესაგენტმა კენ სანშაინმა კომენტარისგან თავი შეიკავა, ჟურნალისტებისთვის რაიმე ახსნა-განმარტება არც გარნერის წარმომადგენელს მიუცია.

თუმცა, ხანდახან ბულვარულ პრესასაც დაეჯერება. ქორწილები, პირადი სკანდალები და მსგავსები ხომ მათი პროფილია. ასე რომ, სავარაუდოა, "ბენიფერის" გაგრძელება მართლაც მალე შედგეს.

პირველი ნაწილი კი 2002 წელს დაიწყო, ორ წელს გაგრძელდა და 2004 წლის იანვარში აბსოლუტური კრახით დასრულდა. პირველი სერიისგან განსხვავებით, მეორე სერიაში ბენ აფლეკი უფრო მოკრძალებულად იქცეოდა და გარნერთან ურთიერთობით პრესის ყურადღებას ნაკლებად იქცევდა. შესაბამისად, ამ რომანის შესახებ პაპარაცები ძალიან მწირ ინფორმაციას ფლობდნენ. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ წყვილმა ერთმანეთი მძაფრსიუჟეტიანი ფილმის Daredevil-ის გადაღებებზე გაიცნო, მაგრამ ერთმანეთს 2004 წელს დაუახლოვდნენ. ერთად პუბლიკის წინაშე კი ბოსტონში ფეხბურთის მატჩზე გამოჩნდნენ.

თუ ქორწილი შედგა, ეს გარნერის მეორე ქორწინება იქნება. ბენ აფლეკისთვის - პირველი.



ბენ აფლეკი

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ხალხური | "მოუკრეფავნი. ქართული [illegible] ფოლკლორის ნიმუშები" | "დიოგენე" | 60.8 |
| ოტია იოსელიანი | "ზელისკვლისტოლა ზღაპრები" | "დარი" | 6.8 |
| ლაშა ბუღაძე | "ბოლო ზარი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 4 |
| ამერი და სხვ. | "ბერძნული მითები" | "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" | 3.2 |
| მზია სურგულაძე | "საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის" | "ლიტერა" | 2.4 |
| ჰედლი ბული | "ანარქიული საზოგადოება" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.4 |
| აკა მორჩილაძე | "მოგზაურობა ყარაბაღში" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| ანა კორძაია-სამადაშვილი | "მე, მარგარიტა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| ზურაბ კიკნაძე | "ქართული მითოლოგია" | "ბაკმი" | 1.6 |
| ენდრიუ ჰეივუდი | "პოლიტიკური იდეოლოგიები" | "ლოგოს პრესი" | 1.6 |

### ყველაზე შემოსავლიანი კონცერტების ათეული ამერიკაში ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| შემსრულებელი | თარიღი | ადგილი | შემოსავალი $ |
|---|---|---|---|
| "იგლზი" | 31 მარტი-18 აპრილი | ისტ რაზერფორდი, ნიუ ჯერსი | 4,953,170 |
| "იგლზი" | 3-6 აპრილი | იუნიონ დეილი, ნიუ იორკი | 2,774,569 |
| როდ სტიუარტი | 16 აპრილი | ატლანტიკ სიტი, ნიუ ჯერსი | 1,278,820 |
| ჯიმი ბაფეტი | 7 აპრილი | ანაჰაიმი, კალიფორნია | 1,130,816 |
| როდ სტიუარტი | 15 აპრილი | ისტ რაზერფორდი, ნიუ ჯერსი | 1,084,351 |
| როდ სტიუარტი | 10 აპრილი | იუნიონ დეილი, ნიუ იორკი | 960,392 |
| დიურან დიურანი, ჯულიეტი | 5 აპრილი | ტორონტო, ონტარიო | 862,396 |
| "მარუნ 5", დონას | 6-8 აპრილი | რეიდიო სიტი მიუზიკ ჰოლი, ნიუ იორკი | 718,306 |
| მერი ჯეი ბლაიჯი | 7 აპრილი | მონრეალი, კვებეკი | 694,477 |
| როდ სტიუარტი | 12 აპრილი | მანჩესტერი, N.H. | 656,168 |

### ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

| ფილმის სათაური | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "ამიტივილის საშინელება" | ენდრიუ დუგლასი | რაიან რეინოლდსი, ჯიმი ბენეტი, მელისა ჯორჯი | 23,507,007 | 23,507,007 |
| "საჰარა" | ბრეკ აიზნერი | მეთიუ მაკკონაჰი, პენელოპა კრუზი, სტივ ზანი | 13,071,283 | 36,417,478 |
| Fever Pitch | პიტერ და ბობი ფარელი | დრიუ ბერიმორი, ჯიმი ფელონი | 8,518,883 | 23,662,931 |
| "ცოდვის ქალაქი" | რობერტ როდრიგესი, ფრენკ მილერი | ბრიუს უილისი, ჯესიკა ალბა | 6,687,810 | 61,301,949 |
| "გამოიცანი, ვინ" | კევინ სალივანი | ბერნი მაკი, ეშტონ კუჩერი, ზოი სალდანა | 4,873,712 | 57,648,885 |
| "სილამაზის სალონი" | ბილი ვუდრუფი | ქუინ ლატიფა, კევინ ბეკონი, ალისა სილვერსტოუნი | 3,742,462 | 31,220,578 |
| "რობოტები" | კრის ვეჯი, კარლოს სალდანა | იუან მაკგრეგორი, ჰელი ბერი, მელ ბრუქსი, გრეგ კინეარი, ჯენიფერ კულიჯი, რობინ უილიამსი | 3,606,520 | 115,761,012 |
| "მის კონგენიალობა2: შეიარაღებული და მშვენიერი" | ჯონ პასკინი | სანდრა ბულოკი, რეჯინა კინგი, ენრიკე მურსიანო | 2,980,158 | 41,676,315 |
| Pacifier | ადამ შენკმენი | ვინ დიზელი, ლორენ გრეჰემი | 2,418,620 | 103,727,286 |
| "ბრაზის მხარე" | მაიკ ბაინდერი | კევინ კოსტნერი, ჯოან ალენი, ერიკა კრისტენსენი | 2,069,066 | 15,119,417 |

ფეხბურთი

# ბურთი და მოედანი

## 16-გუნდიანი ჩემპიონატი - დილეტანტიზმი თუ რეალობა?

მიხეილ აბაიშვილი

რა არის ფეხბურთი? ბურთი, მოედანი... მიიღო ბურთი იამანიძემ, გადააწოდა მეტრეველს, მეტრეველმა წინ წაიწია და გადააწოდა მესხს. მესხმა თავისი არაჩვეულებრივი ფინტებით მოატყუა ერთი, მოატყუა ორი, მოატყუა სამი, მოატყუა ოთხი, მეკარე, მეკარეც მოატყუა და... მოდი, აქ შევჩერდეთ. დიდი ხანია, აღარც მესხი გვყავს, აღარც მეტრეველი და, გოლის გატანაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ვეღარავის ვატყუებთ, საკუთარი თავის გარდა. დღეს ერთ ტყუილზე მინდა გესაუბროთ, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის 16-მდე გაზრდას ეხება.

გასაგებია, რომ დაიწყო წინასაარჩევნო მარათონი და შემჭიდროებული სააგიტაციო პერიოდის პირობებში კანდიდატებმა რაც შეიძლება მომხიბვლელი სატყუარები უნდა დაყარონ, რომ ხმები დაითრიონ და ფედერაციის პრეზიდენტის ნანატრი სავარძელი მოიპოვონ. ერთ-ერთი კანდიდატი გვპირდება, რომ უახლოეს პერიოდში უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობას 16-მდე გაზრდის. "ჩანაფიქრის" მიხედვით, გუნდების რაოდენობის გაზრდა უმაღლეს ლიგაში რეგიონების წარმომადგენლებს გაუხსნის გზას, რაც ამ რეგიონებში ფეხბურთის განვითარებას გამოიწვევს. რას მოუტანს ეს ამ კანდიდატს, ადვილი მისახვედრია. ყრილობაზე ხმის უფლების მქონე 26 დელეგატი იქნება. ამ 26-დან 10 ხმა რეგიონულ ფედერაციებს ეკუთვნით. უმაღლეს ლიგაში გუნდის ყოლის პერსპექტივით მოხიბლული რეგიონული ფედერაციები, შესაძლოა, ამ სატყუარას წამოეგონ და ესოდენ ძვირფასი თავისი ხმები ფეხბურთის რეგიონულ განვითარებაზე "მზრუნველ" კანდიდატს უფეშქაშონ. 10 ხმა კი ისეთი მწვავე კონკურენციის პირობებში, როგორიც ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე იქნება, ყველაფერს თუ არა, ძალიან ბევრს გადაწყვეტს.

ერთი შეხედვით ურიგო იდეა არ უნდა იყოს. რაში გვჭირდება 10-გუნდიანი უდღეური ჩემპიონატი, ერთი და იგივე გუნდები რომ ლამის ყოველკვირა ეთამაშებიან ერთმანეთს? 16 გუნდი კი სოლიდურობას შეგვმატებს, საფეხბურთო გეოგრაფიას გააფართოებს, რეგიონებში ფეხბურთის პოპულარიზაციას და განვითარებას შეუწყობს ხელს... სდექ! მეყო ტყუილების წერა. მოდით, ვნახოთ, რა ხდება რეალურად.

ყველაზე სამწუხარო, იცით, რა არის? ის 10-გუნდიანი ჩემპიონატიც კი, რომელიც ზოგიერთს ვითომ ეცოტავება, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ზედმეტია. ავიღოთ ფოთი, ანუ წმინდა საფეხბურთო ალაგი, სადაც დაირწა კიდეც ქართული ფეხბურთის აკვანი. თავი დავანებოთ ამ ქალაქის გუნდის "კოლხეთის" სატურნირო მდგომარეობას და იმედი ვიქონიოთ, რომ უმაღლესი ლიგა ამ თვითმყოფადი გუნდის გარეშე არ დარჩება. იცით, რა ხდება ფოთში, უფრო ზუსტად, ფოთის "კოლხეთში"? ორი დღის წინ გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის 29-ე კალენდარული ტური, რომელშიც "კოლხეთმა" თბილისის "თბილისს" უმასპინძლა. თამაში სტუმართა გამარჯვებით, 1:0 დასრულდა, მაგრამ შეიძლებოდა გაცილებით დიდი ანგარიში, 0:3 დაფიქსირებულიყო, თანაც, ისე, რომ გუნდები მოედანზე საერთოდ არ გამოსულიყვნენ. უფრო სწორად, მოედანზე გამოსვლას არ აპირებდნენ ფოთელი ფეხბურთელები. დიახ, "კოლხეთი" ისეთ შეჭირვებულ ფინანსურ მდგომარეობაშია, რომ ეს გუნდი სეზონის ბოლომდე ან მიატანს, ან - ვერა. რამდენიმე თვეა, ფეხბურთელებს ხელფასი არ აუღიათ. მთავარმა სპონსორმა ფოთის პორტმა, რომელიც წლების განმავლობაში ინახავდა ამ გუნდს, "კოლხეთს" დაფინანსება შეუწყვიტა. გუშინწინდელი თამაში მხოლოდ მას შემდეგ ჩატარდა, რაც ფოთის მერი გასახდელში მივიდა ფეხბურთელებთან და აღუთქვა, რომ უახლოეს დღეებში თანხა "კოლხეთის" ანგარიშზე ჩაირიცხებოდა და სახელფასო დავალიანების ნაწილს გაისტუმრებდნენ. საუბედუროდ, ფოთის "კოლხეთი" ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ გახლავთ. ანალოგიურ ვითარებაშია გორის "დილა", რომლის ფეხბურთელებიც მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გამოდიან მოედანზე და, შინ თუ გარეთ, თამაშს თამაშზე აგებენ.



ერთ დროს ბურთიც გვქონდა, მოედანიც და მესხიც გვყავდა.

თქვენ გგონიათ, დანარჩენი 8 გუნდი შეესაბამება იმ სტანდარტებს, რომელიც უმაღლეს ლიგაში თამაშისთვის არის საკმარისი? შეიძლება ვინმემ მითხრას, რა დროს სტანდარტებია, გუნდები არსებობენ, ფეხბურთელებს ხელფასს, პრემიებსაც უხდიან და სხვა რა სტანდარტებზეა საუბარიო. მაგრამ, ნურას უკაცრავად, არც მთლად ასეა საქმე. საქართველოს ჩემპიონატის ორგანიზატორმა, პროფესიული ფეხბურთის ლიგამ დააწესა ლიცენზირების სისტემა, რომლის გაუვლელად უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება არავის ექნება. ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია 300-ათასლარიანი ფინანსური გარანტია (მარტივად რომ ვთქვა, კლუბის იურიდიულ ანგარიშზე 300 ათასი ლარი უნდა ირიცხებოდეს), დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ კლუბს კრედიტორები არ ჰყავს. ამას გარდა, ლიცენზიის მისაღებად კლუბს უნდა ჰქონდეს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰყავდეს ლიცენზირებული მწვრთნელი, კლუბის მართვის მენეჯმენტი სათანადო სტანდარტებს შეესაბამებოდეს, ჰქონდეს საკუთარი სტადიონი ან ხელშეკრულება ისეთ სტადიონთან, რომელიც უეფას სტანდარტებს აკმაყოფილებს და ასე შემდეგ. თქვენ გგონიათ, რომ ეს ყველაფერი საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის ახირებაა და იმისთვის კეთდება, რომ ბიუროკრატიული დაბრკოლებები შეუქმნას გუნდებს? ლიცენზირების სტანდარტები უეფას დირექტივით არის შემოღებული და თუ ამ პროცესს წარმატებით ვერ გაივლი, მონაწილეობას ვერ მიიღებ უეფას ეგიდით გამართულ საკლუბო ტურნირებში. ეს მხოლოდ პირველ ეტაპზე, ხოლო ორი წლის შემდეგ, ისევ უეფას მოთხოვნით, ლიცენზირებაგაუვლელ კლუბს უეფას წევრი ქვეყნის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლებაც არ ექნება. როგორ გგონიათ, რამდენი კლუბი აკმაყოფილებს საქართველოში ამ სტანდარტებს? სამწუხაროდ, ამ გუნდების ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითებიც თავზე გადაგვივა. ვითარებაში სიცხადის შესატანად ქუთაისის "ტორპედოს" მაგალითიც კმარა. საქართველოს პირობებში ეს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი მიმდინარე ჩემპიონატში პირველი ადგილის დაკავებაზე რეალურად აცხადებდა პრეტენზიას. "ტორპედოს" საკმაო ხანს ეკავა სატურნირო ცხრილის პირველი საფეხური და მხოლოდ ბოლო ტურში ნაგემი დამარცხების შემდეგ, მეორე ადგილიდან მესამეზე ჩამოქვეითდა. მთავარი კი ის არის, რომ ქუთაისელები ჩემპიონები რომ გამხდარიყვნენ კიდეც, არათუ ჩემპიონთა ლიგის ან უეფას თასის, არამედ, ინტერტოტოს გათამაშებაშიც ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას. მიზეზი მარტივია: "ტორპედოს" ლიცენზირება არ გაუვლია.

დღეისთვის ლიცენზიის მისაღებად საჭირო უეფას ყველა მკაცრ სტანდარტს მხოლოდ ორი-სამი ქართული კლუბი აკმაყოფილებს. აი, ასეთია მკაცრი რეალობა და საუბარი იმაზე, რომ გუნდების რაოდენობა 16-მდე გავზარდოთ, ან უკიდურესი დილეტანტიზმია, ან თვალში ნაცარის შეყრა.

რა არის ფეხბურთი? ბურთი, მოედანი, მიიღო პასი იამანიძემ...

# "ჩელსი" ფსკერზე დაეშვება?

ლონდონის "არსენალის" მცველ ეშლი კოულთან საიდუმლო მოლაპარაკება "ჩელსის" შეიძლება ძვირად დაუჯდეს. ინგლისის პრემიერლიგის ხელმძღვანელობა აპირებს ამის გამო "არისტოკრატებს" ახალი სეზონის დასაწყისში სამი ქულა ჩამოაკლოს. ამდენად, "ჩელსიმ" შეიძლება ინგლისის ჩემპიონატის მომავალი სეზონის სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაიწყოს.

ამ გაცხარების მიზეზი ის ფაქტი გახდა, რომ 27 იანვარს კოული "ჩელსის" აღმასრულებელ დირექტორს პიტერ კენიონსა და კლუბის მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში საიდუმლოდ შეხვდა. ამ შეხვედრის შედეგი ის იყო, რომ მხარეები შეთანხმდნენ: ინგლისის ნაკრების მცველი მიმდინარე სეზონის ბოლოს "არისტოკრატების" ბანაკში 20 მილიონ გირვანქა სტერლინგად გადაბარგდებოდა. ამასთან, ფეხბურთელის ხელფასი, რომელიც ამჟამად კვირაში 27 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს, სამჯერ გაიზრდებოდა.

ამ საქმის მთელი მარილი ის არის, რომ კოულს "არსენალთან" მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და "ჩელსის" ბოსებს უფლება არ ჰქონდათ, "მეთოფეთა" გვერდის ავლით კოულთან მოლაპარაკება გაემართათ. შეიტყვეს თუ არა ეს ამბავი, "არსენალის" ბოსებმა იურიდიული დახმარებისთვის მაშინვე პრემიერლიგის შეფებს მიმართეს.

ჩინოვნიკებმა კლუბის წარმომადგენლებთან მცირე კონსულტაციის შემდეგ გადაწყვიტეს, ამ ინციდენტის დეტალური გამოძიება დაეწყოთ. ამასთან, ორივე მხარე კომენტარებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს და აცხადებენ, ვიდრე საქმე არ გარკვეულა, კომენტარი უადგილო იქნებაო. ამ მხრივ სამაგალითო თვითონ მოურინიოს განცხადება იყო. "ჩემთვის გამოძიება არაფერს ნიშნავს, - განაცხადა "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა, - მე არ გამიგონია და არც მინდა გავიგო ეს ისტორია. ის აბსოლუტურად არ მაღელვებს. მე ვაპირებ, ძველებურად დავტკბე ჩემი საქმიანობით და ცხოვრებით".

საინტერესოა, რომ პრემიერლიგისადმი მიმართულ განცხადებაში "ჩელსის" ხელმძღვანელობამ არ უარყო ფაქტი, რომ კოულთან საიდუმლო შეხვედრა ჰქონდა. თუმცა, კლუბმა განაცხადა, რომ ამ შეხვედრის ინიციატორი თვითონ ფეხბურთელი იყო. წერილში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ფეხბურთელის აგენტი



"ჩელსიმ" ეშლი კოულს თავი მიანება და ძამბროტას დაადგა თვალი.

ტელეფონით დაუკავშირდა აბრამოვიჩთან დაახლოებულ აგენტს პინი ზახავის.

ამ საქციელისთვის სასჯელად პრემიერლიგის ბოსები ორ ვარიანტს განიხილავდნენ - დისციპლინარულ სასჯელს და მსხვილ ფულად ჯარიმას. საბოლოოდ ჩინოვნიკები დისციპლინარულ სასჯელზე შეჩერდნენ. ამრიგად, მომავალ სეზონს "ჩელსის" პასივში მინუს სამი ქულა იქნება და აბრამოვიჩის კლუბი სეზონს ამ "მარაგით" დაიწყებს.

თუმცა, ინგლისური პრესა იუწყება, რომ ეს ფაქტი რომან აბრამოვიჩს მაინცდამაინც არ დაანაღვლიანებს. ჟურნალ "ფორბსის" ცნობით, ჩუკოტკის გუბერნატორის ქონება ბოლო წლის განმავლობაში 1,15 მილიარდი გირვანქით გაიზარდა და ამჟამად 7,7 მილიარდ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. ეს მაშინ, როცა ბოლო ორი წლის განმავლობაში მარტო ფეხბურთელთა შეძენაზე აბრამოვიჩმა 312 მილიონი დახარჯა და მზად არის, კიდევ დახარჯოს ფული. "ჩელსი" იძულებული გახდა, კოულისთვის თავი დაენებებინა და მისი ყურადღება ტურინის "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების მცველზე - ჯანლუკა ძამბროტაზე გადავიდა.

კალათბურთი

# იაო მინგი - მუშა პროლეტარი

*ჩინელი კალათბურთელი იაო მინგი, რომელიც ოკეანის გაღმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშობს, თანამემამულეებმა "სანიმუშო მშრომელის" წოდებაზე წარადგინეს. მაგრამ ჩინელთა ერთი ნაწილი (ალბათ, ათეულობით მილიონი მათივე რაოდენობის გათვალისწინებით) არჩევანს არ ეთანხმება.*

"სპორტის ვარსკვლავები არცთუ საუკეთესო მაგალითია ერისთვის, - პეკინის უნივერსიტეტის პროფესორ სოციოლოგის ვინმე ჩჟოუ სიაოჩჟენის სიტყვებს იშველიებს "ასოშეიტედ პრესის" სააგენტო. - იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელსაც ადრე იყენებდნენ, "სანიმუშო მშრომელის" წოდება ჩვეულებრივ მშრომელებს უნდა მიეკუთვნებოდეს".

იაო მინგის ზომა-წონის გათვალისწინებით, ცოტა არ იყოს, ძნელია 229 სანტიმეტრი სიმაღლის მქონე კალათბურთელის გარკვეულ კრიტერიუმებში მოქცევა.

მინგის სახელმა პირველად 2002 წელს გაიბრწყინა, როდესაც ენ-ბი-ეი-ში თამაშისთვის კონტრაქტი შესთავაზეს. ამერიკელებს საკუთარი არჩევანით რომ არ წაუგიათ, ცხადია. იგი საკუთარი გუნდის "ჰიუსტონ როკეტსის" ერთ-ერთი მოწინავე მოთამაშეა, ისევე როგორც მთლიანად ეროვნული საკალათბურთო ასოციაციისა.

ვის უნდა წარედგინა იაო მინგი "სანიმუშო მშრომელის" წოდებაზე, თუ არა ჩინეთის კომუნისტურ პარტიას?! საპატიო წოდებაზე მინგის წარდგენა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ, ტრადიციისამებრ, ამ წოდებით მაღაროელებს, მასწავლებლებს ან ფეიქრებს აჯილდოებენ, რომლებიც "სანიმუშო მშრომელის" სტატუსთან ერთად, ქვეყნის საინფორმაციო წყაროების წყალობით, საქვეყნო აღიარებასაც მოიპოვებენ.



მინგი სამშობლოში სანიმუშო პროლეტარად არის მიჩნეული.

მიუხედავად ამისა, კალათბურთელი ამ წოდებით უკვე ორჯერაა დაჯილდოებული, ოღონდ მის მშობლიურ ქალაქ შანხაიში.

როგორც ჩინური საინფორმაციო სააგენტო "სინხუა" გადმოგვცემს, ბევრი ჩინელი იაო მინგის არჩევანით უკმაყოფილოა, ისევე როგორც სამი ათეული ბიზნესმენიო. მათი თქმით, ისეთი დიდი წოდება, როგორიცაა "სანიმუშო მშრომელი", პროლეტარულ თვითშეწირვასთან უნდა იყოს სიმბოლიზებული.

უკმაყოფილო თანამემამულეთა მოწინააღმდეგეები კი ამტკიცებენ, რომ კალათბურთელი სწორედ რომ თვითშეწირვის მაგალითია: ენ-ბი-ეი-ს სეზონთაშორის შესვენებისას ხომ ჩამოვიდა და ეროვნული ნაკრების ღირსება დაიცვაო.

"ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მუშაობას (და არა თამაშს - რატომღაც ასე აღნიშნავენ ჩინელები) სარგებლობა მოაქვს არა მარტო პირადად კალათბურთელისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის, - "სინხუას" სააგენტოს შანხაის უნივერსიტეტის კიდევ ერთი პროფესორ სოციოლოგის იუ ჰაიას სიტყვები მოჰყავს. - თავისი გამორჩეული ოსტატობითა და გამოცდილებით იგი მაგალითს აძლევს ჩინეთის ნაკრებს".

დავა-კამათი იმის თაობაზე, ღირს თუ არა, რომ სპორტსმენი მუშად თუ მშრომელად, ამასთან, სანიმუშოს თავსართით, გამოცხადდეს, ეტყობა, 30 აპრილამდე გაგრძელდება, როდესაც პეკინში მაღალი წოდების ლაურეატებს დაასახელებენ.

ინფოთეკა

### ზინედინ ზიდანზე ფილმს გადაიღებენ

ზინედინ ზიდანი მონაწილეობას მიიღებს 90-წუთიან ფილმში, რომელსაც შაბათს მადრიდის "რეალისა" და "ვილიარეალის" მატჩის დროს გადაიღებენ. მთელი ყურადღება მიმართული იქნება ფრანგი ნახევარმცველის თამაშისკენ. ფეხბურთელს ერთდროულად 15 ტელეკამერა გადაიღებს. მსგავსი პრეცედენტი ჯერჯერობით მსოფლიოში არ ყოფილა.

"კარგად უნდა ვითამაშო. შევეცდები, ჩემი საფირმო ფინტები და მოძრაობები შევასრულო. მხოლოდ მატჩზე უნდა ვიფიქრო. ჩემი საუკეთესო ფეხბურთი უნდა ვითამაშო, რადგან სწორედ ეს თამაში გახდება ფილმის საფუძველი და არა რომელიმე სხვა", - განაცხადა ზიდანმა ფრანგულ ჟურნალ L'Equipe-თან საუბრისას.

90-წუთიანი ფილმის შექნის იდეა, რომელიც მთლიანად ზიდანის თამაშს მიეძღვნება, შოტლანდიელსა და ფრანგ რეჟისორებს დუგლას გოროდონსა და ფილიპ პარენოს ეკუთვნის. "ძალიან დაგვაინტერესა, რა იქნებოდა, მთელი 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთი ფეხბურთელი რომ გადავიღოთ", - განაცხადა პარენომ.

ამ უდავოდ საინტერესო პროექტის განსახორციელებლად რეჟისორებმა გადაწყვიტეს, სტადიონზე დაემონტაჟებინათ 15 ტელეკამერა, რომელიც დააფიქსირებს ზიდანის თითოეულ მოძრაობას, მის ჟესტებს, გამოხედვას, გამომეტყველებას... ფილმის გადაღებისთვის მადრიდში ჩაფრინდნენ ამ სფეროში გამოცდილი ჰოლივუდის სპეციალისტები: მარტინ სკორსეზე, ოლივერ სტოუნი, ფრენსის ფორდ კოპოლა და ჯორჯ ლუკასი.

ავტორების თქმით, ფილმის ნახვა შესაძლებელი იქნება მსოფლიოს ყველა კინოთეატრის დიდ ეკრანზე. ამ პროექტის მიმართ ინტერესს ისიც ამძაფრებს, რომ უფრო ადრე ასეთი ფილმის გადაღება არავის მოსვლია აზრად.

### ბარტეზს სამთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს

ფრანგული კლუბის "მარსელის" მეკარეს ფაბიენ ბარტეზს მიმდინარე წლის თებერვალში ამხანაგური მატჩის დროს მთავარი მსაჯისთვის შეფურთხების გამო სამთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ასეთი გადაწყვეტილება საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ დისციპლინალური კომიტეტის სხდომის შემდეგ მიიღო.

### ფერგიუსონმა კინი თავის მემკვიდრედ დაასახელა

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ ის თავის პოსტზე მომავალ სეზონშიც დარჩება. იქვე დასძინა, რომ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ძალიან დიდი სურვილი აქვს, მემკვიდრედ დატოვოს როი კინი, რომელიც მოცემულ მომენტში "მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობს.

"კინი ლიდერია ფეხბურთის მოედანზე. ვფიქრობ, ის ლიდერი იქნება მაშინაც, როცა კლუბს ჩაუდგება სათავეში", - აღნიშნა ფერგიუსონმა.

### "ჩელსიმ" შეიძლება სამი ქულა დაკარგოს

ლონდონის "არსენალის" მცველთან ეშლი კოულთან საიდუმლო საუბრები "ჩელსის" შეიძლება მწარედ დაუჯდეს. ადვილი შესაძლებელია, ინგლისის პრემიერლიგამ ჟოზე მოურინიოს გუნდს ამ ინციდენტის გამო სამი ქულა დააკლოს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ეს მომავალ სეზონზე მოხდება და არა ახლა.

### "ინტერი" უეფას გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს

Sky Sports-ის ცნობით, მილანის "ინტერის" ხელმძღვანელობა არ აპირებს, გაასაჩივროს უეფას გადაწყვეტილება, რომელიც კლუბმა ჩემპიონთა ლიგის "მილანის" წინააღმდეგ მატჩის დროს გულშემატკივრების ულირსი საქციელის გამო დაიმსახურა. უეფას გადაწყვეტილება ასეთია: ევროპის თასის შეხვედრებს კლუბი მაყურებლების გარეშე ჩაატარებს. გარდა ამისა, იგი 132 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობის ჯარიმას გადაიხდის.

"უეფას გადაწყვეტილებას არ გავასაჩივრებთ. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ამ ორგანიზაციის ნებისმიერ განზრახვას - ვიღებთ და ვემორჩილებით", - განაცხადა "ინტერის" პრეზიდენტმა ფაკეტიმ.

ინფოთეკა

### ტოტიმ და იბრაგიმოვიჩმა გრძელვადიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს

იტალიის საფეხბურთო კლუბის "რომას" თავდამსხმელმა ფრანჩესკო ტოტიმ ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს უღირსი საქციელის გამო ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

დაისაჯა ასევე "იუვენტუსის" ფორვარდი ზლატან იბრაგიმოვიჩი, თანაც, მსგავსი დანაშაულისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაიმსახურა.

შეგახსენებთ, რომ ტოტი "სიენასთან" თამაშის დროს მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელის დარტყმის გამო გააძევეს მოედნიდან. რაც შეეხება იბრაგიმოვიჩს, იგი მატჩის ვიდეოჩანაწერის ნახვის დროს "გამოიჭირეს" დანაშაულზე - შვედმა ფეხბურთელმა "ინტერის" მცველს ივან კორდობას დაარტყა.

ამგვარად, ტოტი შეძლებს "რომას" რიგებში ეროვნული ჩემპიონატის დასკვნით ნაწილში ითამაშოს. იბრაგიმოვიჩი კი თავისი გუნდისთვის "მილანის" წინააღმდეგ ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრას გამოტოვებს.

"როიტერსის" ცნობით, ორივე ფეხბურთელს შეუძლია აპელაციის შეტანა. თუმცა, აპირებენ თუ არა ისინი გადაწყვეტილების გასაჩივრებას, ჯერჯერობით უცნობია.

### ბენიტესი ჩემპიონთა ლიგის მოგების პირობას დებს

"ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის მოგებას შეძლებს. ესპანელი სპეციალისტის თქმით, თავდადებული მუშაობა ყოველთვის იძლევა სასურველ შედეგს. "მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწვრთნელი ვარ. მჯერა, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგებას შევძლებთ. მთავარია, გწამდეს საკუთარი ძალების. დარწმუნებული ვარ, თავდაუზოგავი შრომა არავისთვის არ ჩაივლის უშედეგოდ. დაბეჯითებით იმის თქმა, რომ დასახულ მიზანს მიმდინარე სეზონზე მივაღწევ, არ შემიძლია. თუმცა, რომ მივაღწევ, ეს დანამდვილებით ვიცი", - განაცხადა ბენიტესმა ესპანურ გამოცემა AS-თან საუბრისას.

გარდა ამისა, "ლივერპულის" თავკაცმა ტურნირის ნახევარფინალურ შეხვედრაზეც, მათ შანსებსა და მოწინააღმდეგე გუნდზეც, "ჩელსიზეც" ისაუბრა. "ჩემთვის "ჩელსი" ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, რომელმაც თავისი პროფესიონალიზმი უკვე დაამტკიცა ევროპაშიც და პრემიერლიგაშიც. ლონდონელებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში კარგი ფეხბურთელები შეიძინეს. მიუხედავად ამისა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ "ჩელსი" დავამარცხოთ და ფინალშიც გავიდეთ", - დაასკვნა ბენიტესმა.

### ფიფამ ცუნამით დაზარალებულთათვის 5,8 მილიონი ევრო შეაგროვა

საფრანგეთის მასობრივი საინფორმაციო წყაროების განცხადებით, ფიფამ ინდონეზიასა და შრი-ლანკაზე 1,9 მილიონი ევრო გაგზავნა, ინდოეთსა და მალდივის კუნძულებზე - 765 ათასი, ტაილანდში - 383 ათასი, ბანგადეშში კი - 76 ათასი.

"ამ თანხას ცუნამისგან განადგურებული ფეხბურთის ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის გამოიყენებენ", - განაცხადა ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელმა.

### ჰარგრივზმა წასვლა გადაიფიქრა

მიუნხენის "ბაიერნის" ნახევარმცველმა ოუენ ჰარგრივზმა კლუბიდან წასვლის გადაწყვეტილება შეცვალა. არადა, სულ რამდენიმე ხნის წინათ 24 წლის ფეხბურთელი გუნდის მწვრთნელებსა და ხელმძღვანელებს არწმუნებდა, რომ ინგლისის პრიმიერლიგაში აპირებდა გადაბარგებას. შემდეგ, როგორც უკვე მოგახსენეთ, თავისი გადაწყვეტილება ჭკუაში აღარ დაუჯდა.

"მიმდინარე კონტრაქტის ვადის გასვლამდე კიდევ ერთი წელიწადია დარჩენილი. მინდა, რომ ეს დროც ამ გუნდში გავატარო. "ბაიერნი" ჩემთვის მეორე ოჯახი გახდა", - განაცხადა ჰარგრივზმა, რომლის შეძენასაც მიმდინარე წლის იანვარშიც ერთმანეთს ედავებოდნენ "ტოტენჰემი" და "ასტონ ვილა".

საფეხბურთო გალერეა

# არიგო საკი: "ვილიარეალი" ჩემპიონატის უძლიერესი კლუბია



არიგო საკი ამას წინათ, "რადიო მარკას" ეწვია, სადაც ინტერვიუში ნაირნაირ თემებს შეეხო. საკი ერთმანეთს ადარებს "მილანსა" და "რეალს", საუბრობს "სამეფო კლუბის" მომავალ მეტოქე "ვილიარელზე", აფასებს ვანდერლეი ლუშემბურგოს მუშაობას და კლუბის ფეხბურთელებს ახასიათებს.

**მადრიდის "რეალი":** "როცა გუნდი ხშირად იგებს, მას მოდუნების მომენტებიც ახასიათებს. ეს თითქმის ბუნებრივია. ამიტომ ეს პროცესი სწორად უნდა შევაფასოთ. თიმცა, გამარჯვებების მოსაპოვებლად ჩვეულებრივი კი არა ზემოტივაცია არის საჭირო. ჩვენს გუნდში თავმოყრილია ექსტრაორდინალური ფეხბურთელები, რომლებიც წარმოუდგენელ ტექნიკას ფლობენ. თანაც არცერთი მათგანი ხანდაზმული არ არის, როგორც ლაპარაკობენ. უბრალოდ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შესძლებენ ისინი დაიბრუნონ მოტივაცია, რომელმაც მათ საშუალება მისცა მსოფლიოში საუკეტესოები გამხდარიყვნენ. თუ ისინი ამას მიაღწევენ, მაშინ თავისთვის შესაფერის დონეს მიაღწევენ".

**ფეხბურთელთა ასაკი:** "ვარჯიშის ახალი მეთოდებისა და სწორი კვების წყალობით ფეხბურთელთა ასაკი თანამედროვე ფეხბურთში 28-დან (როგორც ადრე იყო) 30-მდე გაიზარდა. თუმცა არსებობენ ისეთი ფეხბურტელები, რომლებიც თავისი ასაკის მიუხედავად უმაღლეს დონეზე თამაშობენ. მაგალითად მალდინი (36) ან კოსტაკურტა (39). ჩემს "მილანში" ის ვისწავლე, რომ ფეხბურთი ეს სპორტის ისეთი სახეობაა, სადაც მთავარი კოლექტიური თამაშია და არა ინდივიდუალიზმი. ფეხბურთელები მეგობრები არ იყვნენ, მაგრამ მათ ესმოდათ, რომ ერთად უნდა ყოფილიყვნენ. ყველა ჩემი ყოფილი ფეხბურთელი უმაღლეს დონეზე ვარჯიშობს, რადგან ისინი შესანიშნავი ადამიანები არიან. აქაც გვყავს უმაღლესი კლასის ოსტატები, მაგრამ შეიძლება ბოლო წლებში მათ ცოტათი დაკარგეს მოტივაცია, თუმცა გამარჯვების მიღწევა მაინც იციან".

**"ვილიარეალი":** "კვირის თამაში ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ მეორე ადგილს დავიმკვიდრებთ. "მალაგამ" კი საკუთარ მინდორზე შეიძლება "ბარსელონას" გარკვეული სირთულეები შეუქმნას. თიმცა, "ვილიარეალი" ჩვენთვის ურთულესი მეტოქე იქნება. ვფიქრობ, რომ ეს უძლიერესი კლუბის ესპანეთის ჩემპიონატზე. შეიძლება "ბარსელონაზე" ძლიერიც. მე "ბეტისის" წინააღმდეგ მათი მატჩი ვიხილე და დავრწმუნდი, რომ ისინი ძალიან ძლიერები არიან. ამ კვირის განმავლობაში ჩვენ თამაშისთვის ძალიან კარგად უნდა მოვემზადოთ. თუმცა, მე ჩემი გუნდის მჯერა, რადგან მას კლასით ვერავინ შეედრება. ასეთი ინდივიდუალური კლასის მქონე ფეხბურთელები, როგორებიც "რეალში" არიან თავმოყრილნი ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. "მილანში" კოლექტიური კლასი შეიძლება უფრო მაღალი იყო, მაგრამ ცალკეულ ფეხბურთელებს თუ ავიღებთ, მათ ვერავინ შეედრება".

**ლუშემბურგო:** "იმ სირთულეებისმ იუხედავად, რომელსაც ლუშემბურგო გუნდში მოსვლის დროს წააწყდა, მან ექსტრაორდინარული სამუშაო ჩაატარა. ფეხბურთელები მის დარიგებებს ასრულებენ, მაგრამ ჩვენ ჩავარდნაც განვიცადეთ, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში "იუვენტუსთან" შეხვედრას დაემთხვა. მე "იუვენტუსი" მაინცდამაინც ძლიერი არ მეჩვენა, მაგრამ მაშინ ჩვენები არც ფსიქოლოგიურად და არც ფიზიკურად საუკეთესო ფორმაში არ იყვნენ. რაც შეეხება "ლევანტესთან ამასწინანდელ შეხვედრას, თამაშის ხარისხი არ მომეწონა, მაგრამ შედეგით კმაყოფილი დავრჩი. ჩვენ სამი ინდივიდუალისტის წყალობით მოვიგეთ, მაგრამ "რეალი" ვალდებულია უკეთ ითამაშოს. ამას კლუბი, მისი ისტორია და გულშემატკივარი მოითხოვს. "რეალმა" დამაჯერებლად უნდა მოიგოს, რადგან მას შეუძლია ამის გაკეთება".

**ლა ლიგა:** "დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ჩემპიონატის მოგების უნარი შეგვწევს. ეს რთულია, მაგრამ შესაძლებელი. ჩვენ ვალდებული ვართ ამის გვწამდეს, გამარჯვებისთვის ყველაფერი უნდა ვილონოთ და სეზონი სუფთა სინდისით დავასრულოთ. ჩვენ ეს კლუბის, მისი პრეზიდენტისა და გულშემატკივართა პატივისცემით უნდა გავაკეთოთ. ვფიქრობ ამისთვის ექვსი თამაში საკმარისი იქნება".

**"რეალი" და "მილანი":** "მადრიდი უფრო დიდებულია. მას ისეთი ისტორია და სახელი აქვს, რომელიც არავის მთელ მსოფლიოში. ის ფანტასტიკურ ქალაქში იმყოფება და ეკონომიკურად ძალიან ძლიერია. ამ კლუბს უნიკალური ისტორია აქვს. და ის ხალხი, რომელიც ამ კლუბში მუშაობს ამაყობს ამით".

**კასილასი:** "ის ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. დღეს მას ვუთხარი, რომ სამი თვის განმავლობაში მან გუნდი იმდენჯერ გადაარჩინა, რამდენსაც ჩემი გუნდის მეკარეები ხუთი წლის განმავლობაში მოუნდებოდნენ. თუმცა, ის არ უნდა დამვშიდდეს. ის კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს და ბევრი ისწავლოს, რადგან ის მხოლოდ 23 წლისაა. მან თავმდაბლობა უნდა შეინარჩუნოს, მაგრამ ამის გაკეთება ძალიან ძნელია, რადგან ყველა თავგზას გიბნევს. მნიშვნელოვანია, რომ მან ბალანსი შეინარჩუნოს. საჭიროა გვერდით ერთგული ადამიანები გყავდეს, რომელთაც უყვართ თავისი სამუშაო და ფეხბურთი. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ფეხბურთი თავში იბადება და არა ფეხებში. მნიშვნელოვანია გქონდეს თვითნაბადი ინსტინქტები და სათამაშო კლასი. აუცილებელია იყო კარგი ფეხბურთელი და გვერდით გყავდეს ერთგული ადამიანები, რომლებიც პროგრესირებაში დაგეხმარებიან. შენს გვერდით იქნებიან მრავალი წლის განმავლობაში და ნეგატიურ მოვლენებს აგარიდებენ".

**სამი მწვრთნელი ერთ სეზონში:** "როცა მწვრთნელი თანამდებობას საკუთარი სურვილით ტოვებს, ის კომპენსაციას არ იღებს, ამიტომ პოსტიდან სურვილით იშვიათად მიდიან. თანამდებობის დატოვება შენი კარიერის მარცხია. და თუ მწვრთნელი ასე იქცევა, ესე იგი ის სიტუაციას მართლაც აუტანლად მიიჩნევს. იტალიაში მწვრთნელები საკუთარი სურვილით არასოდეს მიდიან. წელს ჩვენ სამი მწვრთნელი გამოვიცვალეთ. ჩვენ დამნაშავის ძებნა არ გვჭირდება. უნდა გვწამდეს ლა ლიგაში გამარჯვების და მიჩელ სალგადოს მსგავსად მოვიქცეთ, რომელმაც შეიძლება კარგად ითამაშოს და შეიძლება თამაში არ წაუვიდეს, მაგრამ ის ყოველთვის ბოლომდე იხარჯება. მადრიდის "რეალი" მოთამაშეებისგან წარმოუდგენელს არაფერს ითხოვს. ის მხოლოდ მაქსიმუმს მოითხოვს მათგან. ჩვენ ასე ვითამაშეთ "ბარსელონას" წინააღმდეგ და ეს უნდა გავიმეოროთ. ასეთი უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების კანონი. ჩვენი ფეხბურთელები სერიოზული ხალხია. მათ ბევრი რამის გაღება შეუძლიათ და ისინი ვალდებულნი არიან ეს გააკეთონ".

**რონალდო:** "მე რონალდოთი ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი. როცა "ინტერში" მან ტრავმა მიიღო, ეს პირადი ტრაგედიასავით განვიცადე, რადგან ჩვენ ექსტრაორდინარულ ფეხბურთელს ვკარგავდით, რომლის მსგავსი მარადონას დროიდან მოყოლებული აღარ ყოფილა. მაგრამ საუკეთესო რონალდო ჯერ არ მინახავს. მას უზარმაზარი პოტენციალი აქვს. თუ ის არ არის კონცენტრირებული, თუ ის კარგი განწყობით არ მუშაობს, მაშინ მას შეიძლება მცირე ჩავარდნები ჰქონდეს. მას მეტი შეუძ ია და ამას მისდამი უდიდესი სიყვარულით ვამბობ. ამჟამად ის უკეთ მუშაობს, მაგრამ მას ბევრად მეტი შეუძლია. რონალდოს შეუძლია ბურთით ყველაფერი გააკეთოს, რაც მოესურვება. მთავარია მას ეს უნდოდეს".

**ლუიშ ფიგუ:** "მწვრთნელისთვისაც არ არის იოლი სათადარიგოთა სკამზე გაამწესოს ისეთი კარგი და გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურა, როგორიც ლუიშ ფიგუა. თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ ცხოვრებაში არის მომენტები, როცა რაც შეგიძლია ყველაფერს ვერ ამჟღავნებ. მწვრთნელი მიიჩნევს, რომ სხვა ფეხბურთელს უფრო მეტის შეთავაზება შეუძლია გუნდისტვის, ვიდრე ფიგუს, მაგრამ ეს მდგომარეობა ახლა მუდმივად არ დარჩება. თუმცა, კონკრეტული მატჩისთვის შემადგენლობა მწვრთნელმა უნდა შეარჩიოს და საკის ან პრეზიდენტის მხრიდან ჩარევას ადგილი არ ექნება. თუ ამ საქმეში ვინმე ჩაერევა, მაშინ უსამართლობის ატმოსფერო შეიქმნება, სადაც ცუდია მუშაობა. ეს ერთ-ერთი პრობლემაა, რომელიც ამდენი ვარსკვლავების ხელში შეიძლება შეგექმნას".

**გრავესენი:** "მის შეძენასთან დაკავშირებით პრეზიდენტსა და ბუტრაგენიოს მოვეთათბირე. მას არასოდეს უთამაშია იმ პოზიციაზე, რომელზეც ამჟამად თამაშობს, მაგრამ ის მაღალი კლასის ფეხბურთელია, რომელიც აღფრთოვანებულია თავისი ახალი მოვალეობებით. ჩვენი გუნდის ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, გრავესენი თითქმის შეუცვლელია, რადგან ის გუნდს იმას აძლევს, რაც არ აქვს. მან ადაპტაციის პერიოდი შესანიშნავად დასძლია, რადგან "ევერტონში" ის სხვა პოზიციაზე თამაშობდა. მას კარგად ვიცნობდი. მე ის ბევრჯერ მინახავს და მისი პროგრესიც მინახავს. ამას გარდა, მე მის ყოფილ გუნდთან კონსულტაცია მქონდა და დავადგინე, როგორი პროფესიონალია გრავესენი და როგორი ადამიანი. მე ამიხსნეს, რომ ის კარგი ფეხბურთელი და ადამიანია, რომელსაც მეკარის პოზიციაზეც შეუძლია თამაში".

**რაული:** "ის მუდამ მომწონდა, როგორც რონალდო, რადგან რაული თამაშში მუდმივად ბოლომდე იხარჯება. მას შეიძლება ტრავმა აწუხებდეს, რის გამოც შეიძლება ძველებურად არ კაშკაშებდეს, მაგრამ მას აქვს სიამაყე, ის გამარჯვებებს მოწყურებულია და ფეხბურთი მისი ცხოვრებაა. მე მომწონს რაულის მსგავსი ადამიანები მათი კეთილშობილების გამო. მან უბრალოდ სულიერი სიმშვიდე უნდა მოიპოვოს, რაც საშუალებას მისცემს გახდეს რაული, რომელიც ყოველთვის გვიყვარდა და რომელსაც ყველანი ველოდებით".

**ვუდგეიტი:** "ამას წინათ ის თავისი დარგის საუკეთესო ექიმმა გასინჯა და თქვა, რომ ორ თვეში ვუდგეიტი ფეხბურთს ითამაშებს".

**შენაძენი:** "მე პრეზიდენტის ძალიან მწამს და ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მე არ ვიცი რამდენი შენაძენი იქნება გუნდში და ბევრი იქნება ეს შენაძენი, თუ ცოტა. მე მომწონს ფეხბურთელების ჯგუფი, მაგრამ არ შემიძლია ისინი ჩამოვთვალო, რადგან ძალიან ბევრია. ახლა მხოლოდ სეზონის დამთავრბაზე უნდა ვიფიქროთ, თუმცა არ დავლამავ და ვიტყვი, რომ სამუშაო მომავალი სეზონისთვის უკვე დაწყებულია. ჩვენ ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩემპიონატს მოვიგებთ და სეზონს ღირსეულად დავასრულებთ. შემდეგ მომავალი სეზონისთვის მოვემზადებით და მის დაგეგმარებაში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს ლუშემბურგო. ჯერჯერობით კი მომავლის სამეზე ვერაფერს გეტყვით. ჩვენ ამ ფეხბურთელებისგან მაქსიმუმს მოვითხოვთ. თუ ისინი ამას გააკეთებენ, კლუბი მათ ამაგს არ დაივიწყებს".

ინფოთეკა

### ამ დღეებში ფერდინანდი "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტს გააგრძელებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა რიო ფერდინანდმა ინგლისის მასობრივ საინფორმაციო წყაროებთან საუბრისას განაცხადა, რომ რამდენიმე დღეში კლუბთან ახალ შეთანხმებას გააფორმებს.

"ყველა დეტალი რამდენიმე დღეში გაირკვევა", - განაცხადა ფეხბურთელმა.

### ტრეზეგეს გარემოს შეცვლა უნდა

საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და "იუვენტუსის" თავდამსხმელმა დევიდ ტრეზეგემ განაცხადა, რომ ლონდონის "არსენალში", კვლავაც არსენ ვენგერის ხელმძღვანელობით სურს თამაში.

"იუვენტუსში" ყველაფერი კარგადაა, მაგრამ მე გარემოს შეცვლა მინდა. მინდა, ჩემს მეგობარ ტიერი ანრისთან და არსენ ვენგერის ხელმძღვანელობით ვითამაშო, ისე, როგორც ეს ხდებოდა "მონაკოში". ვფიქრობ, კლუბები შეთანხმდებიან და ტიერისთან ერთად თამაშს არა მხოლოდ ეროვნულ ნაკრებში, არამედ კლუბშიც შევძლებ", - განაცხადა 27 წლის ფეხბურთელმა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### შაბათი. 23 აპრილი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
13:10 "საფეხბურთო კლუბი"
13:50 რუსეთის თასი. ფინალი. ცსკ - "სატურნი". პირველი მატჩი
15:25 ინგლისის ჩემპიონატი. "ევერტონი" - "ბირმინჰემი". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (16:15) - თავისუფალი დარტყმა
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ჰერტა" - "შალკე". პირდაპირი ტრანსლაცია
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 ინგლისის ჩემპიონატი. "კრისტალ პალასიი" - "ლივერპული". შესვენებისას (20:10) - თავისუფალი დარტყმა
21:25 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
21:55 უეფას თასი. მეოთხედფინალური მატჩების ანონსი
22:25 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "პარმა". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 თავისუფალი დარტყმა
00:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ნანტი - "მარსელი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 19:30 პრესცენტრი
10:20, 19:45 "ქრონიკა"
10:25 ჰოკეი. ევროტური. შვედეთი - რუსეთი. პირველი მატჩი
12:30 "სარკის წინ"
13:25 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. 85 კგ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
16:25 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. 94 კგ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 "სპორტული გლობუსი" "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
19:00 "გუნდი" - "ნეფტოხიმიკი"
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 ფიგურული სრიალი. შოუ "Holiday Festival on Ice"
20:50 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. 85კგ. 94 კგ. ფინალები
21:50 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
22:45 ახალი ამბები
23:00 პროფესიული კრივი. ვლადიმირ კლიჩკო - ელისეო კასტილიო. პირდაპირი ტრანსლაცია გერმანიიდან

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 თავგადასავალი. გაქცევა
11:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
16:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ახალი ამბები
01:15 კრივი. საერთაშორისო asპარეზობა
03:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები









ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# გულახდილი SMS-ები

ნეტავ ვინ ადგენს "202"-ის მუსსზორკას. მაგარი სლაბია. სირცხვილი. მუსიკის აზრზე არ არიან.

ახალი ვარსკვლავების შემხედვარეს წურწუმია მოგვენატრა. ლელა დაგვიბრუნეთ. - მსმენელები.

პატრულის რეკლამირებაში, გაპიარებაში არ გადააჭარბოთ. ზედმეტი მოგდით.

უხერხული იქნება, ბურჯანაძეს ვინმემ რომ უთხრას, ბუშთან ფოტოს შესაძლებელი გადაღებისას ჩანთა იატაკზე აღარ დადოს?

ოტია იოსელიანი რისი სიმბოლოა - ეთნოკოლორიტის, პროვინციალიზმის, ქართული მწერლობის კრიზისის თუ ნიკოტინის მავნებლობის?

ბუში ბარნოვზე ბოლო სისწრაფით არ უნდა გავაკატავოთ? რაღა თბილისი გამოუვა? - ვაკელები.

მიყვარს ლევან ბერძენიშვილის საუბრის მოსმენა, თუმცა, ხშირად არ ვეთანხმები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მანანა არჩვაძე დროა, დავაწინაუროთ. ნუ დავინანებთ. დაგვიფასდება. "პრეზიდენტი-2" ვუწოდოთ. უახლოესი თხუთმეტი წელი იკმარებს. დამშვიდდება. - ჰუმანური ქართველები.

ქარელს რუსულის მასწავლებელი ბიუჯეტის ხარჯზე ავუყვანოთ. წვალობს ბიჭი. ვერც აგებინებს, ვერც აგებინებენ. ამით კი კონტრაბანდისტები სარგებლობენ.

"რუსთავი 2" კანონიერი ქურდებისადმი ინტერესს ვერა და ვერ ელევა. რამდენი დღე შეიძლება წრიპაიას მოპარულ დედაზე ლაპარაკი. თანაც დააბრუნეს.

შალვა რამიშვილი ამდენ რუსულ გამოთქმებს რატომ ხმარობს, რუსია თუ ჟურნალისტი?

ქუჩაში, წვიმაში ირაკლი კაკაბაძე დავინახე. ბერეტი არ ეხურა. ეტყობა, მხოლოდ კამერის წინ იხურავს. იმიჯზე ზრუნავს.

ხეებიდან ცელოფნების დაკრეფის დრო როდის დგება? შემოდგომას უნდა ველოდოთ?

სად გაქრა ლაშა ბუღაძის სვეტის სვეტი? ვისი წყენაც უნდოდა, ყველას აწყენინა და მორჩა?

ვანო მერაბიშვილი "კრესლოს", "ბათინკებს" რომ ამბობს, ვგიჟდები, ნაღდი ჩვენიანია.

თბილისში გარეკაფეების სიმცირეა. გახსნას რა ვინმემ! ასეთი ამინდები იჭერს!

რომის პაპის დაკრძალვაზე სააკაშვილი რატომ არ წავიდა? ძალიან დამწყდა გული. მსოფლიოს წამყვან პრეზიდენტებს შორის საქართველოს პრეზიდენტის ხილვა მინდოდა. ამდენს დადის და რაღა მანდ არ წავიდა? ეტყობა, მოწყენილობა იქნებოდა და დაეზარა.

ბუშის ჩამოსვლისთვის ნათელაშვილი რამე პატარა თანამდებობაზე მაინც დანიშნეთ, იმ წუთში გაჩუმდება. ან ევროპაში მივლინებაში გაუშვით. ამერიკა ნახა და მოეწონა. ეგება, ევროპაც ევასოს.

პენსია კი გაორმაგდა, ოცდარვა ლარი გახდა, მარა, შაყირობთ, ვის ეყოფა?

"კვირის პალიტრას" არ ვკითხულობ, მაგრამ ვულოცავ.

"რე-აქციაში" გოგი ოჩიაურის გამოსვლა ძალიან მომეწონა. ყველაფერში ვეთანხმები.

ქალაქში მომატებულია ქუჩის მძარცველები. ჩანთების წართმევა ყოველდღე ხდება.

კოსტავას ქუჩაზე გადასვლა რომ მოგინდეს და თვითმკვლელი არ ხარ, რა უნდა ქნა?

ასეთი სიმპათიური პატრულის ბიჭები სად მოიძიეს. არ შეიძლება, რაიონული პოლიციების თანამშრომელთა გარეგნობასაც გადახედონ? ვინ უფრო საშიშია, ვერ გაიგებ, დაკავებული თუ დამკავებელი.

მაღაზიების აზრებთან დაკავშირებით რამე კანონია სასწრაფოდ მისაღები. თვალები გვიჭრელდება.

რა ინტელიგენტი კაცია სვიატოსლავ ბელზა. რუსული კულტურის დღეები გამიხარდა, მაგრამ არ მაინტერესებს.

ამ დათო ტურაშვილს სულ რა აყვირებს? გვაშინებს თუ ეშინია?

"სუსტი რგოლის" შემხედვარეს გული მისკდება, მეცოდებიან. მაგარი უზნეო წესებია.

ფიქრია ჩიხრაძეს ვურჩევ, ცოტა მაკიაჟი გაიკეთოს.

რა არასვეცკად იცოხნებოდა "ჯეოსტარის" წამყვანი ნიკა ლომიძე! სცენაზე ქათმის ბარკლის ჭამა აღარ გამიგია! ღორია თუ რა?!

ჩვენი ძმა და ჩვენი შვილი, ჩვენი სოსო პავლიაშვილი - პაკა!

კოსტავას ქუჩაზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურზე იტყუებიან, ბენზინს გაკლებენ. გადამოწმებულია.

"უცნობი" რადიოში ჭყიპინს როდის მოეშვება. ჯობია, იმღეროს.

კატასტროფული მდგომარეობაა ნარკომანიის ამბავში. სვეცკებიც გაბარიგდნენ.

ორგანიზაცია "წინ საქართველო" ჰოროსკოპით კიბო ხომ არ არის? რა უკან-უკან მიდის, მიმართულება ეშლება?

გურამ შარაძე როგორი აკადემიკოსია - წითელი?

"მარიოტში" ყავა შამპანურის ფასი ღირს. საჭმელი კი არ იჭმევა.

მაგრა მაინტერესებს, საერთო ეროვნული გამოცდები როგორ ჩატარდება. აბიტურიენტები ღელავენ.

შეიძლება თუ არა, რომ პოლიტიკოსები, მთავრობა სამორინეში დადიოდნენ?

თინეიჯერებში იარაღის ტარება, ჯგუფური კონფლიქტები, დაჭრები კატასტროფულად გაიზარდა. ყველაფერში ტოტალიზატორებია დამნაშავე.

ლომაია რა შემყვანი აღმოჩნდა! სალოლ!

აუ, ეს ზუგდიდელი ვაჭარი ქალები რა ყოფილან! არ წაილეს ტვინი ამდენი კივილით? ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ზუგდიდი მამაკაცების ნაკლებობას განიცდის.

ძალიან მომეწონა "სუსტი რგოლის" წამყვანის ფრაზა - "ვინ არ იცის, რომ არაფერი იცის". გვიხდება, არა?!

გიბრძანებთ, საბურთალოს სასაფლაოსკენ მიმავალი გზისპირა ტერიტორია დაალაგოთ!

გიგა ბოკერიას ლაპარაკში რატომ ვერავინ უგებს?

ოქრუაშვილი "ბათინკს" რომ ამბობს, მერაბიშვილს ბაძავს, დასცინის თუ, უბრალოდ, მანაც ასე იცის ქართული?

გიორგი თარგამაძე ხიჩკოკია?

რაღაც ეჭვი მეპარება, რომ ხელოვნებათმცოდნეები ფიქრია ჩიხრაძეს ურეკავდნენ. დაგენიძლავებით, არც ერთ ხელოვნებათმცოდნეს ან ხელოვანს არ იცნობს. ისინი ხომ მით უმეტეს.

"რუსთავი 2"-ის ეთერი თათა ვარდანაშვილმა რა ნიშნით დაიპყრო? მთელ კოლექტივს უფასოდ უკერავს ფეხსაცმელებს, თუ მარტო ნიკას?

ამ ხუმრობა-ხუმრობაში შალვა რამიშვილმა ნესტან კირთაძის ბუმბერაზ ინტელექტს ვეღარ გაუძლო. გზა-კვალი აებნა.

კრიტიკის ქარ-ცეცხლის მიუხედავად, შეღებილი თბილისი უკეთ, უფრო მოვლილად გამოიყურება.

არ ვიცი, ჭიაბერაშვილი როგორი ფილოსოფოსია, მაგრამ მერად მომწონს. -თბილისელი.

ნაზი არონიას შემხედვარე, ბევრი კითხვა იბადება. მაგარ ვიდზეა!

დაგვიბრუნეთ არბიტრაჟი!

რა მაგრად გაკეთდა რუსთაველის თეატრი! გაიხარონ!

# ნარკომანიასთან ბრძოლის ჩემებური ვარიანტი

ერთხელ, დაახლოებით თხუთმეტი წლის წინ, ჩვენთან სახლში ჩემი და ჩემი ქმრის მეგობარი არაფხიზელ მდგომარეობაში (რბილად რომ ვთქვა) მოვიდა. მამაჩემმა, რომელიც ჩემს თვალში საკმაოდ გამოცდილი, ბევრის მნახველი და ჭკვიანი კაცი იყო, ჩვენი მეგობრის არაფხიზელი მდგომარეობა შეამჩნია, მთელი სტუმრობის განმავლობაში ოთახიდან აღარ გასულა, საერთო ლაპარაკში ზედაპირულ მონაწილეობას იღებდა და გაგლეჯილ კაიფში მყოფ, პერიოდულად მყვინთავ სტუმარს ყურადღებით აკვირდებოდა. მე ვღელავდი. ვხვდებოდი, რომ მეგობარი "დაიწვა". როგორც იქნა, სტუმარი გავაცილეთ. ოთახში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც რამდენიმე წუთში მამაჩემის მკაცრი ტონით დასმულმა შეკითხვამ დაარღვია: "ახლაც მეტყვით, რომ ... პლანს არ ეწევა?" "ეწევა, ეწევა" - ვუპასუხე მამას და მის კომპეტენტურობაში, ფაქტობრივად, პირველად, ეჭვი შემეპარა. მამების თაობა ნარკომანიას, მის სპეციფიკურ სიმპტომატიკას, ტრაგიკულობას სრულებით არ იცნობდა. ჩვენთან შედარებით მათი თაობის შესაძლებელი გამოცდილების მიუხედავად, არც ერთი მათგანი ნარკოტიკის, რომ იტყვიან, აზრზე არ იყო. "გაჩხერილს", "მოწეულსა" თუ "ჩაყლაპულს" ერთმანეთისგან ვერ არჩევდა და ყველაფერს ორ სიტყვაში - "პლანი" ან "მორფი", აერთიანებდა. ჩვენი მამების მომდევნო თაობას, სამწუხაროდ, ამ კონკრეტულ საკითხში გამოცდილება მოემატა. ქართული ნარკომანიის ავანგარდში მყოფნი სწორედ 50-60-იან წლებს წარმოადგენენ. მათი უმეტესობა დღეს ცოცხალი არ არის, ნაწილი კი ინვალიდებად, ასაკის შეუსაბამებელ ღრმა მოხუცებად არიან შემორჩენილნი. უფულობის და ბევრი სხვა რამის უქონლობის გამო "სონნიკებზე" ზიან და წარმოუდგენლად უბადრუკ სანახაობას წარმოადგენენ. თუმცა, ამ თაობას ბევრად უფრო "სუფთა წამლის" გაკეთების საშუალება ჰქონდა; მიუხედავად ამისა, ამ თაობის ერთიორი ნარკომანის ნახვა ანტინარკოტიკული პროპაგანდის ყველაზე თვალსაჩინო, ყოვლისმთქმელი მაგალითი იქნებოდა.

კოტე ყუბანეიშვილს, რომელიც ჩემზე საკმაოდ უფროსია, ვერ დავეთანხმები და ვიტყვი, რომ მაგის თაობაზე ბევრად უფრო მეტად ჩემი, 60-70-იანი წლების თაობა "გადაყვა ყვინთაობას".

ამბობენ, მშრალი ციფრებით თუ ვიმსჯელებთ, ერთად აღებულ ყველა ომზე ბევრად მეტი მსხვერპლი ნარკოტიკმა შეიწირა. ჩვენი დროის ნარკომანები მარნეულში, ნაზრანში მიდიოდნენ, თათარ "ბარიგებთან" იღებდნენ წამალს და ან ავტოკატასტროფებში, ან ზედმეტი დოზით იღუპებოდნენ. არ მინდა მტკივნეული დაკონკრეტება და იმ ბიჭების ჩამოთვლა, რომლებსაც მე პირადად ვიცნობდი, რომლებიც ნარკოტიკისგან დაიღუპნენ და რომლებიც, მერწმუნეთ, ქართული გენოფონდის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენდნენ. ჩვენს თაობაში გაჩნდა სიტყვები "ზახოდი", "პრიხოდი". ჩვენს თაობაში გავიგეთ ანგიდრიდისა და აცეტონის დანიშნულება. ჩვენს თაობაში ბიჭების სტუმრობის შემდეგ გაშავებულ სუფრის კოვზებს პოულობდი. ჩვენს თაობაში დაიწყო ფულის შოვნის, ნარკოტიკის, ანუ "წამლის" ჩალიჩის "დვიჟენიები". ჩვენს თაობაში ნარკომანიამ მასიური სახე მიიღო. მაგრამ ის სურათი, რომელიც მომდევნო, უმცროს თაობებში, დღევანდელ ახალგაზრდებში გვაქვს, არაფერს შეედრება. "პლანის" მოწევამ თავისი აქტუალობა, სიმძაფრე დაკარგა, ყოველდღიურ, სრულიად უვნებელ მოვლენად გადაიქცა და ფსიქოლოგიურად სიგარეტის მოწევის ტოლფასი გახდა. "იჩხირავენ", "ყლაპავენ", "ყნოსავენ", "სვამენ" ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებათ. ხელთ კი ნარკოტიკული ნივთიერებების გამდიდრებულ-გაფართოებული სპექტრი აქვთ. მე როგორც ვიცი, წლების განმავლობაში ნარკობიზნესს პოლიცია აკონტროლებდა. დღეს აღარსად არ არის საჭირო სიარული, მანქანის, ბენზინის ფულის შოვნა, თათარ "ბარიგებთან" ჩალიჩი. დღეს თითოეულ უბანს, ქუჩას, სამეგობრო წრეს საკუთარი "ბარიგა" ჰყავს. გაჩნდა "ამღების" ინსტიტუტი. "ამღები", უმეტესად, უფულო ნარკომანია, რომელიც ფულს აგროვებს, წამალს იღებს და по ходу, თვითონაც ხეირობს, მუქთად იკეთებს. ჩემს თაობაში "ბარიგა" ყველაზე უპატივცემულო, დისკრედიტირებული, უზნეო და სასირცხვო პერსონად ითვლებოდა. "ბარიგის" სტატუსი ნელ-ნელა შეიცვალა. ცვლილება დიდი ხნის წინ დაიწყო, როდესაც ინდოეთში ტურისტული საგზურებით წასულმა დარბაისელმა ქალბატონებმა მორფინის ჩამოტანას, გასაღებას მოკიდეს ხელი. ბოლო წლების ახალი ნარკოტიკის - "სუბუტექსის" შემოსავლით "ბარიგობა" "ელიტარულ" ფენებსაც მოედო. 90-იან წლებში საკმაოდ ხშირად მიწევდა პარიზში სიარული და არაერთ ჩემს "მეგობარს" "სუბუტექსის", როგორც ელემენტარული ტკივილგამაყუჩებელი, ლომკის გადასაგდები და შესაბამისად, ჰუმანურ-მედიცინური ფუნქციის მქონე პრეპარატის წამოღება უთხოვია. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, პრეპარატის ჭეშმარიტი დანიშნულების შესახებ გათვითცნობიერებული ვიყავი და, ასე ვთქვათ, მახეში არ გავები. მაგრამ ბევრი ისეთი ჩემი ახლობელი ვიცი, რომელმაც გულუბრყვილოდ დაიჯერა და სუბუტექსი




უანგაროდ ჩამოიტანა. ბევრი ისეთი შემთხვევაც ვიცი, როდესაც "ახლობლებს", ნაცნობებს დაბეჭდილ კონვერტში წერილი, პატარა ამანათი გამოუტანებიათ, ამ ბანდეროლში კი, ჩამომტანის უცოდინრად, "სუბუტექსი" იდო. ამ კონკრეტული ფაქტების გამოცდილებიდან გამომდინარე, მაგალითად, მე, სრულიად "არაჯიგრულად" ვიქცევი და საზღვარგარეთიდან მხოლოდ ისეთი რამის წამოღებას ვთანხმდები, რაც ჩემთან გახსნილ მდგომარეობაში მოაქვთ. სანამ პირადად არ დავრწმუნდები, რომ ამანათი სუფთაა, ხელს არ ვკიდებ, ვინც არ უნდა იყოს გამომტანი. "სუბუტექსი" ევროპის ქვეყნების პრეპარატია, რომელიც, მაგალითად, პარიზში აფთიაქებში იყიდებოდა და ათი აბი - 60 ფრანკი, ანუ დაახლოებით 8 დოლარი ღირდა. თბილისში კი თითო აბი 100-150 დოლარად ფასობს. ევროპის ქვეყნებში, დამეთანხმებით, პროლეტარიატი ხშირად არ დადის. ჩვენში უმეტესად შეძლებული, კარგი ოჯახების, ელიტარული ფენის წარმომადგენლები მოგზაურობენ. თუმცა, სამწუხაროდ გაირკვა, რომ "კარგიოჯახისშვილობის" მიუხედავად, მათი მორალი, სიხარბე კოლოსალური მოგების ცდუნებას ხშირად ვერ უძლებს და ისინი სრულიად გაცნობიერებულად ნარკობიზნესის ერთ-ერთი მთავარი რგოლის სიმძიმეს იღებენ საკუთარ თავზე. ჩამოაქვთ ის,



რაც მათივე შვილებს, ძმებს, მეგობრებს წამლავს და ნელ-ნელა კლავს.

დღეს თბილისში უცნაურად გახშირდა 25-30 წლის ასაკში გულით სიკვდილიანობა. "რისგან გარდაიცვალა?" - "უცბად, გულით" და შენც ჩუმდები, შეწუხებული თავს აქნევ, ჭირისუფალს ანგარიშს უწევ, სულელად აჩვენებ თავს და, ამავე დროს, ზუსტად იცი ახალგაზარდა ბიჭის სიკვდილის რეალური მიზეზი. ამგვარი უაზრო დამალვით, მიჩქმალვით, ტყუილითა და ყალბი შელამაზებით, ჩემი აზრით, შენც უშუალო თანამონაწილე ხდები იმისა, რაც დღეს შენი ქვეყნის ტრაგედიას წარმოადგენს და რასაც ხვალ შეიძლება შენი შვილიც შეეწიროს. ნუთუ ათასობით ნარკოტიკისგან დაღუპული საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ყველაფერი, მტკივნეულიც კი, ხმამაღლა ითქვას, თავისი სახელი დაერქვას. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, ნარკოტიკისგან გარდაცვლილის მშობლები სიკვდილის მიზეზს რატომ მალავენ? განა სნეულებებს შორის სამარცხვინო და არასამარცხვინო არსებობს? ნარკომანია ისეთივე ავადმყოფობაა, როგორც ნებისმიერი სხვა და მას მკურნალობა, სწორ მკურნალობას კი, როგორც წესი, ჭეშმარიტი, შეულამაზებელი სურათის ცოდნა სჭირდება.

ერთმა ცნობილმა კანონიერმა ქურდმა, რომელიც ნარკოტიკს ვერ მოერია, წლების წინ თავი მოიკლა. სწორედ ეს თვითმკვლელობა და არავითარ შემთხვევაში მისი კანონიერი ქურდობა, გახდა მისი სახელის იდეალიზაციის საფუძველი. მას არ მოსწონდა საკუთარი თავი, საკუთარი სახე, მორალი, ცხოვრების წესი, ინტერესები და როგორც კანონიერმა ქურდმა თუ, უბრალოდ, როგორც აზროვნების, განცდისა და შეფასების უნარის მქონე პიროვნებამ, საკუთარი ხელით თავის თავში მოკლა ის, რაც ასე ეზიზღებოდა და სხვაგვარად ვერ ერეოდა. ეს წლების წინ იყო, დღეს კი ნარკომანიით დაავადებულთა შორის თვითმკვლელობის ფაქტები გახშირდა. შესაბამისად, ჩემი აზრით, ნარკომანიის მასშტაბიც, მასთან ბრძოლის სირთულის, აუცილებლობის და პესიმიზმის დოზაც გაიზარდა. რამდენიმე ხნის წინ გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულმა მამუკა ხერხეულიძის მოთხრობამ "ბებე" და მისი მთავარი გმირის ტრაგიკულმა თვითმკვლელობამ, განცდებმა, ფიქრებმა, საკუთარი ცხოვრებისა და დაშვებული შეცდომების გაანალიზების უნარმა, მისდამი პატივისცემა გამიჩინა. ნარკოტიკი ფიზიკურად ანადგურებს, სხვადასხვა ორგანოს აავადებს, ცხოვრების რიტმსა და ინტერესს, ღირებულებებსა და მორალსაც კი ცვლის, მაგრამ ჭეშმარიტ დიდსულოვნებასა და ობიექტურ თვითშეფასებას, ეტყობა, ვერაფერს ვნებს. "ისევ ლომკა, ისევ მაყუთის ძებნა, უძილობა, ისევ ფეხების ღრღნა და, რაც მთავარია, საკუთარ თავთან, ძველ თავმოყვარე ბებესთან დაშვებული კომპრომისები, აუტანელი სინდისის ტკივილი"... "ძველმა, კარგმა, ჯიგარმა, სპორტსმენმა, კეთილშობილმა ბებემ ახალი, ცუდი ბებე მოკლა". ამით კი, ვფიქრობ, ავტორმა მოკლა ყველაფერი ის, რაც ზოგადად ნარკომანიას ახლავს. თითოეული ნარკომანიც ხომ ასეა. თითოეულ მათგანს მუდმივად ურთიერთმებრძოლი ორი მხარე აქვს - კარგი და ცუდი, კეთილშობილი და დეგრადირებული, მაგრამ მხოლოდ ნაწილი ახერხებს საკუთარი ცუდის დამარცხებას. ბებემ ეს ვერ შეძლო და თავიც მაგიტომ მოიკლა. კანონიერმა ქურდმაც წლების წინ ვერ შეძლო. ზოგიერთებმა კი მოახერხეს. ათასი ტანჯვა, ტკივილი, ბიშკეკი, ჯოჯოხეთი გამოიარეს და დღეს საზოგადოების სრულყოფილი წევრები არიან. საქართველოში ამ ბოლო თვეებში წამოწყებული უაღრესად სასიკეთო, მისასალმებელი ანტინარკოტიკული კამპანიაც, ჩემი აზრით, არა ცნობად სახეებზე, პოპულარულ შოუვარსკვლავებზე უნდა იყოს აგებული, რომლებსაც პრობლემაზე წარმოდგენა არა აქვთ, არამედ ამ ჯოჯოხეთურ გზაგამოვლილებზე, ნარკოტიკისგან დაღუპულთა დედებზე, ცოლებზე და, თუ გნებავთ, სტაჟიან ნარკომანებზეც კი, რომელთა ხილვა კომენტარს, ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. მგონია, რომ წლების გამოცდილების მქონე ნარკომანები, საკუთარი მძიმე ავადმყოფობის საშიშროებას ახალგაზრდებს ნებაყოფლობით გაუზიარებენ, თუ, რა თქმა უნდა, მათ გულახდილობას პოლიციის მხრიდანაც გაგება მოჰყვება. მერწმუნეთ, მათი აღსარება ბევრად უფრო დამაჯერებელი, შოკში ჩამგდები, გულწრფელი, ტკივილიანი, ნაღდი და, შესაბამისად, შედეგიანი იქნება, ვიდრე პოლიციის მცირეწლოვანი მაღალჩინოსანის ან თუნდაც ვარსკვლავის ტრაფარეტული მოწოდებები, რომლებიც ცნობილია, რომ რატომღაც მარტივად ერთ ყურში შედის და მეორეში გამოდის.

მეტი ასეთი მოთხრობები, მეტი გულწრფელობა, თავმოყვარეობა, დაღუპულთა დედების, ცოლების მეტი უკომპლექსო, თამამი აღიარება, მეტი გამოცდილების გაზიარება, გადარჩენილების, “გამომძვრალების” მეტი მოსმენა, დაღუპულების მეტი აღსარება, მეტი სინაღდე და სწორი კანონები - ნარკომანიასთან ბრძოლის ბევრად მეტი ეფექტურობის მომტანი იქნება.

| | |
|---|---|
| სახელი | მისამართი |
| გვარი | |
| ასაკი | საკონტაქტო ტელეფონის ნომრები |
| სიმაღლე | |

| | |
|---|---|
| 1 ოჯახური მდგომარეობა : დაქორწინებული / დაუქორწინებელი / გაყრილი / ქვრივი | 8 თქვენი ინტერესები |
| 2 შვილები: (თუ გყავთ) | 9 თქვენი ჰობი |
| 3 პროფესია : | 10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ? |
| 4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | 11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება) |
| 5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | 12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი) |
| 6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის? | 13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი) |
| 7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის? | ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში. ხელმოწერა____________ თარიღი________ ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება ! |



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით. "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზომადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლანკი უფასოა**

[illegible]

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



1. კვების პროდუქტებზე გაჩენილი სოკოს ქსელი; 2. კურორტი ყირიმში; 3. მიწისქვეშა არხი ჩამდინარე სიბინძურისათვის; 4. ქალაქი ჩინეთში, მდინარე იანძიზე; 5. ქართული ლუდი; 6. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 7. პროვინცია და ქალაქი ნიდერლანდებში; 8. გრძელკუდიანი თუთიყუში; 9. მოქმედი ვულკანი ინდონეზიაში; 10. სახელმწიფო სამხრეთ აზიაში; 11. თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი საბუთი; 12. ქალაქი გერმანიაში; 13. ერთდროული გასროლა რამდენიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან; 14. რეალობასთან შეუფერებელი აღტაცებული განწყობილება; 15. ბატკნის ხორცის კერძი; 16; ჭიდაობის სახეობა; 17. გამოჩენილი პარაგვაელი მეკარე; 18. ლ. დელიბის ოპერა; 19. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ს დასავლეთ შტატებში; 20. უცხოეთში არაოფიციალური მისიით გაგზავნილი პირი; 21. საზღვარგარეთ საქონლის გატანის აკრძალვა; 22. გარკვეული სიგრძისა და მიმართულების მონაკვეთი; 23. ქათმების ოჯახის მომცრო ფრინველი; 24. სიკოხტავე, მოხდენილობა; 25. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 26. სახვითი ხელოვნების ჟანრი; 27. დასავლეთ სამოას დედაქალაქი; 28. ცვილისებრი ნივთიერება; 29. მე-19 საუკუნის ამერიკელი მწერალი და კრიტიკოსი; 30. უდიდესი დაძაბულობის მომენტი რისამე განვითარებაში; 31. იტალიის საავტომობილო ფირმა; 32. ინდისხურმა; 33. ქსოვილის კეროვანი კვდომა, გამოწვეული სისხლმომარაგების დარღვევით; 34. ანდრია ბალანჩივაძის ოპერა; 35. სათამაშო ქაღალდი; 36. იაპონელი კინომსახიობი; 37. ფილმი ჟან მარესა და ლუი დე ფიუნესის მონაწილეობით; 38. ბუნების ფინიკიური ღვთაება.

## TV პროგრამა

23 აპრილი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ჰარდბორი" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ინგლისური მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.25** მხ. ფილმი "ღმერთის საჭურველი" (18) (ჯეკი ჩანი) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "ალყაში" (18). რეჟ. ბ. ბერტოლუჩი. **02.00** კურიერი **02.20** მხ. ფილმი "ორმო" (18) (ტორა ბერჩი)

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.35(შვეიცარია), 02.00(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ღია ბარათი "გურმანი" **08.00** საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** საბავშვო შემეცნებითი გადაცემა. "ბიდუმ-ბიდუმ" **09.30** გადაცემა: აღმოჩენა. 12.20. ვალი. მხ ფილმი. რეჟისორი ფაბრის კაზენევი **13.55** ხელით შექმნილი საოცრებები. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** სერიული დანაშაულებანი. თელესერიალი. **23.00** ნაბატენის ნაკვალევზე. დოკ. ფილმი. დოკ. ფილმი. **04.20** გადაცემა: ყველაფერს ვერ იტყვი.

### 1

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "კონანი და მისი მეომრები" **08.40** საბავშვო სერ. "მაუგლი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი "ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე" **11.30** "ტაქსი" (გამ.) **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "ცავოს კაციჭამიები" **13.20** მხ. ფილმი "ჯარისკაცის მამა" **14.55** ფორმულა-1. (სან-მარინო) **16.00** "ჰოლმარკი" - "ჯეკი და მუხუდოს ხე" 1-ლი ს. **17.00** "არტე" წარმოგიდგენთ - "ენდრე ლაბარტი" **18.00** "მთავარი" **18.10** არქივი **18.30** "მრწამსი" - სამყაროს შექმნა **19.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა"- სეიშელი **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** დოკ. ფილმი "ავტომობილები" **21.30** "რაციო" - ზურაბ ქარუმიძე **22.30** "ჩვენ" **23.45** ბიოგრაფიული პორტრეტები - პინოჩეტი **00.45** მხ. ფილმი "ბიჭები და გოგოები" (15) **02.00** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.50** მუსიკა **09.30** ანიმაციური ფილმი "მხიარული მელოდიები" **10.20** სერიალი "ვუპი" **10.50** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** ტელეჟურნალი "სცენა" **12.00** სერიალი "კარაბინერები 2" **13.00** ჯეოსტარი - ფილარმონია. (განმ.) **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** გადაცემა "მედი" **14.30** ჯეოსტარი -ფილარმონია. (განმ.) **15.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** სერიალი "კარაბინერები-2" **18.20** საფესტივალო ჩვენება "ჩემი ძვირფასი სანატრელი ბაბუ" **20.30** მინისერიალი "სინატრას მოტაცება" **21.30** ფარული კამერა **22.00** კრიმ. სერიალი "სთშ" **23.00** მხ. ფილმი "შურის მაძიებლები - თამაში ორისთვის" (გ) **00.30** მხ. ფილმი "მეწამული მდინარეები-2" (18) (ჟან ჯერო)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** ტელეზღაპარი **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **20.55** დოკ. ფილმი "ჭადრაკის ომი" **21.45** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **22.10** კინოსეანსი "ფრაგმენტები ქალაქის ცხოვრებიდან"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 01.55** ქრონიკა **09.10, 13.15, 02.35** იმედის მელოდიები **09.30** ანიმ. ფილმი "შავი მეკობრე" **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "დილის ფოსტა" **12.40, 02.05** ტვ-მარკეტი **13.30** მხ. ფილმი "ბილეთი, სხვა არაფერი" (გ) (ე. გარსია) **15.15** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **21.15** ტვ-ლოტო **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** ანიმაციური ფილმი "ცოცხალი ტყე" **10.30** დოკ. ფილმი **11.30** თეატრი **14.30** "ფეხბურთი და ჩვენ" **15.15** მხ. ფილმი "საჭირო ხალხი" **17.10** "ჭიტა-ჭიტა" **17.30** საინფ. გამოშვება **17.55** მხ. ფილმი "ტომბსტოუნი" **20.30** საინფ. გამოშვება **21.05** "ფერისცვალება" **21.30** მიუზიკლი "ოპერის აჩრდილი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ"

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Сериал **“ДЕСЯТОЕ КОРОЛЕВСТВО”. 06.30** Людмила Чурсина в фильме **“ГОНКА С ПРЕСЛЕДОВАНИЕМ”. 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** Андрей Макаревич в программе "Три окна". **10.40** “Кумиры”. Александра Захарова. **11.20** “Встань и иди”. **12.10** История с географией. “Кухня ураганов”. . **13.00** Дисней-клуб: “Микки Маус и его друзья”. **13.30** “Ералаш”. **14.00** Умницы и умники. **14.40** “Слабое звено” с Марией Киселевой. **15.30** Жан-Клод Ван Дамм в боевике **“ВОЗВРАЩЕНИЕ УНИВЕРСАЛЬНОГО СОЛДАТА”. 17.00** Люди лучше, чем кажутся, в программе “Прости”. **17.50** “Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса. Впервые в России”. **18.10** Мы делаем “Ералаш”. **18.40** “Новые песни о главном”. **20.00** “Кто хочет стать миллионером?” **21.00** Время. **21.20** Ума Турман в боевике **“УБИТЬ БИЛЛА”.** Фильм 2. Из списка смертельных врагов Невесты уже вычеркнуты двое - О-Рен Ишии и Вернитой Грин. Теперь настала очередь еще одной пары подручных ее бывшего босса - Бада и Элль Драйвера. Только после расправы над ними, Невеста сможет приступить к выполнению главного пункта своего плана священной мести - найти и уничтожить Билла... **23.50** Айс Кьюб в боевике **“ПРИЗРАКИ МАРСА”. 01.50** Джулия Робертс в мистическом триллере **“МЭРИ РЕЙЛИ”. 03.40** Патрик Суэйзи в фильме **“ЗЕЛЕНЫЙ ДРАКОН”. 1975** год. Долгая и кровопролитная война во Вьетнаме близится к концу. Тысячи беженцев покидают Южный Вьетнам и устремляются в Америку в надежде начать новую жизнь. На Родине они потеряли все: крышу над головой, родных, близких. А теперь в совершенно чужой стране, в Калифорнии, в лагере для переселенцев “Пенделтон” несчастные эмигранты вынуждены осесть на долгое время. Начальник лагеря - сержант морской пехоты Джим Лэнс - один из немногих, кто с искренним сочувствием относится к обездоленным вьетнамцам и всеми силами старается облегчить их нелегкую участь.

### НТВ

**06.00** Мультфильм “Бобик в гостях у Барбо са”. **06.10** Брижитт Фоссей в комедии **”БУМ”. 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм “Ну, погоди!”. **08.25** Сериал **“ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА: НАПАДЕНИЕ НА ПОЛИЦЕЙСКОГО”. 08.55** “Без рецепта”. Доктор Бранд. **09.25** “Дикий мир” с Тимофеем Баженовым. **10.20** “Растительная жизнь” **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! **13.55 Чемпионат России по футболу. “Крылья Советов” - “Зенит” 16.20** “Женский взгляд”. Вера Васильева. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **“КОДЕКС ЧЕСТИ-2". “БАНКИРЫ ПРЕДПОЧИТАЮТ УМЕРЕТЬ”. 1**-я с. **19.35** Профессия - репортер. **20.05** “Программа максимум”. Скандалы. Интриги. Расследования. **20.55** Патрик Суэйзи в боевике **“ДОМ У ДОРОГИ”.** Долтон приглашен хозяином ночного бара на должность главного вышибалы в маленький городок Джеспер. В этом городке свои правила: все и всегда платили большую мзду местному мафиози Брэду Уэсли. С приездом Долтона Уэсли забеспокоился, т.к. новичок установил в баре свои правила - никаких наркотиков, никакого воровства, тогда Уэсли и решил показать - кто в городе хозяин. Он стал все крушить направо и налево - автомастерскую, автосалон... Да еще Долтон умудрился влюбиться в Элизабет, которая безумно нравится Уэсли! **23.25** “Мировой бокс” **00.05** Марчелла Петрелли в фильме **“ЭРОТИЧЕСКИЕ СНЫ КЛЕОПАТРЫ” 01.50** Футболлистика. **02.30** Сериал **“ФИЛАДЕЛЬФИЯ”. 04.15** Худ. фильм **“ОСТРОВ”.** Действие этой трагической ленты происходит на прекрасном озере, на котором разбросаны плавучие домики рыбаков, принадлежащие хозяйке - женщине то ли немой, то ли неразговорчивой. Днем она подает клиентам еду, а ночью - свое тело. В одном из плавучих домиков поселяется молодой мужчина, который пытается покончить с собой. Но в тот момент, когда он уже поднес пистолет к виску, неожиданно из воды выныривает Хозяйка и не дает ему совершить задуманное. Между ними возникает страсть, они становятся одержимы друг другом...

# ДДТ უგზო-უკვლოდ დაკარგულებს უმღერის

"ჩვენ ყველანი უგზო-უკვლოდ დაკარგულები ვართ", - ამგვარი განწყობით არის გაჟღენთილი ДДТ-ს უკანასკნელი ალბომი, რომელიც გაყიდვაში 25 აპრილს გამოვა. თავად იური შევჩუკი ნამუშევარს მეტად გრძელს უწოდებს - 11 ახალი კომპოზიცია 72 წუთის განმავლობაში ჟღერს. "ჩემი აზრით, აქ არ არის შემთხვევითი სიმღერები. ვფიქრობ, ალბომი გამოგვივიდა მრავალფეროვანი და მთლიანი, ყოველ შემთხვევაში, გვინდოდა ამისთვის მიგვეღწია", - ამბობს იური შევჩუკი.



"უგზო-უკვლოდ დაკარგულთათვის" სიმღერების შეგროვება, შექმნა შევჩუკმა ოცი თვის წინათ დაიწყო - მაშინვე, რაც დაასრულა ბოლო ალბომზე მუშაობა. "უგზო-უკვლოდ დაკარგული" არამარტო მათ ეძღვნება, რომლებიც იკარგებიან (თუკი იცნობთ სტატისტიკას, მათი რაოდენობა 100 ათასია წელიწადში), არამედ ალბომი ეძღვნება იმ ადამიანებს, ვინც ამ სამყაროში საკუთარი ადგილი ვერ იპოვა, ვინც ვერ დამკვიდრდა ახალ ქვეყანაში, ახალ რუსეთში, ამ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, რომელსაც "დემოკრატია" ჰქვია. გარკვეულწილად, ჩვენ ყველანი უგზო-უკვლოდ დაკარგულები ვართ", - ამბობს ДДТ-ს ლიდერი.

ვინც ალბომი მოისმინა, ამბობს, რომ თავისი მძაფრი როკ-ჟღერადობით, ჩანაწერი თანამედროვე რუსულ მუსიკაში მოვლენად იქცევა. ამაში მსმენელი არამარტო დისკის მოსმენისას დარწმუნდება, არამედ ჯგუფის იმ კონცერტებზეც, რაც რუსეთსა (ციმბირიდან კალინინგრადის ჩათვლით) და უკრაინაშია, მოგვიანებით კი, ევროპაში, შეერთებულ შტატებსა და კანადაშია დაგეგმილი.

## უაღრესად პირადი ბიოგრაფია



სენსაციური განაცხადი გააკეთა ნიკ მეისონმა, როდესაც საზოგადოებას მოუწოდა, რომ "პინქფლოიდის" არსებობის შეწყვეტაზე საუბარი ნაადრევია. მუსიკოსი დარწმუნებულია, რომ ჯგუფის წევრები ოდესღაც კიდევ ერთხელ აუცილებლად გაერთიანდებიან ლეგენდარული სახელწოდების ქვეშ.

ჯგუფის ფანებს მსგავსი გადაწყვეტილების მიღების იმედი მაშინ გადაეწურათ, როდესაც დევიდ გილმორმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი ჭორებს, "პინქფლოიდის" აღდგენის შესახებ.

ლეგენდარულ ბრიტანულ ჯგუფს აგერ უკვე 11 წელიწადია არ ჩაუწერია ახალი მასალა; ხოლო მისი წევრები მხოლოდ სოლო პროექტებზე მუშაობენ. რაც შეეხება ნიკ მეისონს, როგორც ამბობენ, მის ხმაურიან განცხადებას ერთი მიზეზი აქვს: ამით მუსიკოსმა ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მისი ავტორობით გამოცემულ წიგნზე: Inside Out: A Personal History of Pink Floyd. წიგნში მეისონი მკითხველს უამბობს სიდ ბარეტის სკანდალურ ისტორიებს, Dark Side of the Moon-ის ჩაწერის დეტალებს, ტურნე "კედელის" დროს მომხდარ საინტერესო ამბებს, როჯერ უოტერსის ჯგუფიდან წასვლასა და სხვა, ჯგუფის თაყვანისმცემლებისთვის საინტერესო ცნობებს. წიგნზე მუსიკოსმა ათი წელიწადი იმუშავა.

დაინტერესებული მკითხველისთვის წიგნის შეძენა მაისში იქნება შესაძლებელი.

## Come As You Are

კურტ კობეინის კლასიკური კომპოზიციიდან ციტატა Come As You Are ამიერიდან მუსიკოსის მშობლიური ქალაქის შესასვლელს დაამშვენებს. ეს გადაწყვეტილება საგანგებო კომიტეტმა მიიღო. მანამდე, მუსიკოსის პატივსაცემად კომიტეტის წევრები ფიქრობდნენ, კობეინის სახელი რომელიმე პარკისთვის, ან ახალგაზრდობის ცენტრისთვის მიენიჭებინათ. თუმცა, საბოლოოდ ყველა შეთანხმდა, მისასალმებელ ფრაზაზე. გადაწყვეტილებით კმაყოფილია მუსიკოსის ბაბუა - ლელენ კობეინი. მისი აზრით, ქალაქმა აუცილებლად უნდა მიაგოს პატივი ყველაზე ცნობილ აბერდინელს.




### განცხადება: სს ნავთობის ეროვნული კომპანია "ს ა ქ ნ ა ვ თ ო ბ ი" აცხადებს კონკურსს

კომპანიის ემბლემის (ლოგოს) შემუშავების მიზნით. კონკურსში გამარჯვებული დაჯილდოვდება თანხით 1000 ლარის ოდენობით. ესკიზის მიღების ბოლო ვადაა 25 აპრილი. საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ.კოსტავას N65 სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი"; საკონტაქტო პირი: ანტონ მძინარიშვილი
TEL: 33-04-11 (899 28-87-29), noc@saknavtobi.ge.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24


### განცხადება სტაჟირების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი აცხადებს ახალგაზრდა სპეციალისტთა მიღებას საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალურ საბაჟოში სტაჟირების გასავლელად. სტაჟირების გავლის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- იყოს საქართველოს მოქალაქე;
- მიღებული ჰქონდეს უმაღლესი ეკონომიკური, იურიდიული ან სპეციალური განათლება (სპეციალურ განათლებად ჩაითვლება საგადასახადო-საბაჟო საქმე, საგადასახადო-საბაჟო საქმის მართვე);
- ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას და უცხო ენას;
- ვარგისი იყოს სამხედრო სამსახურისათვის;

კანდიდატმა საბაჟო დეპარტამენტის მოქალაქეთა მისაღებში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება (დადგენილი ფორმით);
- ავტობიოგრაფია დადგენილი ფორმით;
- დიპლომას ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ორი ფოტოსურათი;

სტაჟიორად ჩარიცხვა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და ტესტირების საფუძველზე.

დოკუმენტების წარმოდგენის ბოლო ვადაა ***2005წ. 5 მაისი, ხუთშაბათი, 17:00სთ***

დოკუმეტური შერჩევის საფუძველზე ტესტირებაზე დაშვებული კანდიდატების სიას შეგიძლიათ გაეცნოთ საბაჟო დეპარტამენტში ***შაბათს, დღის განმავლობაში.*** იქვე შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია ტესტირების ჩატარების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საქართველო ფინანსთა სამინიტროს საბაჟო დეპარტამენტს მისამართზე:

თბილისი, 0109, აბზიანიძის 4, ან დარეკოთ ტელ: 76 88 83, 76 83 33 33, 76 82 38

ტესტის ნიმუში, განცხადებისა და ავტობიოგრაფიის ფორმა განთავსებულია დეპარტამენტის ვებგვერდზე: www.customs.ge/www.customs.gov.ge

*საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი*




### საქართველოს კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი:

**95 30 81**
**96 71 78**







### წამალი "სალხინო"
#### ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.